



საქართველოს უნივერსიტეტი



კონცეპტი „ბედი“ თანამედროვე ინგლისურ ენაში

ავტორი: ნატალია ბერკაცაშვილი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია

საქართველოს უნივერსიტეტის

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ჩხეიძე

თბილისი

2020

მიმოხილვა

მე-20 საუკუნის ლინგვისტიკაში ცხადად იკვეთება კვლევის ვექტორის გადახრა ანთროპოცენტრიზმისაკენ. მკვლევართა ყურადღების ცენტრში ექცევა ადამიანი როგორც კონკრეტული ენისა და კულტურის მატარებელი. ანთროპოცენტრისტული მიდგომა რეალიზდება ენისა და ადამიანის ურთიერთქმედების სფეროს საზღვრებში და ვლინდება ისეთ პრობლემებზე ორიენტაციით, როგორცაა: მიმართებები ენასა და ადამიანის აქტივობას, ენასა და კომუნიაციას, ენასა და კულტურას, ენასა და ღირებულებებს შორის.

თუ ადრე მნიშვნელობის გააზრებაში ჭარბობდა ამ ცნების თეორიული პოსტულირება ლოგიკურ-რაციონალისტურ ან სისტემურ-სტრუქტურულ ასპექტებში, უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელობა აღიწერება ენის მატარებლის გათვალისწინებით - მიმართავენ ენაზე მეტყველ ინდივიდებს, მათ ცნობიერებას. შედეგად, გამოვლინდა ინდივიდის განსაკუთრებული მონაპოვარი - მნიშვნელობის სპეციფიკური მახასიათებლები.

თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრისტული ვექტორი იძლევა შემდეგი მოსაზრების ჩამოყალიბების საფუძველს: შეფასების შეწავლა შეუძლებელია კონკრეტული კულტურის, ერის, ისტორიული ეპოქის, სხვა სიტყვებით, იმ კონტექსტის გარეშე, რომელიც აყალიბებს ადამიანს, როგორც შეფასების სუბიექტსა და ობიექტს.

ანთროპოცენტრიზმი წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს იდეას. ანთროპოცენტრისტული პარადიგმის პერსპექტივიდან ადამიანი შეიცნობს სამყაროს, ადამიანი თავის ცნობიერებაში ქმნის ანთროპოცენტრისტულ ცენტრს, რომელიც განსაზღვრავს მის სულიერ არსსა და ფასეულობათა იერარქიას.

ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში წარმოიქმნა კვლევის ორი მიმართულება:

1. ლინგვოკულტუროლოგია, რომელიც შეისწავლის ენას კონკრეტული ნაციონალურ-კულტურული მენტალობის ჭრილში;
2. კოგნიტური ლინგვისტიკა, რომელიც იკვლევს ენისა და ცნობიერების ურთიერთკავშირს, ასევე ენის როლს სამყაროს კონცეპტუალიზაციის პროცესში.

ლინგვისტურ ანთროპოცენტრიზმზე არსებულ თვალსაზრისთა ველში იკვეთება ანთროპოცენტრიზმის ორგანული ინტერპრეტაცია:

1. ანთროპოცენტრიზმი არის ენის თვისება, მისი სტრუქტურა და შინაარსი;
2. ანთროპოცენტრიზმი წარმოადგენს ენის აღწერისა და მოდელირების ხერხს.

აღნიშნული განმარტებები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. უფრო მეტიც, ორივე მათგანი ორიენტირებულია ენის მრავალგანზომილებიანი ბუნების აღწერის სისრულეზე. მათ შორის არსებული განსახვავება კი გულისხმობს ონტოლოგიურ და მეთოდოლოგიურ სფეროთა შორის არსებულ განსხვავებას.

ანთროპოცენტრიზმის ონტოლოგიური აღქმის სფეროში იკვეთება შემდეგი დებულებები:

1. ობიექტური სინამდვილის ასახავის პროცესში ენა გარდაქმნის ადამიანის ფასეულობათა სისტემას სოციალურ და ეროვნულ ერთობად;
2. ეკუთვნის რა ადამიანს, ენას აქვს ანთროპოლოგიური აგებულება.

ანთროპოცენტრიზმის მეთოდოლოგიური აღქმის სფეროში იკვეთება დებულება, რომელიც შემდეგნაირად ჟრერს: ანთროპოცენტრიზმი წარმოადგენს ენისა და მისი ცალკეული ნაწილების მოდელირების ხერხს.

სამყაროს შესახებ ადამიანის ცოდნის ფორმირებისა და არსებობის უმნიშვნელოვანეს საშუალებას ენა წარმოადგენს. ადამიანი სწორედ სიტყვაში აფიქსირებს სინამდვილის შემეცნების შედეგებს.

თითოეულ ენას კონცეპტუალიზაციის საკუთარი სტილი აქვს. თითოეული ენა ქმნის სამყაროს საკუთარ ხატს. სწორედ ამ ხატის შესაბამისად ახდენს ენის მატარებელი გამონათქვამის შინაარსის ორგანიზებას.

ენობრივი ფორმით დაფიქსირებული ცოდნის ჯამი წარმოადგენს სამყაროს ენობრივ რეპრეზენტაციას. სამყაროს ენობრივ რეპრეზენტაციათა ანალიზი კი გულისხმობს ცნობიერების ენის მასალაზე კვლევას. აღნიშნული ტიპის კვლევა მოითხოვს პარადიგმათა სინთეზირებასა და სააზროვნო სივრცეთა ინტეგრაციას. ამ ტიპის ანალიზი იძლევა როგორც ნიშანთა ცალკეულ სისტემათა იერარქიის, ისე ცალკეული კულტურებისა და ენების თავისებურებათა წვდომის შესაძლებლობას.

სამყაროს ენობრივ რეპრეზენტაციათა ანალიზი კვლევის არეალში აქცევს ცნობიერებისა და კულტურის იმ კონტექსტებს, რომელშიც ნიშანთა ესა თუ ის სისტემა ჩამოყალიბდა და განვითარდა.

ენის შესახებ არსებულ თანამედროვე და უახლეს თეორიებში ენა გააზრებულია როგორც ადამიანის ფსიქიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მაკავშირებელი ერთგვარი რგოლი. აქედან გამომდინარე, ლინგვისტური კვლევა აღარ წარმოადგენს ენის კვლევას „თავის თავში“, არამედ გულისხმობს ენის, კულტურისა და აზროვნების ურთიერთკავშირების შესწავლას.

სარჩევი

შესავალი	6
თავი 1 კვლევის მეთოდოლოგია	12
1.1. კვლევის მეთოდები და პრინციპები	12
1.2. სემანტიკურ-კოგნიტური ანალიზის თავისებურებები	18
1.3. კონცეპტუალური იერარქიის სპეციფიკა	21
თავი 2 ლინგვოკოგნიტოლოგია და ლინგვოკულტუროლოგია	25
2.1. ენისადმი კოგნიტური მიდგომის არსი	25
2.2. კონცეპტუალური სტრუქტურები და გამოცდილების ინტერპრეტაცია	28
2.3. კულტურული ფაქტორი ენაში და ენობრივი ფაქტორი ადამიანში	45
2.4. ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომები კონცეპტისადმი	66
2.5. კულტურული დომინანტები ენაში	73
თავი 3. კონცეპტი „ბედი“ სხვადასხვა ეპოქაში	77
3.1. დრო და აღქმა	77
3.2. თვალსაზრისები და კონტექსტები	80
3.3. კონცეპტი „ბედი“ სხვადასხვა სააზროვნო სივრცეში	89
თავი 4. აქსიოლოგიური ანალიზი და კოგნიტური ინტერპრეტაცია	97
4.1. ენის კვლევისადმი აქსიოლოგიური მიდგომის არსი	97
4.2. ენობრივ მონაცემთა კოგნიტურ მონაცემებად ტრანსფორმაცია	112
4.3. კონცეპტის „ბედი“ ენობრივ ობიექტივატორთა სპეციფიკა	116
4.4. კონცეპტი „ბედი“ როგორც ლინგვოკულტუროლოგიური უნივერსალია და „ბედის“ სემანტიკური ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ ენაში	122
დასკვნა	139

ბიბლიოგრაფია

შესავალი

არ შეიძლება ყველაფერი ადამიანურის წმინდა ინფორმაციამდე დაყვანა, რამდენადაც ადამიანის ინტელექტის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს ნება. სიმბოლოთა სინტაქტიკა ვერ ასახავს ადეკვატურად ადამიანის მენტალობას: ადამიანები აზროვნებენ სემანტიკური „არსით“, „ღირებულებებით“.

სწორედ აღნიშნული იდეის რაციონალურობამ გვიკარნახა აუცილებლობა თანამედროვე ლინგვისტიკის ისეთ მიმართულებათა სინთეზირებისა, როგორცაა კოგნიტური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია.

აღნიშნული იდეის რაციონალურობის აღიარების შედეგს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ინტეგრირებული კვლევა კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის სინთეზირების გზით.

სამყაროს ენობრივი ხატისა და მისი ძირითადი კონსტრუქტის - კონცეპტის - კვლევის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე ლინგვისტიკაში ენის როლის გადააზრებით კულტურის შექმნის პროცესში. სამყაროს ხატი (ენობრივი ხატის ჩათვლით) კონსტრუირდება სამყაროზე ადამიანის წარმოდგენათა კვლევის საფუძველზე. სამყარო არის ადამიანი და მისი ყოფიერების სივრცის ურთიერთქმედება. ლინგვოკულტუროლოგიურ პრობლემათა კვლევამ საფუძველი ჩაუყარა ენისა და კულტურის მიმართებათა წვდომის ახალ პერსპექტივებს.

ენის მეშვეობით შესაძლებელია ამა თუ იმ ერის მენტალიტეტის, მსოფლხედვისა და ცხოვრების სტილის ამოცნობა. სამყაროს ენობრივ ხატში აირეკლება ეთნოსის კულტურულ და მორალურ ღირებულებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია: ენაში აირეკლება ექსტრალინგვისტური სინამდვილის ის ნიშნები, რომელებიც რელევანტურია ამა თუ იმ კულტურის მატარებელთათვის.

ამრიგად, თემის აქტუალობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

1. კონცეპტთა კვლევა იძლევა კოგნიტური პროცესების, ადამიანის მენტალური სამყაროს გააზრების შესაძლებლობას. ეს ბუნებრივია, ვინაიდან სწორედ კონცეპტი წარმოადგენს

- ადამიანის მიერ სამყაროს კონცეპტუალიზაციის საფუძველს. კონცეპტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მარკერი მისი ეთნოკულტურული დეტერმინირებულობაა;
2. ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში ჩამოყალიბებულ მიმართულებებში - კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიაში - ცხადად იკვეთება კონცეპტის კვლევისადმი სულ უფრო მზარდი ინტერესი, რაც განპირობებულია კონცეპტში არსებული ინფორმაციის მრავალგანზომილებიანობით;
 3. ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტურული კვლევები იძლევა სამყაროს კონცეპტუალური, კულტურული და ენობრივი ხატების თავისებურებათა გამოვლენის შესაძლებლობას;
 4. მიუხედავად კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიისადმი მიძღვნილ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომთა სიმრავლისა, დღემდე არსებობს დისკუსიურ საკითხთა წყება, რომელიც ეხება ენაში კონცეპტის მაქსიმალურად სრული ობიექტივიზაციის მეთოდთა ეფექტურობას;
 5. ენაში ადამიანის რეპრეზენტაციის თავისებურებათა ანალიზის სიღრმე უნდა გულისხმობდეს ლინგვისტური კვლევის აქსიოლოგიურ ასპექტს, ვინაიდან სწორედ აქსიოლოგიურ ასპექტში იკვეთება ანთროპოცენტრისტული პრინციპის შემდგომი განვითარების კანონზომიერი გზა. ლინგვისტიკაში ღირებულებითი პრეფერენციების ანალიზი იძლევა ეროვნული ენობრივი ცნობიერებისა და ენობრივი სუბიექტის მოდელის კონსტრუირების შესაძლებლობას. ენა, როგორც კულტურის ფენომენი, აფიქსირებს და ასახავს როგორც კონკრეტულ სოციალურ მოცემული მომენტისათვის არსებული ღირებულებების, განწყობებისა და შეფასებების სისტემას, ისე იმ ღირებულებებს, რომლებიც მუდმივია კონკრეტული კულტურისათვის. უფრო მეტიც, ენა, რომელიც მუდმივად ურთიერთქმედებს კულტურასა და აზროვნებასთან, აყალიბებს ენობრივ პიროვნებას, რომელიც განეკუთვნება კონკრეტულ სოციოკულტურულ თემს - ერთობას, რომელსაც გააჩნია ღირებულებათა სისტემა, მორალი, ქცევა და დამოკიდებულება სამყაროსადმი;
 6. სამწუხაროდ, აქსიოლოგიური ფრაზეოლოგია წარმოადგენს ლინგვისტიკის ნაკლებად გამოკვლეულ სფეროს;

7. კონცეპტი „ბედი“ წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მსოფლმხედველობრივ უნივერსალიას - იგი განეკუთვნება ნებისმიერი ენისა და კულტურის ფუძემდებლურ კონცეპტთა რიგს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ენობრივი რეპრეზენტაციის თავისებურებათა გამოვლენა, ენაში საკვლევ კონცეპტის ობიექტივიცაზიისათვის საჭირო ელემენტების იდენტიფიცირებისა და ორგანიზების გზით.

დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის ისეთი ეტაპის განხორციელება, როგორცაა:

1. თემისათვის რელევანტური სპეციალური ლიტერატურის მოძიება და სისტემატიზაცია;
2. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ენობრივ ობიექტივატორთა გამოვლენა;
3. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ენობრივ ობიექტივატორთა კოგნიტური ინტერპრეტაცია, რაც გულისხმობს იმ კოგნიტურ დიფერენციალურ ნიშანთა გამოვლენას, რომლებიც აყალიბებს საკვლევ კონცეპტს მენტალურ ერთეულად;
4. კონცეპტის „ბედი“ მოდელირება, რაც გულისხმობს გამოვლენილ კოგნიტურ დიფერენციალურ ნიშანთა ორგანიზებას ნომინაციური ველების სახით;
5. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ნომინაციური სიმჭიდროვისა და კომუნიკაციური რელევანტურობის ხარისხის დადგენა;
6. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ანალიზის შედეგად კონკრეტული თეორიული დასკვნების გამოტანა.

კვლევის ეტაპებს მიღმა იკვეთება ისეთი საკითხები, როგორცაა:

1. იმ ელემენტების იდენტიფიცირება, რომლებიც შეადგენს კონკრეტული დროისა და სივრცისათვის რელევანტური პრინციპებისა და სამყაროს შესახებ არსებული წარმოდგენების კრებულს;
2. საკვლევ კონცეპტის ძირითადი, აქტუალური ნიშნის ფენის განსაზღვრა, რომელშიც კონცეპტი აქტუალურია კონკრეტული ენისა და კულტურის ყველა მატარებლისათვის;

3. იმ სივრცის მონიშვნა, რომელიც მოიცავს „ემოციურ-შეფასებით“, მოტივაციურ და ცნობიერების სხვა ასპექტებს და შედგება კონცეპტებისაგან;
4. ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურის თავისებურებათა ანალიზი, რაც გულისხმობს:
 - ა. სიტყვასა და კონცეპტს შორის არსებული მიმართების გამოვლენას;
 - ბ. კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკური სივრცის მიმართების იდენტიფიცირებას;
 - გ. სტრუქტურაში ცოდნის დანაწილებისა და ობიექტივიზაციის სპეციფიკის განსაზღვრას;
 - დ. მთელსა და მის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებული კავშირის ინტერპრეტაციას.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: სავარაუდოდ, საკვლევი კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა გამაერთიანებელი კონსტრუქტის ლოგიკურობა, სისრულე და ობიექტურობა მიღწევადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონსტრუქტი წარმოადგენს კონცეპტის შინაარსის შემანარჩუნებელ ძალთა შეთანხმებული მოქმედების სივრცეს.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს ინტერდისციპლინარიზმი, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობს კვლევის განხორციელებას ლინგვისტიკის, კულტუროლოგიისა და ფილოსოფიის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიის პოლიპარადიგმულობა რეალიზებულია ლინგვოკოგნიტურ, ლინგვოკულტუროლოგიურ და სისტემურ-სტრუქტურულ თეორიათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირების გზით.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს საკვლევი ფენომენისადმი:

1. სისტემურ მიდგომას;
2. ინტერპარადიგმულ მიდგომას;
3. ანალიზის ზოგადმეცნიერულ ფორმებს: ანალიზს, სინთეზს, ანალოგიზაციას, კონტრასტირებასა და მოდელირებას.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდები შემუშავებულია ენისადმი იმანენტურ და არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს კონცეპტის „ბედი“ მენტალურ და ლინგვისტურ მახასიათებელთა გამოვლენა თანამედროვე ინგლისურ ენაში ანთროპოცენტრისტული, კერძოდ კი, ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტურული პერსპექტივებიდან. უფრო დეტალურად კი, ნაშრომის მეცნიერული სიახლე გულისხმობს „ბედის“ ფრეიმის კონფიგურაციის განსაზღვრას ერთი მხრივ, კოგნიტური დიფერენციალური ნიშნების იდენტიფიცირებისა და კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა გამოვლენის, მეორე მხრივ კი, კონცეპტის ნომინაციური ველის სიმჭიდროვისა და კონცეპტის კომუნიკაციური რელევანტურობის ხარისხის განსაზღვრის გზით.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტი:

1. ნაშრომში განხორციელებულია კონცეპტის „ბედი“ ობიექტივატორთა ანალიზი ანთროპოცენტრიზმისა და აქსიოლოგიის პერსპექტივებიდან;
2. კვლევის ინტეგრაციულობა რეალიზებულია თანამედროვე ლინგვისტიკის ისეთ მიმართულებათა სინთეზირებით, როგორცაა კოგნიტური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია;
3. ნაშრომში სინთეზირებულია კონცეპტუალური და სემანტიკური ანალიზის მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ბედის ფენომენის დესკრიფციის სისრულეს.

ნაშრომის თეორიული ღირებულების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სამ ძირითად ასპექტს:

1. ინტერდისციპლინარულობას - მეთოდოლოგია ეყრდნობა ისეთ დისციპლინათა მონაცემებს, როგორებიცაა ლინგვისტიკა, ფილოსოფია და კულტუროლოგია;
2. აქტუალობას - საკვლევ პრობლემათა აქტუალობა ეფუძნება იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკიდან;
3. პოლიპარადიგმულობას - მეთოდოლოგია ცენტრირებულია როგორც სტრუქტურულ, ისე კოგნიტურ ლინგვისტიკაზე;
4. ინტერპარადიგმულობას - მეთოდოლოგია ეფუძნება პარადიგმული სინთეზის პრინციპს.

კვლევაში გამოყენებულია ცნებათა და მეთოდთა ის ერთობლიობა, რომლებიც უკავშირდება საკუთრივ ლინგვისტური აზროვნების განვითარების თანამედროვე ეტაპებს. მთლიანობაში მეთოდოლოგია ეყრდნობა ყველა იმ განზომილებას, რომელთა მნიშვნელობაც დასტურდება მთელი კვლევის პროცესში. სწორედ სხვადასხვა სააზროვნო სივრცისა და პარადიგმის სინთეზი განსაზღვრავს ნაშრომის თეორიულ ღირებულებას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის, ისე სტრუქტურული ლინგვისტიკის, ინგლისური ენის სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია „ბედის“ აღმნიშვნელი ერთეულები თანამედროვე ინგლისურ ენაში. მასალა მოპოვებულია განმარტებით ლექსიკონების, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელის მონაცემთა ანალიზის შედეგად.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე; განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

თავი I. კვლევის მეთოდოლოგია

1.1. კვლევის მეთოდები და პრინციპები

რა ტიპის მეთოდოლოგია და მეთოდები უზრუნველყოფს ადეკვატური საკვლევი ერთეულის კონსტრუირებას? რა პრინციპებს უნდა დაეფუძნოს საკვლევი სივრცის მოდელირება? რა ტიპის მეთოდოლოგია დაგვეხმარება კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში? რა ტიპის მეთოდოლოგიაში უნდა ვეძიოთ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. არის თუ არა საკმარისი სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე ორიენტირებული ანალიზი კანონზომიერებათა ჩამოყალიბებისათვის?
2. როგორ უნდა განხორციელდეს კონცეპტის, როგორც მენტალური ერთეულის, არსის წვდომა?
3. რა ტიპის მიმართება ფიქსირდება კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკურ სივრცეს შორის?
4. რა წარმოადგენს ლექსემისა და კონცეპტის დიფერენციალურ ნიშანს?

პასუხები, რომლებიც შემდეგნაირად ჟღერს, მოიძებნა მხოლოდ ინტეგრაციული მიდგომის წყალობით:

1. კანონზომიერებათა ჩამოყალიბებას ვერ უზრუნველყოფს სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე ორიენტირებული ანალიზი, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს იმ კონცეპტთა ძიებას, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ნიშნის გარშემო და განსაზღვრავენ ამ ნიშნის, როგორც კოგნიტური სტრუქტურის, არსებობას. სემანტიკური ანალიზი ორიენტირებულია სიტყვის ახსნაზე, კონცეპტუალური ანალიზი კი - სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის სპეციფიკის წარმოდგენაზე (ვეუბიკა/Wierzbicka, 1992), (ფოდორი/Fodor 1963);
2. კონცეპტი - ადამიანის ცნობიერების გლობალური ერთეული - არის, იდეა, რომელიც ხასიათდება აბსტრაქტული, კონკრეტულ-ასოციაციური და ემოციურ-შეფასებითი მარკერებით. კონცეპტის, როგორც მენტალური ერთეულის, არსის წვდომა შესაძლებელია ენაში კონცეპტის ობიექტივიზაციის საშუალებათა ანალიზის გზით (რადენი/Radden,

1992). იმ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია (ვერბალიზაცია, რეპრეზენტაცია) წარმოადგენს კონცეპტის ნომინაციურ ველს;

3. კონცეპტუალური სფერო წმინდა აზროვნების სფეროა. იგი შედგება კონცეპტებისაგან, რომელიც არსებობს აზრობრივი ხატების, სქემების, ფრეიმებისა და სცენარების სახით (ჩეიფი/Чейф, 1975), (კროფტი & კრუზი/Croft & Cruse, 2004), (პატნემი/Putnam, 1975); ენის სემანტიკური სივრცე წარმოადგენს კონცეპტუალური სფეროს ნაწილს, რომელმაც მიიღო გამოხატულება ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით (ლერერი & კიტი/Lehrer & Kitty, 1992). მნიშვნელობასა და კონცეპტს შორის არსებული მსგავსება გულისხმობს იმ ფაქტს, რომ მნიშვნელობაც და კონცეპტიც ასახავს სინამდვილეს (კოულსონი/Coulson, 2001). მათ შორის არსებული განსხვავება კი შემდეგში მდგომარეობს (ბარსელოუ/Barsalou, 1992): კონცეპტი ადამიანის კოგნიტური ცნობიერების პროდუქტია, მნიშვნელობა კი – ენობრივი ცნობიერების. მნიშვნელობასა და კონცეპტს შორის არსებული მიმართება ასოცირდება მთლიანისა და ნაწილის მიმართების სპეციფიკასთან: მნიშვნელობა წარმოადგენს კონცეპტის ნაწილს (კროფტი/Croft, 1990). ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტები გამოხატავენ ნიშანთა კონცეპტუალურ თვისებებს, მაგრამ არასრულად (კოულსონი & ოკლი/Coulson & Oakley, 2000). კონცეპტი უფრო ფართოა, ვიდრე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა და კონცეპტი ერთმანეთთან იმყოფებიან კომუნიკაციურად რელევანტური ნაწილისა და მენტალური მთლიანობის მიმართებაში;
4. ლექსემა ხასიათდება სემანტიკით, კონცეპტი კი - შინაარსით. ლექსემათა სემანტიკა იყოფა სემანტიკურ კომპონენტებად, კონცეპტის შინაარსი კი - კონცეპტუალურ ნიშნებად (ბელი/Bell, 1990), (ლანგაკერი & ვიქტორი/Langacker & Victorri, 1994).

ნაშრომში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება შემდეგ დეფინიციასთან ჰემმარტეხას:

1. სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს სამყაროს შესახებ არსებული წარმოდგენებისა და პრინციპების კრებულს, რომელიც ადეკვატურია კონკრეტული დროისა და სივრცისათვის (მინსკი/Minsky, 1972); აღნიშნული პრინციპები და წარმოდგენები, შესაძლოა, არ იყოს გაცნობიერებული ადამიანის მიერ, თუმცა ისინი „ჩართულია“ სემანტიკურ ფრეიმში და გამოიყენება კონკრეტული ფენომენის ინტერპრეტაციისათვის -

ფენომენის აღქმისა და შეფასებისათვის (მინსკი/Minsk, 1986), (ვუდსი/Woods, 1975), (გენტნერი & გოლდინ-მედოუ/Gentner & Goldin-Meadow, 2003);

2. სემანტიკურ ფრეიმში რეალიზებულია კატეგორიათა და ცნებათა შორის არსებულ მიმართებათა ინდივიდუალური სისტემა (რადენი/Radden, 1992). საზოგადოების განვითარების სპეციფიკა, ჩვეულებრივ, იწვევს სემანტიკური ფრეიმის ტრანსფორმაციას - ფენომენის ახსნის ახალ ეტალონთა დამკვიდრებას (ჰოუკინსი/Hawkins, 2005), (მინსკი & პაპერტი/Minsky & Papert, 1969), (სიმონსი/Simmons, 1973);
3. ახალი მსფოლმხედველობა აყალიბებს ახალი ტიპის მსოფლალქმასა და მსოფლგანცდას, რაც, საბოლოო ჯამში, ხდება სემანტიკური ფრეიმის ტრანსფორმაციის პირობა (ლაკოფი & კაუფმანი/Lakoff & Kaufman, 1988), (ლაიმინგი & შადბოლტი/Liming & Shadbolt, 2007), (ბენჯამინსი, შრაიბერი, აკერმანსი, ანჯევირდენი, ჰოოგი, & ვიელინგა/Schreiber, Akkermans, Anjewierden, Hoog & Wielinga, 2000).

სემანტიკური ფრეიმის აგების პრობლემა ასოცირდება რთული სისტემის აგების პრობლემასთან. სწორედ ამიტომ მივმართეთ სისტემოლოგიას. სწორედ ამ სააზროვნო სივრცეში იკვეთება ჩვენი კვლევის განხორციელებადობის მოდუსი. სწორედ ამ სააზროვნო სივრცეში ფიქსირდება ადეკვატური სისტემის დაპროექტებისადმი არსებულ მიდგომათა ინტეგრაციის ეფექტური გზა. ეს გზა გულისხმობს სტრუქტურულ და ობიექტურ მიდგომათა ინტეგრაციას.

ინტეგრაციულმა მიდგომამ უზრუნველყო:

1. დეკომპოზიციის იდეაზე დაფუძნებული ანალიზის განხორციელება, კერძოდ კი, თითოეული ობიექტის განსაზღვრული კლასის ეგზემპლარად განხილვა;
2. ტიპიზაციაზე დაფუძნებული ანალიზის განხორციელება, კერძოდ კი, ცნებების კლასში ქვეკლასების გამოყოფა თვისებების ნაწილობრივი მემკვიდრეობითობით.

აღნიშნულმა მეთოდოლოგიამ გაცილებით მკაფიო გახადა ფენომენის როგორც წმინდა ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ანალიზის მეთოდების ღირებულება.

კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ერთეულთა ორგანიზება ნაშრომში განხორციელდა შემდეგი პრონციპების დაცვით:

1. სისტემა განსაზღვრავს მის ელემენტებს და პირიქით;
2. მნიშვნელობის მქონე განსაზღვრულობა ცალკეული სიტყვისა მომდინარეობს მთელის აგებულების კანონზომიერებიდან;
3. ორგანული მთელის წევრები განსაზღვრავენ ერთმანეთს თავიანთი ადგილის გათვალისწინებით;
4. ენობრივ მნიშვნელობათა მთლიანობრივი პრინციპი და შინაარსობრივი ურთიერთგანსაზღვრულობის თვალსაზრისი იძლევა ენობრივ მნიშვნელობათა შინაარსობრივად კვლევის საშუალებას;
5. ყოველი ელემენტი, როგორც ღირებულებათა სისტემის წევრი, განისაზღვრება სხვა ელემენტებით. ეს ნიშნავს, რომ სისტემა განსაზღვრავს მის ელემენტებს და პირიქით.

გამოყენებულმა ინტეგრაციულმა მეთოდოლოგიამ უზრუნველყო კონსტრუირებული ერთეულის ადეკვატურობა, რაშიც იგულისხმება ერთეულის უნარი, ასახოს:

1. სამყაროს შესახებ კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ცოდნისა და წარმოდგენების კომპლექსი;
2. მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის მანერა;
3. სოციუმის შემეცნებითი და ტექსტობრივი მოღვაწეობის სპეციფიკა;
4. ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის სპეციფიკა;
5. ცოდნის აღნიშნულ სახეობათა ერთიანობა;
6. ფრაგმენტების ერთიანობად გარდაქმნის პროცესის სპეციფიკა (ფრაგმენტები არ არიან იზოლირებულები - ისინი ურთიერთქმედებენ, ამასთან მათი ურთიერთქმედება ატარებს ერთიან სისტემურ ხასიათს (ადელი/Adeli, 1994), (კენდალი/Kendal, 2007);
7. ცნებათა იერარქიულობა, რაშიც ვლინდება გაგების გაღრმავება და ცნებათა აბსტრაქტულობის დონის ამაღლება (ცნებათა იერარქია არის გლობალური სქემა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ნებისმიერი საგნობრივი სფეროს ცოდნის სტრუქტურის კონცეპტუალურ ანალიზს. ცნებათა უმრავლესობა ქმნის იერარქიულ ქსელს), (შიფერი & სტილი/Schiffer & Steel, 1988), (სოვა/Sowa, 1984), (ტალმი/Talmy, 2000). აღნიშნული ქსელის სტრუქტურული თავისებურება - გრადუალურობა - განპირობებულია ადამიანის მეხსიერებაში აკუმულირებულ ცნებათა შორის არსებული

ურთიერთკავშირით (რიდი/Reed, 1996), (როსი, ბიელი & ანგულო/Rossi, Biehl & Angulo, 2008);

8. რეალობის განუწყვეტელი „ფრეიმირების“ პროცესის თავისებურება (სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს. იგი გააზრებულია სტერეოტიპული აღქმის წარმოდგენისათვის საჭირო აბსტრაქტულ სახედ).

ამ ტიპის ერთეულის კვლევა გულისხმობს „შემთხვევებისა“ და „ინტერპრეტაციების“ ანალიზს ზოგად კანონზომიერებათა იდენტიფიცირების მიზნით. სწორედ კანონზომიერებები წარმოადგენს ერთეულის ელემენტა მორგანიზებელ ინტერსუბიექტურ ძალას (ფოდორი/Fodor, 1963), (გარდინერი/Gardiner, 1985).

გამოყენებულმა მეთოდოლოგიამ უზრუნველყო ცოდნის ერთგვარი მატრიცის შექმნა, რომელშიც ელემენტები შეირჩა განსაზღვრული წესების გათვალისწინებით (ბელი/Bell, 1988): ელემენტები უნდა შეესაბამებოდნენ რომელიმე ერთ სფეროს, ყველანი ერთად კი აზრობრივად (შინაარსობრივად) იყვნენ დაკავშირებული (დანი/Dunn, 1986).

მატრიცაში ვლინდება ადამიანის მიერ სამყაროს ხედვის თავისებურება. მისი „გაგება“ ხორციელდება ელემენტთა კონკრეტიზაციის, ასევე მათ რეალურ სამყაროში არსებულ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით (ლიდერმანი/Lederman, 2001). მატრიცა წარმოადგენს ადამიანის მეხსიერებაში აკუმულირებულ, მონაცემთა მრავალრიცხოვან სტრუქტურას, მოვლენათა და საგანთა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის ცენტრს (ფეი, ბელი & ბანისტერი /Fay, Bell, & Bannister, 2003), (ფოკონიერი/Fauconnier, 1980).

კვლევის შერჩეული მეთოდოლოგია და კვლევის მეთოდები ადეკვატური აღმოჩნდა კვლევის მიზნისათვის - აგვეგო სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს და აერთიანებს თავის შემადგენელ კომპონენტებს (შენი/Chen, 2007).

საბოლოო ჯამში, ინტეგრირებული მეთოდოლოგიის, სემანტიკური დეკომპოზიისა და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდების გამოყენებით აიგო კონსტრუქტი, რომლის ობიექტთა უმრავლესობას გააჩნია იერარქიული ორგანიზაცია - ნებისმიერი პროცესი თუ

მოვლენა შეიძლება განხილულ იქნას როგორც უფრო წვრილი ქვესიმრავლის სიმრავლე და პირიქით, ნებისმიერი ობიექტი შეიძლება, განხილულ იქნეს როგორც განზოგადების უფრო მაღალი კლასის ელემენტი (ფუნგი, ჩერტკოვი, მურთა, უაითჰედი & ტემპელმენი/Fung, Chertkow, Murtha, Whitehead & Templeman, 2001).

ცნებებს შორის დამოკიდებულება ვლინდება როგორც კონსტრუქტის თითოეული დონის ფარგლებში, ისე დონებს შორისაც. კონსტრუქტი აკავშირებს ყველა ცნებასა და მათ შორის არსებულ ყველა მიმართებას (ფალმენი/Fahlman, 1979), (დანი, კაჰილი, დიუკსი & გინსბერგი/Dunn, Cahill, Dukes & Ginsberg, 1986).

კონსტრუქტის კვლევის ტექნიკა მდგომარეობს იმ მრავალფეროვან პროცესებში, რომლებიც იძლევიან მონაცემთა ობიექტური და მიუკერძოებელი ინტერპრეტაციის საშუალებას (ფოკონიერი/Fauconnier, 1998), (ქოულსონი & ოუქლი/Coulson, & Oakley, 2000).

კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია, უზრუნველყოს კოგნიტური სემანტიკის თითოეული ტიპური სფერო ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებისა და პრინციპების ისეთი სისტემით, რომელშიც თითოეული მათგანი გარკვეულ კონტექსტში იგულისხმებს რომელიმე მეორეს, ხოლო ეს მეორე სხვა კონტექსტში ივარაუდება რომელიმე მესამეს და ა.შ.

1.2. სემანტიკურ-კოგნიტური ანალიზის თავისებურებები

ლინგვოკოგნიტური კვლევასადმი ჩვენს მიდგომას ვუწოდებთ სემანტიკურ-კოგნიტურს. ამ სახელწოდებით აქცენტირდება კვლევის ძირითადი მიმართულება, რომელიც გულისხმობს როგორც ენის სემანტიკისა და ერის კონცეპტუალური სფეროს, ისე სემანტიკურ და კოგნიტურ პროცესთა მიმართების კვლევას.

კოგნიტური ლინგვისტიკის ჩამოყალიბება უკავშირდება ფსიქოლინგვისტიკის თეორიული პოსტულატების ფორმირებას. სწორედ ფსიქოლინგვისტიკაში დაიწყო მსჯელობა არავერბალური აზროვნებისა და ადამიანის ცნობიერებაში კონცეპტუალური სფეროს

არსებობის შესახებ. აღნიშნული სფერო შედგება მუდმივად ცვალებადი და განახლებადი ცოდნის კვანტებისაგან - კონცეპტებისაგან.

ენის ნიშნები, რომლებსაც ადამიანი ქმნის ინფორმაციის გადაცემის მიზნით, მხოლოდ პუნქტურია კონცეპტუალური აზრის სივრცეზე. კონცეპტუალური სფერო გაცილებით ფართოა, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით. ფსიქოლინგვისტიკის ეს თეორიული დებულება საფუძვლად დაედო კოგნიტური ლინგვისტიკის მეთოდოლოგიის შემუშავებას.

აღნიშნული მეთოდოლოგიის ძირითადი დებულება შემდეგში მდგომარეობს: ადამიანთა კონცეპტუალურ სფეროში შეღწევა შესაძლებელია ენობრივ ნიშანთა გზით. ეს შესაძლებლობა გულისხმობს იმის გამოვლენას, თუ რა იყო მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ერისათვის მისი არსებობის სხვადასხვა მონაკვეთში, რა დარჩა ამა თუ იმ ერის მხედველობის არეს მიღმა.

სწორედ ამ მეთოდოლოგიურ დებულებას ეფუძნება კოგნიტური ლინგვისტიკის სფეროში გენერირებული მეთოდები, რომლებიც იძლევა როგორც ნაციონალური, ისე ზაგადადამიანური აზროვნების თავისებურებათა იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

ადამიანის აზროვნება არავერბალურია - ადამიანი აზროვნებს უნივერსალური საგნობრივი კოდებით - კონცეპტებით. კონცეპტი ადამიანის ცნობიერების კუთვნილება, სააზროვნო ქმედების გლობალური ერთეულია. ადამიანის ცნობიერებაში კონცეპტთა მოწესრიგებული ერთობლიობა ქმნის კონცეპტუალურ სფეროს.

ენა ხელმისაწვდომს ხდის ადამიანის ცნობიერებას, მის კონცეპტუალურ სფეროს, კონცეპტთა შინაარსსა და სტრუქტურას. ენის მეშვეობით შესაძლებელია ცნობიერების კონცეპტუალური შინაარსის მნიშვნელოვანი ნაწილის შემეცნება და ექსპლიცირება (ევანსი/Evans, 2009, გვ. 67).

ლინგვისტური მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ენობრივ ერთეულთა ლექსიკური სემანტიკის აღსაწერად, იქცა ლინგვოკოგნიტოლოგიურ კვლევათა მეთოდებად. კოგნიტური ლინგვისტიკა იკვლევს იმ ერთეულთა სემანტიკას, რომელთა მეშვეობითაც ხდება ენაში ამა თუ იმ კონცეპტის რეპრეზენტაცია - ობიექტივაცია, ვერბალიზაცია (ჰერმანი/Harman, 1988, გვ. 156).

იმ ენობრივ ერთეულთა სემანტიკის კვლევა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტთა ობიექტივაცია, ხელმისაწვდომს ხდის კონცეპტთა, როგორც აზროვნების ერთეულთა, შინაარსს. ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობების ერთობლიობა ქმნის ენის სემანტიკურ სივრცეს.

კონცეპტი წარმოადგენს კონცეპტუალურ სფეროს ერთეულს, მნიშვნელობა კი ენის სემანტიკური სივრცის ერთეულია (კუბრიაკოვა/Кубрякова, 1991, გვ. 56). მნიშვნელობა წარმოადგენს ენობრივი ცნობიერების ელემენტს, კონცეპტი კი კოგნიტური („ზოგადი“) ცნობიერების ელემენტი. მნიშვნელობა კონცეპტის (აზროვნების ერთეულის) ნაწილია, რომელიც „მიმაგრებულია“ ენობრივ ნიშანს.

არსებობს ორი ტიპის მნიშვნელობა:

1. ფსიქოლინგვიტური მნიშვნელობა - „ფსიქოლოგიურად რეალური“, რომელიც არსებობს ენის მატარებლის ცნობიერებაში სიტყვასთან დაკავშირებულ სემანტიკურ ნიშანთა მთელი პალიტრით; ფსიქოლინგვიტური მნიშვნელობა ვლინდება ექსპერიმენტული მეთოდებით;
2. ლექსიკოგრაფიული მნიშვნელობა, რომელიც ფიქსირებულია განმარტებით ლექსკონებში მოკლედ ფორმულირებული სახით.

კონცეპტი მოიცავს როგორც ფსიქოლინგვიტურ, ისე ლექსიკოგრაფიულ მნიშვნელობასაც. მიუხედავად ამ ფაქტისა, კონცეპტი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მასში შემავალ მნიშვნელობათა ჯამი. კონცეპტს არ გააჩნია ობლიგატორული კავშირი სიტყვასთან - კონცეპტი შეიძლება იყოს და არც იყოს ვერბალიზებული ენობრივი საშუალებებით.

მეტყველების აქტში ვერბალიზდება კონცეპტის კომუნიკაციურად რელევანტური ნაწილი. სწორედ იმ ენობრივ ერთეულთა სემანტიკის კვლევაზე, რომელთა მეშვეობითაც ვერბალიზდება კონცეპტი, გადის კონცეპტის ვერბალიზებადი ნაწილის აღწერის გზა.

ის ფაქტი, კონცეპტი ვერბალიზებულია, თუ - არა, არ განაპირობებს კონცეპტის არსებობის შესაძლებლობას ენის მატარებლის ცნობიერებაში. ადამიანის ცნობიერებაში არსებობს არავერბალიზებულ კონცეპტთა საკმაოდ დიდი რაოდენობა. ინდივიდუალურ ცნობიერებაში

არსებულ კონცეპტთა მნიშვნელოვანი ნაწილი კი საერთოდ არ ექვემდებარება ვერბალიზაციას.

ამა თუ იმ კონცეპტის ნომინაციათა დიდი რაოდენობის არსებობა მიუთითებს ენობრივი სისტემის მოცემული მონაკვეთის ნომინაციურ სიმკვრივეზე, რაც, თავის მხრივ, მიანიშნებს ვერბალიზებული კონცეპტის მნიშვნელოვნებაზე ერის ცნობიერებისათვის.

მიხედვად იმ ფაქტისა, რომ კონცეპტის სტრუქტურა არ არის „მყარი“, სწორედ სტრუქტურის არსებობა წარმოადგენს კონცეპტის არსებობისა და მისი კონცეპტუალური სფეროსადმი მიკუთვნებულობის აუცილებელ პირობას.

კონცეპტი შინაგანად ორგანიზებულია ველის პრინციპით და მოიცავს განცდით კომპონენტებს, ინფორმაციულ შინაარსსა და ინტერპრეტაციულ ველს.

კონცეპტის სტრუქტურას ქმნის კოგნიტური ნიშნები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მიერ მინიჭებული სიმკვეთრის ხარისხით ენის მატარებლის ცნობიერებაში და მათი ადგილით კონცეპტის სტრუქტურაში. კოგნიტური ნიშნები კონცეპტის სტრუქტურაში ლაგდებიან ველის პრინციპით.

ლინგვოკოგნიტურ კვლევაში სემანტიკურ-კოგნიტური ანალიზის მეთოდის გამოყენება გულისხმობს მნიშვნელობათა შინაარსიდან კონცეპტთა შინაარსისაკენ სვლას. მოძრაობის ეს ტრაექტორია კი გულისხმობს სვლას კოგნიტურ ინტერპრეტაციისაკენ. კოგნიტური ინტერპრეტაცია წარმოადგენს სემანტიკურ-კოგნიტური ანალიზის იმ ეტაპს, რომლის გარეშეც კვლევა რჩება ლინგვისტური სემანტიკის ჩარჩოში.

სემანტიკურ-კოგნიტური მიდგომა სთავაზობს მკვლევარს მიღებულ მონაცემთა გამოყენების ორ შემდეგომ შესაძლებლობას:

1. ენასთან დაბრუნებას - მიღებული კოგნიტური ცოდნის გამოყენებას ენის სემანტიკაში არსებულ მოვლენათა და პროცესთა ახსნისათვის. ამგავარი მიდგომა წარმოადგენს კოგნიტურ სემასიოლოგიას;

2. სვლას ცნობიერებისაკენ - კონცეპტთა, როგორც ეროვნული კონცეპტუალური სფეროს, ეროვნული კულტურის ერთეულთა მოდელირებას. ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ლინგვისტურ კონცეპტოლოგიას.

სემანტიკურ-კოგნიტური მიდგომა წარმოადგენს კვლევის გზას ენიდან კონცეპტისაკენ. ეს გზა საიმედოა - ენობრივ საშუალებათა ანალიზი სრულად უზურნველყოფს კონცეპტის მარკერთა გამოვლენასა და კონცეპტის მოდელირებას.

1.3. კონცეპტუალური იერარქიის სპეციფიკა

კოგნიტური ლინგვისტიკა წარმოადგენს ლინგვისტური სემანტიკის გაგრძელებას. კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვისტურ სემანტიკას შორის არსებული სხვაობა კი შემდეგში მდგომარეობს: ლინგვისტური სემანტიკისაგან განსხვავებით, კოგნიტური ლინგვისტიკის ორიენტირს წარმოადგენს განზოგადების უფრო მაღალი დონის მქონე სემანტიკური (კონცეპტუალური) მოდელები. ეს უკანასკნელნი ჩვენს აზროვნებაში ინფორმაციის ორგანიზების მოდელების ანალოგიურია. ისევე როგორ სემანტიკისათვის, კოგნიტური ლინგვისტიკისათვისაც ძირითად ობიექტს წარმოადგენს ენისა და მეტყველების ერთეულთა მნიშვნელობა.

კუბრიაკოვას თვალსაზრისით, „მნიშვნელობა არის ნიშნით დაჭერილი კონცეპტი, ან ნიშანში განსხეულებული ინფორმაციის კვანტი. კონცეპტი, სხვა სიტყვებით, ინფორმაციის კვანტი „სახლობს“ არა ენაში, არამედ აზროვნებაში. ენის ფუნქცია კი კონცეპტის აქტივაციაა.

კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში კონცეპტი გააზრებულია როგორც აზროვნების ნებისმიერი ერთეული, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს და არც ითვალისწინებდეს მკაფიო ლოგიკური ფორმის არსებობას. კონცეპტად შეიძლება მიჩნეულ იქნას ცნება, ხატი, მოქმედების სქემა, გემტალტი და სურათი (ჰიბერტი/Hiebert, 1997), (ჰოლმსი/Holmes, 1967, გვ. 48). მთავარი ისაა, რომ ყოფიერების გაცნობიერებისას ადამიანი იყენებს კონცეპტს როგორც მთლიანობას (ლე გოფი/Le Goff, 1992). კონცეპტი, როგორ სამყაროს შემეცნების ერთეული, შეიძლება ხასიათდებოდეს ინფორმაციული სიმჭირდროვის სხვადასხვა ხარისხით. მიუხედავად ამ ფაქტისა, კონცეპტი ყოველთვის რჩება მთლიანურ წარმონაქმნად, რომელსაც შეუძლია „შევსება“, შეცვლა და ადამიანის გამოცდილების ასახვა (მოანტი/Mohanty, 1989).

ამდენად, კონცეპტი წარმოადგენს ისეთ ერთეულთა ჰიპერონიმს, როგორცაა: ხატი, მოქმედების სქემა, გემტალტი და ცნება (ლონგი/Long, 1989). მაგარამ ყოველ კონკრეტულ პერიოდში იგი მდგრადია, როგორც ენობრივი სისტემა (ერლი/Erll, 2008).

კოგნიტურ ლინგვისტიკაში კონცეპტის ცნება უკავშირდება დომენის ცნებას. ხსნიან რა დომენის არსს, თ. კლაუზნერი და უ. კროფტი აღნიშნავენ, რომ აზროვნებაში შენახული კონცეპტები არ წარმოადგენს იზოლირებულ ერთეულებს. კონცეპტების გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ფონური ცოდნის სტრუქტურათა კონტექსტში. სწორედ ამ ტიპის სტრუქტურათა აღნიშვნისათვის გამოიყენება ტერმინი „დომენი“. რ. ლანგაკერის თვალსაზრისით, დომენები კოგნიტური ერთეულები, მენტალური გამოცდილება, რეპრეზენტაციული სივრცეები და კონცეპტუალური კომპლექსებია. დომენი შეიძლება იყოს ნებისმიერი კონცეპტი ან გამოცდილების სფერო. დომენის ცნება მჭიდრო კავშირშია ასოციაციურ ველთან. საბოლოო ჯამში, დომენი წარმოადგენს ფართო კონცეპტს, რომლის ფონზეც იდენტიფიცირდება ინფორმაციული პლანის თვალსაზრისით უფრო ვიწრო კონცეპტი. რ. ლანგაკერის ძირითადი იდეა დომენების თაობაზე რეალიზდება კონცეპტუალური ორგანიზაციის დონეების ცნებაში. ლანგაკერის თვალსაზრისით, კონცეპტი ქმნის პოტენციალს სხვა, უფრო სპეციფიკური კონცეპტების არსებობისათვის, თავის მხრივ კი, ეს კონცეპტები ქმნიან დომენებს, რომელთა ფარგლებშიც ჩნდებიან სხვა კონცეპტები და ეს პროცესი გრძელდება დაუსრულებლად.

სხვადასხვა დონის დომენები ქმნიან კონცეპტუალურ სფეროს - მთლიან ცნებობრივ სივრცეს. დომენი წარმოადგენს კონცეპტუალური სფეროს საზღვრებში არსებულ ინფორმაციულ კვანძს. პარცელა დომენის საზღვრებში არსებული კვანძია; კონცეპტი გააზრებულია როგორც პარცელას კონსტიტუენტი, რომელიც აღინიშნება სიტყვით ან სხვა ტიპის ენობრივი ერთეულით. კონცეპტუალურ სფეროში ცნებობრივი სივრცეების მეშვეობით მიმდინარეობს „ინფორმაციის გრანულაცია“. ამ ტიპის მოდელი შეიძლება, წარმოვიდგინოთ მატრიცის ან ქსელის სახით. დომენების კრებული ღია სტრუქტურაა. კომპლექსურ მატრიცაში დომენები არსებობენ არა იზოლირებულად, არამედ ფენებად ედებიან ერთმანეთს.

კონცეპტუალური სფერო, როგორც ვერბალიზებული ინფორმაციის ფრაგმენტი, წარმოადგენს „ქსელს ქსელში“, რომელსაც გააჩნია შემდეგი ტიპის იერარქიული სტრუქტურა:

კონცეპტუალური სფერო წარმოადგენს დომენების ქსელს, თითოეული დომენი წარმოადგენს რამდენიმე პარცელას ქსელს, თითოეული პარცელა წარმოადგენს კონცეპტების ქსელს, თითოეული კონცეპტი წარმოადგენს მახასიათებელ ნიშანთა ქსელს.

მატრიცული და ქსელური მოდელები მოიცავს საყაროს შესახებ არსებული ცოდნის კონცეპტუალურ ჩარჩოებს, სხვა სიტყვებით, ცოდნის კლასტერებს, ცოდნის ერთეულებს. აღნიშნული ჩარჩოები, კლასტერები და ერთეულები იმ განზოგადებებს, რომლებშიც ვლინდება სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის სტრუქტურების წესი.

ცოდნა აისახება ღირებულებებში, სტანდარტებში - ცოდნა გადადის ხარისხში, რომელიც ცოდნის რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული. მაგრამ თავად მონაცემების შეკრება, ინფორმაციის ანალიზი, სინთეზი და მისი გარდაქმნა ცოდნად ერთი მთლიანი იერარქიული პროცესია. ამ პროცესის მთლიანი სტრუქტურის საფუძველზე ცოდნა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მოდელი, რომელიც გამოიყენება ინტერპრეტაციისა და პროგნოზირებისათვის და რომელიც წარმოადგენს დეკლარაციული (ფაქტები) და პროცედურული (მეთოდები) მტკიცებულებების ნაერთს.

არის თუ არა მატრიცული და ქსელური მოდელები ქაოსური? ქაოსური გვეჩვენება მხოლოდ ის რთული სისტემები, რომელთაც გააჩნია თავისუფლების მაღალი ხარისხი, თუმცა ქაოსი წარმოადგენს მარტივი და მოწესრიგებული სისტემების მარკერსაც.

ფაქტია, რომ ქაოსი თავს იჩენს ძალიან მარტივ სისტემებშიც კი, რომელთაც გააჩნიათ თავისუფლების საკმაოდ დაბალი ხარისხი. ქაოსის შეცნობის პრობლემა ერთი შეხედვით კონფლიქტში მყოფი ცნებების – უწესრიგობისა და დეტერმინიზმის ერთმანეთთან მორგებაში მდგომარეობს. ამგვარი შეცნობა ეფუძნება ინტუიციური გაგებას. ინტუიციური გაგება გულისხმობს სისტემის ქმედების დახასიათებას ზემოქმედებისა და რეაქციის ცნებათა მეშვეობით. აქ ვგულისხმობთ, იმ „ბიძგებს“, რომელზეც ფიქსირდება „ასოციაციური რეაქციები“.

სისტემებში ზოგიერთმა ცვლილებამ შესაძლოა ბიძგი მისცეს ისეთ კომპლექსურ პროცესს, რომელსაც ჩვენ ქაოსს ვუწოდებთ. ერთი შეხედვით ქაოსური მოუწესრიგებლობის უკან დგას

გარკვეული კანონზომიერება, სხვა სიტყვებით, ერთი შეხედვით, ქაოსური სისტემის მიღმა იკვეთება სრულიად დეტერმინისტული სისტემა.

ჩვენი მენტალური გამოცდილების დაუსრულებელი განვითარების წყალობით ჩნდებიან მოცულობითა და სირთულით განსხვავებული კონცეპტუალური იერარქიები.

იერარქიულად ორგანიზებულ კონცეპტუალურ სივრცეთა ანალიზისას ჩნდება სხვადასხვა დონის დომენების ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობა.

მატრიცული და ქსელური მოდელები არსებითად დეტერმინისტული სისტემებია, სხვა სიტყვებით, დროისა და სივრცის კონკრეტულ მონაკვეთში შესაძლებელია ამგვარ სისტემათა მდგომარეობის ზუსტი ცოდნა. სწორედ ეს ცოდნა იძლევა საშუალებას ვიწინასწარმეტყველოთ, თუ როგორი იქნება სისტემა მომავალში.

თავი II. ლინგვოკოგნიტოლოგია და ლინგვოკულტუროლოგია

2.1. ენისადმი კოგნიტური მიდგომის არსი

ლინგვისტიკის განვითარების ისტორია შეიძლება აღიწეროს როგორც მეცნიერულ პარადიგმათა ცვლის პროცესი. ბუნებრივია, სრულიად შესაძლებელია პარადიგმათა დროში თანარსებობა და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აქვს აზრი მსჯელობას პარადიგმათა სიმკვეთრის მეტ-ნაკლებობაზე. XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის ლინგვისტიკის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს კოგნიტური მეცნიერების გავლენის ზრდა ლინგვისტიკაზე.

კოგნიტური ლინგვისტიკისა და ენისადმი კოგნიტური მიდგომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უპირატესობად მკვლევარები მიიჩნევენ შემდეგ ფაქტს: კოგნიტოლოგია უზრუნველყოფს ენის ხედვის ფართე პერსპექტივას, რაც გულისხმობს ისეთ შესაძლებლობათა უზრუნველყოფას, როგორიცაა:

1. ენასა და ადამიანს შორის არსებულ მიმართებათა მრავალფეროვნების წვდომა;
2. ენასა და ინტელექტს შორის არსებულ მიმართებათა განსაზღვრა (კროფტი & კრუსი/Croft & Cruse, 2009, გვ. 356), (ლანგაკერი/Langacker, 1988, გვ. 49–89).

კოგნიტივიზმის ფარგლებში ენობრივი ფაქტები განიხილება კოგნიტური სემანტიკის პოზიციიდან. ენობრივი მონაცემები წარმოადგენს მენტალური პროცესების ანალიზისა და მოდელირებისათვის საჭირო მასალას. ეს კი ნიშნავს, რომ კოგნიტივიზმზე ცენტრირებული სემანტიკური თეორია უნდა ასახავდეს იმას, რაც სინამდვილეში ხდება ადამიანის გონებაში.

კოგნიტური პერსპექტივის სპეციფიკით აღბეჭდილ სემანტიკურ კვლევათა ანალიზი საკმაოდ რთული ამოცანაა, ვინაიდან, მიუხედავად თვალსაზრისთა გარკვეული ერთობისა, არ არსებობს უნივერსალურ დებულებათა მზა მოდელი. შესაბამისად, კოგნიტური პერსპექტივის სპეციფიკით აღბეჭდილ სემანტიკურ კვლევათა ანალიზი წარმოადგენს იდეათა და თვალსაზრისთა პანორამას.

მკვლევართა უმრავლესობა კონიტური ლინგვისტიკისათვის სიმპტომატურად მიიჩნევს შემდეგ დებულებებს:

1. ადამიანის კოგნიტური უნარების დესკრიფცია გულისხმობს მენტალურ რეპრეზენტაციათა არსებობის ფაქტს;
2. მენტალური რეპრეზენტაციების დესკრიფციის პროცესი გულისხმობს დისტანცირებას, ერთი მხრივ, ბიოლოგიური და ნეიროლოგიური, მეორე მხრივ კი, სოციალური და კულტურული თავისებურებებისაგან (ლანგაკერი/Langacker, 1988, გვ. 49-90), (ლაკოფი/Lakoff, 1987, გვ. 614)

ასევე მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ კონიტიური ლინგვისტიკა კომპლექსური სააზროვნო სივრცეა, რომლის წარმოადგენაც შესაძლებელია „მეცნიერებათა ფედერაციის“ სახით (ლანგაკერი/Langacker, 1993, გვ. 1-38).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა წარმოადგენს კოგნიტოლოგიურ პერსპექტივაში ინტეგრირებულ სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა საერთო მნიშვნელს? - ამგავარ საერთო მნიშვნელს წარმოადგენს ადამიანური კოგნიცია როგორც - აღქმის სისტემათა ურთიერთქმედება, ინფორმაციის რეპრეზენტაცია და პროდუცირება.

მკვლევართა უმრავლესობა აღიარებს, რომ:

1. ადამიანის კოგნიტური სამყარო შეისწავლება მისი ქცევისა და განხორციელებული ქმედებების მიხედვით;
2. ენა არა მხოლოდ „ჩართულია“ ქმედების ამა თუ იმ ტიპში, არამედ ქმნის ქმედების ენობრივ საფუძველს - ახდენს ქმედების ინტენციის ობიექტივაციას (სოვა/Sowa, 1984), (ლაკოფი/Lakoff, 1987), ((კროფტი & კრუსი/Croft & Cruse, 2009, გვ. 356).

ჩვენ შეეჭვრებით კოგნიტური სემანტიკის ფარგლებში ფუნქციონირებად რამდენიმე, ჩვენი კვლევისათვის რელევანტურ თეორიულ კონსტრუქტზე.

კონცეპტი კოგნიტური თეორიის ბირთვული ელემენტია. მკვლევართა ერთი ნაწილი, კონცეპტის ძირითად მახასიათებლად მიიჩნევს მის არაიზოლირებულობას, მიმბულობას სხვა კონცეპტებთან. სწორედ ეს მახასიათებელი განაპირობებს იმ ფაქტს, რომ კონცეპტი „ჩართულია“ დომენებში (domains), რომლებიც, თავის მხრივ, აყალიბებენ ფრეიმულ სტრუქტურას (ვაილი/Wille, 1999), (ლანგაკერი/Langacker, 1991).

დომენები ქმნიან იმ სემანტიკურ ფონს, რომლიდანაც გამოიყოფა კონცეპტი. თითოეული დომენი მოიცავს მარკერთა რეპერტუარს - განზომილებას (dimension). მარკერთა რეპერტუარი - განზომილება თავადაც შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც ცალკეული დომენი (ჰოუკინსი/Hawkins, 2005).

კოგნიტური სემანტიკის ერთ-ერთ ურთულეს ცნებას წარმოადგენს სქემა. სქემა წარმოადგენს სქემატურ სტრუქტურას, რომლის მეშვეობითაც ორგანიზდება ადამიანის გამოცდილება. სქემაში ფიქსირებულია ადამიანს აღქმისა და ქმედების დინამიური მოდელი (pattern), რომელიც ხასიათდება განმეორებითობით (ფინქერი/Pinker, 1997), (ლაკოფი/Lakoff, 1990, გვ. 39-74).

სქემა წარმოადგენს გამოცდილების ფრაგმენტთა სივრცეს, რომლის მთლიანობასაც უზრუნველყოფს „ანთროპოცენტრისტული ატრაქცია“.

მნიშვნელობის პროტოტიპული წარმოდგენა კოგნიტური მიმართულების ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია (როში/Rosch, 1978, გვ. 27-48), (როში/Rosch, 1975, გვ. 192-233), (მერვისი/Mervis, 1981, გვ. 89-115), (ვეჟბიკაია/Wierzbicka, 1972).

ენობრივ ერთეულთა პოლისემია წარმოადგენს „რადიალურ“ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვნების, მდგრადობისა და ცნობადობის მაქსიმალურად მაღალი ხარისხით აღბეჭდილ ცენტრს და მნიშვნელოვნების, მდგრადობისა და ცნობადობის შედარებით დაბალი ხარისხით აღბეჭდილ პერიფერიას (ლაკოფი, 1987, გვ. 614), (ლაკოფი, 1988, გვ. 477-508).

„ბადე“, რომელიც წარმოადგენს ერთი და იმავე ენობრივი ერთეულის ცალკეულ მნიშვნელობათა ერთ მთლიანობამდე დაყვანის შესაძლებლობის დემონსტრაციას. ბადის ისარი მიუთითებს ელემენტთა შორის არსებულ კავშირთა მიმართულებაზე - ისარი მიმართულია ცენტრალურიდან პერიფერიულისაკენ (ლანგაკერი, 1984).

ყველაზე კარგად ადამიანმა იცის ის, რაც მან მიიღო გამოცდილებით, იგულისხმება: ობიექტები, ქმედებები და მიმართებები, რომლებიც განეკუთვნება ადამიანისა და სამყაროს

ურთიერთობის ბაზისურ დონეს. შესაბამისად, კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა მოიცავს:

1. კატეგორიზაციის მექანიზმებისა და მოდელების თავისებურებათა განსაზღვრას;
2. ენისა და აზროვნების მიმართების თავისებურების გამოვლენას (როში, 1977, გვ. 1-49).

კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს ადამიანის, როგორც ინფორმაციის აღმქმელისა და მაპროდუცირებელის, ინტერპრეტაცია. აღნიშნული ინტერპრეტაციის თანახმად, აღიქვამს და ახდენს რა ინფორმაციის პროდუცირებას, ადამიანი ხელმძღვანელობს სქემებით.

2.2. კონცეპტუალური სტრუქტურები და გამოცდილების ინტერპრეტაცია

კოგნიტურ სემანტიკაში არსებული სხვადასხვა თეორიული მოსაზრების მიუხედავად, იკვეთება საერთო შეხედულება ცალკეული მნიშვნელოვანი თეორიული კონსტრუქტების თაობაზე: (i) ძირითადი სემანტიკური ერთეული არის მენტალური კონცეპტი; (ii) კონცეპტების აღქმა შეუძლებელია იმ დომენისგან დამოუკიდებლად, რომელშიც ეს კონცეპტებია წარმოდგენილი; (iii) კონცეპტუალური სტრუქტურები წარმოადგენს გამოცდილების ინტერპრეტაციას, რომელიც აქტიური მენტალური ოპერაცია გახლავთ; და (iv) კონცეპტის კატეგორიები მოიცავს პროტოტიპებს და მათ არეგულირებს (სულ მცირე) ტაქსონომიური კავშირები. მიუხედავად იმისა, რომ „კონცეპტის“, „დომენის“, „ინტერპრეტაციისა“ და „კატეგორიის სტრუქტურის“ ძირითადი კონსტრუქტები სხვადასხვა სახელით გვხვდება, არსებითად, კოგნიტურ ლინგვისტიკაში მოღვაწე მკვლევარებისთვის ისინი ერთი და იგივეა.

ჩვენ განვიხილავთ „ხატებით აზროვნებას“ (არსებული ძირითადი კონცეპტუალური სტრუქტურების) ანუ მეხუთე თეორიულ კონსტრუქტს, რომლის ხატებით აზროვნების მოდელებიც დომენის ქვეტიპს წარმოადგენს.

განხილვას ვიწყებთ ლანგაკერის მიერ შემოთავაზებული დომენების თეორიით, რომელიც ფილმორის ფრეიმის სემანტიკის თეორიის იდენტური გახლავთ. ლანგაკერი დომენის ორ ტიპს განასხვავებს – ლოკაციურსა და კონფიგურაციულს.

კოგნიტური მეცნიერების წარმომადგენელმა ლინგვისტებმა და კოგნიტივისტებმა სემანტიკის კოგნიტურ ლინგვისტურ თეორიებთან მიმართებაში მრავალი ძირითადი თეორიული კონსტრუქტი შემოგვთავაზეს. მიუხედავად იმისა, რომ კოგნიტური მეცნიერების წარმომადგენელი სხვადასხვა ლინგვისტი განსხვავებულ ტერმინებს იყენებს, არსებობს მთელი რიგი ძირითადი თეორიული კონსტრუქტები – კერძოდ კი „კონცეპტები“, „დომენები“, „ინტერპრეტაცია“ და „კატეგორიის სტრუქტურა“, რომელიც მნიშვნელოვანია ყველა კოგნიტური ლინგვისტური თეორიისათვის.

კოგნიტური სემანტიკის ყველაზე მთავარი თეორიული კონსტრუქტი გახლავთ კონცეპტი, რომელიც არის მენტალური რეპრეზენტაციის ძირითადი ერთეული. კოგნიტური სემანტიკის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ კონცეპტები არ გვევლინება განცალკევებულ, განუყოფელ ერთეულებად და ნაცვლად ამისა, მათი აღქმა შესაძლებელია მხოლოდ დასაშვები, საბაზისო ცოდნის სტრუქტურების ფარგლებში. საბაზისო ცოდნის ამ სტრუქტურასთან მიმართებაში ყველაზე ზოგადი ტერმინი გახლავთ დომენი.

ტერმინი დომენი პირველად გამოიყენა ლანგაკერმა (1987) და ლაკოფმა (1987). ორივე მათგანზე გავლენა იქონია ფილმორის ნაშრომმა სემანტიკური ფრეიმების (ფილმორი 1975, 1977, 1982, 1985, 1992) შესახებ. სიტყვას ფრეიმი გააჩნია დომენების სემანტიკური მხარდაჭერის ფუნქცია. დომენებს გააჩნია სტრუქტურა, რომელიც გაცილებით უფრო მეტია ემპირიულად მსგავსი/დაკავშირებული კონცეპტების ჩამონათვალზე.

ლაკოფი (1987) აყალიბებს გაიდეალიზებული კოგნიტური მოდელის (ICM) ცნებას იმის ასახსნელად, თუ როგორ მოქმედებს ზოგიერთი კონცეპტის შემთხვევაში საბაზისო ცოდნა გამოცდილების გაიდეალიზებულ მოდელზე და რომ კატეგორიზაციის გარკვეული პრობლემები მომდინარეობს გაიდეალიზებულ კოგნიტურ მოდელსა და უფრო რთულ რეალობას შორის არსებული შეუსაბამობიდან. აქედან გამომდინარე, გაიდეალიზებული კოგნიტური მოდელი იმავე როლს ასრულებს, რასაც - დომენი. ეს მაშინ, როცა გვიჩვენებს არც

თუ ისე მარტივ ურთიერთკავშირს სემანტიკურ დომენსა და იმ გარეშე გამოცდილებას შორის, რომლის მიღებასაც გონება ცდილობს.

მესამე ძირითადი თეორიული პრინციპი, რომელიც კოგნიტური სემანტიკის საფუძველს წარმოადგენს, უკავშირდება ადამიანის გონებაში სემანტიკურ რეპრეზენტაციებსა და იმ სამყაროს შორის არსებულ ურთიერთკავშირს, რომელიც მოსაუბრეებმა გამოცდილებით იციან. ამ შემთხვევაში პრინციპი ის გახლავთ, რომ გონება აქტიურად მონაწილეობს სემანტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში და გარკვეულწილად აღიქვამს ან ხსნის მოსაუბრის მიერ სამყაროს შესახებ მიღებულ გამოცდილებას. იგივე გამოცდილება შეიძლება სხვადასხვაგვარად აღიქვან მოსაუბრეებმაც. კოგნიტური სემანტიკის ჰიპოთეზა ისაა, რომ ენის დიდი ნაწილი – კონკრეტულად კი გრამატიკული ფლექსიები და კონსტრუქციები, ისევე როგორც ლექსიკური ერთეულები, შეიძლება აღვწეროთ როგორც გამოცდილების სხვადასხვა კონცეპტუალიზაციის კოდირება.

კოგნიტურ სემანტიკაში განხორციელებული კვლევების დიდი ნაწილი დაეთმო კონცეპტუალიზაციის სხვადასხვა პროცესებისა თუ ინტერპრეტაციის მოქმედების ანალიზსა და კლასიფიკაციას (აქ ჩვენ ვიყენებთ სიტყვა ინტერპრეტაციას, როგორც საერთო ტერმინს). თალმი (1978a, 1988) ინტერპრეტაციებს ახასიათებს როგორც ხატებით აზროვნების რამდენიმე სისტემიდან რომელიმე სისტემის – ერთის ან მეორის - მახასიათებელს. ლაკოფი რაიმე განსაკუთრებულ ტერმინს არ იყენებს, გარდა ტერმინ კონცეპტუალიზაციისა, თუმცა მეტაფორას, მეტონიმასა და ხატებით აზროვნების ტრანსფორმაციებს განიხილავს კონცეპტუალიზაციის პროცესების კატეგორიებად. ლანგაკერი (1987) ინტერპრეტაციის ოპერაციების დიდ კლასს მიიჩნევს ფოკუსის შესაბამისობებად. მიუხედავად ამისა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თალმის, ლაკოფისა და ლანგაკერის მიერ განხილული ყველა ეს პროცესი ინტერპრეტაციის მაგალითს წარმოადგენს.

კოგნიტური სემანტიკის მეოთხე ძირითადი პრინციპი წარმოდგენილია კატეგორიების სტრუქტურისა თუ ორგანიზაციისადმი არსებულ მიდგომაში. კოგნიტური სემანტიკის თეორიის ამ ასპექტში უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს ფართო კონსენსუსის მიღწევა. შეთანხმება არსებობს იმის თაობაზე, თუ რა განასხვავებს კოგნიტურ სემანტიკას არაკოგნიტური სემანტიკური თეორიებისგან – კერძოდ კი ის, რომ კატეგორიები მიიჩნევა

შიდა სტრუქტურის მქონე ჯგუფად, რომელსაც, როგორც წესი, პროტოტიპის სტრუქტურას უწოდებენ და რომელიც, ასევე ცნობილია რადიალური კატეგორიის სტრუქტურის სახელით (ლაკოფი 1987). ეს ნიშნავს, რომ ცალკეული კატეგორიის სემანტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი გულისხმობს მის წევრებს შორის არსებულ კავშირს. განსაკუთრებით ცნობილია კატეგორიის ექსტენსიის კავშირი. ეს არის კავშირი კატეგორიის პროტოტიპულ წევრებსა და პერიფერიულ წევრებს შორის. კიდევ უფრო საკამათოა კატეგორიის საზღვრების და უფრო მეტად ზოგადი ან სქემატური კონცეპტების სტატუსი, რომელიც მიჯნავს კატეგორიის წევრობას (კრუზი 1992).

როგორც ჩანს, ეს ოთხი კონსტრუქტი – კონცეპტები, დომენები, ინტერპრეტაციები და კატეგორიები – წარმოადგენს კოგნიტური სემანტიკის ყველაზე ფართოდ აღიარებულ საფუძვლებს. კონცეპტი მენტალური ერთეულია, დომენი – კონცეპტების წარმოდგენისთვის საჭირო საბაზისო ცოდნა, ინტერპრეტაცია – პროცესი, რომლითაც ხდება სამყაროში პიროვნების გამოცდილების მრავალმხრივად აღქმა, ხოლო კატეგორიას შიდა დონეზე ქმნის მის წევრებს შორის არსებული პროტოტიპის გავრცელების კავშირები, ხოლო გარეშე დონეზე – (სულ მცირე) კატეგორიებს შორის არსებული ტაქსონომიური კავშირები. რაღა თქმა უნდა, როცა ამ ზოგად პრინციპებს გავცდებით, კოგნიტური მეცნიერების წარმომადგენელი ლინგვისტების შეხედულებებს შორის უკვე მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთაბ. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კონსტრუქტები ემსახურება სემანტიკასთან კოგნიტური ლინგვისტური მიდგომების დაკავშირებას და თითქმის ყველა სხვა სემანტიკური მიდგომისგან მათ გამიჯვნას.

ლანგაკერი (1987) გვთავაზობს დომენების დეტალურ განხილვას, რომელიც გამოყენებულია ხატებით აზროვნებასთან დაკავშირებულ ანალიზში.

კოგნიტურ გრამატიკაში ლანგაკერი (1987) ყველა კონცეპტს განიხილავს როგორც სემანტიკური დომენის მახასიათებელს. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა განისაზღვრება დომენთან მიმართებით.


ტერიმენებს „პროფილსა“ და „ბაზას“ ლანგაკერი იყენებს კონცეპტსა და იმ დომენს შორის არსებული ურთიერთკავშირის საჩვენებლად, რომელშიც, შესაბამისად, ის გვხვდება.

პროფილი გახლავთ კონცეპტუალური ცოდნის გარკვეული ნაწილი, რომელიც გვხვდება

სავარაუდო ცოდნის ბაზასთან მიმართებაში. ტერმინი „ბაზა“ გვიჩვენებს მეთოდს, რომელშიც საბაზისო ცოდნა „მხარს უჭერს“ კონცეპტს ისე, რომ კონცეპტის გაგება შეუძლებელია ამ სავარაუდო ცოდნის გარეშე. ტერმინი „პროფილი“ გულისხმობს დომენის (ბაზის) აუცილებელ არსებობას, რომელთან მიმართებაშიც ხდება კონცეპტის „დახასიათება“.

ლანგაკერს მოჰყავს კონცეპტის „წრე“ მაგალითი, რომელიც გულისხმობს ცოდნას (ორგანზომილებიანი) სივრცის შესახებ. სურათზე 1(a) ნაჩვენებია კონცეპტისა და დომენის კავშირი კონცეპტთან „წრე“, როგორც მუქი შრიფტით აღნიშნული შაბლონი სივრცის (კოგნიტური დომენი) ფონზე (ნაშრომში მცირე ზომის ასომთავრული შრიფტი გამოყენებულია დომენების აღსანიშნავად, ხოლო ნუსხური დახრილი შრიფტი პროფილების აღსანიშნავად).

ჩანს, რომ დომენის შესახებ ლანგაკერის თვალსაზრისი რამდენადმე განსხვავდება კონცეპტების შემსწავლელი ფსიქოლოგთა უმრავლესობისა და მრავალი ლინგვისტი სემანტიკოსის მიერ გამოყენებული ტერმინისაგან „დომენი“, რომლებიც ამ ტერმინს უფრო ფართო გაგებით იყენებენ, რაც სივრცეს, არტეფაქტებსა თუ ცოცხალ არებებსაც მოიცავს. ლანგაკერისათვის ნებისმიერი მიღებული გამოცდილება პოტენციურად დომენს ნიშნავს, თუ ის კონცეპტის პროფილს აღნიშნავს. კონკრეტულად, წრის მსგავსი დომენის მიმართ მისი შეხედულება წინააღმდეგობაში მოდის დომენის უფრო ფართო ინტუიციურ ცნებასთან.



სურათი 1. პროფილი და ბაზა კოგნიტურ გრამატიკაში

სურათზე 1(b) ნაჩვენებია, რომ თვითონ წრე შეიძლება იყოს დომენი, რომელიც მხარს უჭერს/აღნიშნავს კონცეპტ „პროფილის რკალს“. კერძოდ, „დომენი არის სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც მოქმედებს, როგორც სულ მცირე, ერთი კონცეპტის პროფილის ბაზა/საფუძველი“ (კროფტი, 1993).

კონცეპტისა და დომენის სემანტიკური კავშირი, არსებითად, არის ნაწილისა და მთლიანის (ანუ მერონომიული) კავშირი. სურათზე 1(b) ნაჩვენებია რკალისა და წრის მაგალითი გახლავთ კლასიკური მერონომიული კავშირი საგნის ნაწილსა (რკალს) და მთლიან საგანს (წრეს) შორის. აქედან გამომდინარე, კონცეპტსა და დომენს შორის ურთიერთკავშირი განსხვავდება დაქვემდებარებულსა და მთავარს შორის არსებული სემანტიკური კავშირისგან (ანუ ტაქსონომიისგან, რომელსაც ლანგაკერი (1987) სქემატურობას უწოდებს). მაგალითად, რკალი, სიმი და რადიუსი ვერ მოექცევა ტაქსონომიურად წრის საერთო კატეგორიაში. კატეგორიებს შორის არსებული ტაქსონომიური კავშირები ზოგადობის დონეებით ხასიათდება. კონცეპტისა და დომენის კავშირი არ არსებობს კატეგორიალური ზოგადობის დონეებს შორის. იგი შეიმჩნევა ცოდნის ბაზასა (რომელშიც კატეგორია არსებობს (დომენი) და კატეგორიის წევრებს (კონცეპტებს) შორის.

და მაინც, დომენები შესაძლოა შევიდეს ტაქსონომიურ კავშირებში (კლაუსნერი 1993; კროფტი 1993) და ამ სტრუქტურას არაფერი აქვს საერთო დომენის კომპონენტის ნაწილების სტრუქტურასთან (მიუხედავად იმისა, თუ რას მიეკუთვნება ისინი: საგნებს, მოქმედებებსა თუ თვისებებს). (მთავარ) სქემასა და მის (დაქვემდებარებულ) კონკრეტიზაციას შორის არსებული ტაქსონომიური კავშირი არ არის კონცეპტსა და დომენს შორის არსებული კავშირის იდენტური.

კონცეპტსა და დომენს შორის არსებული კავშირის თავისებურება ისაა, რომ ნებისმიერმა კონცეპტმა, თავისთავად, შესაძლებელია სხვა კონცეპტების მიმართ დომენის ფუნქცია შეასრულოს (მაგ: რკალი–წრე და წრე–სივრცე შესაბამის 1(b) და 1(a) სურათებზე). ლანგაკერის მოსაზრების თანახმად, დომენების, როგორც კონცეპტების წარმოდგენა სხვა დომენებში, საბოლოოდ, „უმჯობესდება“ ძირითად დომენებში: დომენები, რომლებიც შედის ადამიანის მნიშვნელოვან სენსორულ ალქმაში, როგორებიცაა სივრცე, დრო, სხვადასხვა შეგრძნებები,

ემოციები და აღქმები და გარკვეული ძირითადი სოციალურ–ინტერპერსონალური მოვლენა (ლანგაკერი, 1987, გვ. 148).

ამ დაკვირვებას ორი მნიშვნელოვანი შედეგი აქვს. პირველი – ის გვიჩვენებს, რომ დომენებს შორის შესაძლებელია ნაწილობრივისა და მთლიანის ურთიერთკავშირის არსებობა. მეორე – თვითონ დომენი შესაძლოა დომენების ჯგუფი იყოს. ლანგაკერის თვალსაზრისით, ცოდნა არის მრავალმხრივი და ის სისტემატიზებულია კონცეპტუალურ დომენებში, რომლებიც აღბეჭდილია სამყაროს ჩვენეულ გამოცდილებაში. დომენების მატრიცაში მოცემული დომენები შეიძლება მეტ–ნაკლებად დავეყთ გამოცდილებაში. მაგალითად, უაღრესად რთული გახლავთ ფერის დომენის „მატრიცის“ დაყოფა ელფერის, სიკაშკაშე და სატურაციის ცალკეულ დომენებად. ლანგაკერი ასეთი, ერთი შეხედვით, განუყოფელ დომენებს აღწერს როგორც ცალკეული დომენის განზომილებებს (ლანგაკერი, 1987, გვ. 150). თუმცა შემდეგ მიუთითებს, რომ ცალკეული დომენის განზომილებებსა და მატრიცაში გაერთიანებულ მრავალ დომენს შორის არსებობს უწყვეტი გარემო: „განზომილებებსა და დომენებს შორის არსებული განსხვავება რამდენადმე არბიტრარულია და შესაძლებლობის საკითხს უკავშირდება“ (1987, გვ. 152). განზომილებებში ან დომენის მატრიცებში არსებული დომენების ანალიზს არსებითი მნიშვნელობა აქვს ხატებით აზროვნების მოდელების, როგორც დომენების კატეგორიების, დახასიათებისთვის და ხატებით აზროვნების აბსტრაქტული თავისებურებისთვის.

ლანგაკერის თანახმად, არსებობს სხვადასხვა სახის დომენი – ლოკაციური და კონფიგურაციული (1987, გვ. 153). მათ შორის არსებული განსხვავების ახსნას შევეცდებით კონფიგურაციულობისა და ლოკაციურობის მაგალითის ჩვენებით, მაგრამ სივრცის ცალკეული დომენის ფარგლებში. განსხვავება არის კონცეპტების (ანუ პროფილებს) და არა დომენების ერთ–ერთი განსხვავებული კატეგორია.

ლანგაკერი ახდენს სივრცის, როგორც პროტოტიპული კონფიგურაციული დომენის, კლასიფიკაციას. იგი მსჯელობს, არის თუ არა ლოკაციები უბრალოდ დეგენერაციული კონფიგურაციები. ის ერთმანეთისგან განასხვავებს დისკრეტულ და უწყვეტ კონფიგურაციებს. ჩვენ მას (სივრცობრივი) ფორმებით წარმოვადგენთ, რომლებიც გემტალტებად აღიქმება, მაგრამ მათი გაანალიზება ნაწილებად შეიძლება. უწყვეტი ფორმები

ის კონფიგურაციებია, რომლებიც მოიცავს კუბს, სამკუთხედს, სფეროს, სახის პროფილს, მტრედის მოყვანილობას, სტანდარტულ მოხაზულობასა და ა.შ. დისკრეტული ფორმები ისეთი წერტილების ჯგუფებია, როგორცაა დიდი დათვი ან წერტილების მატრიცის სტილში ფორმირებული ასოები. ლანგაკერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ლოკაციები წერტილების მსგავსი დეგენერაციული კონფიგურაციებია, რომლებიც, კონფიგურაციებისგან განსხვავებით, დახასიათებულია თავისთავად დაკალიბრებულ დომენში. მიუხედავად ამისა, როგორც დომენ სივრცის მაგალითით ვაჩვენეთ, ცალკეულმა დომენმა შესაძლოა აღწეროს როგორც ლოკაციური, ისე კონფიგურაციული კონცეპტები. დომენის უნარი, მხარი დაუჭიროს როგორც ლოკაციურ, ისე კონფიგურაციულ კონცეპტებს, შეზღუდული არ არის სივრცეში. ეს მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას, რომ ლოკაციური და კონფიგურაციული განსხვავება ეხება კონცეპტებს და არა დომენებს. მიუხედავად ამისა, ეს არ გამორიცხავს იმ დომენების არსებობას, რომელთაც მხოლოდ ერთი ტიპის კონცეპტი გააჩნია. ასეთ დომენებს მოგვიანებით განვიხილავთ და დავამტკიცებთ, რომ არსებობს ისეთი დომენები, რომლებიც მხარს უჭერს/აღნიშნავს ლოკაციურ კონცეპტებს და რომ ეს შეზღუდვა შეიძლება მივაკუთვნოთ დომენთან დაუკავშირებელ ფაქტორებს.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ჰიპოთეზა ყველა დომენის შემთხვევაში გამოიყენება - ანუ ვარაუდით, რომ ნებისმიერმა დომენმა შეიძლება მხარი დაუჭიროს კონფიგურაციულ და ლოკაციურ პროფილებს, თუ სხვა რაიმე შეზღუდვა არ იქნება. აქედან, ჩვენ ორი დასკვნა გამოგვაქვს:

1. ძირითადი დომენები შესაძლოა ასრულებდეს ლოკაციური ან კონფიგურაციული კონცეპტების საფუძვლის ფუნქციას;
2. თითოეულ ძირითად დომენს აქვს სულ მცირე, ერთი ნორმატიული საწყისი ლოკაცია.

დომენები წარმოადგენს უაღრესად ორგანიზებულ საბაზისო ცოდნას, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელია კონცეპტების დახასიათება. დომენები შეიძლება მხარს უჭერდეს როგორც ლოკაციურ, ისე კონფიგურაციულ კონცეპტებს, თუმცა ზოგიერთი დომენი შეიძლება მხარს უჭერდეს მხოლოდ ლოკაციურ კონცეპტებს გარეშე შეზღუდვის გამო. ლოკაციურობა და კონფიგურაციულობა არის კონცეპტების და არა დომენების

დამახასიათებელი თვისება, ხოლო ამის აღიარება ხელს უწყობს ხატებით აზროვნების ანალიზს.

ხატებით აზროვნება წარმოადგინეს და განიხილეს ლაკოფმა (1987), ტერნერმა (1989) და ჯონსონმა (1987). როგორც კოგნიტური ლინგვისტიკის სხვა თეორიული კონსტრუქტების შემთხვევაში, კამათობენ იმაზე, რომ ხატებით აზროვნების მოდელები უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ლინგვისტური თეორიის ელემენტები: მათ გააჩნიათ ფსიქოლოგიური რეალობა, რომლის მხარდასაჭერადაც არსებობს ექსპერიმენტული კვლევიდან მომდინარე მტკიცებულება ფსიქოლინგვისტიკაში, კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და განვითარების ფსიქოლოგიაში (გიბსი & კოლსტონი, 1995). ზემოხსენებული მკვლევარების მიერ წარმოდგენილი ხატოვანი აზროვნების თეორიის გასააზრებლად, პირველ რიგში, უნდა დავახასიათოთ და ერთმანეთს შევუპირისპიროთ ხატთან დაკავშირებული თეორიები.

ხატები გახლავთ კონკრეტული გამოცდილების რეპრეზენტაციები. მრავალ დომენს ხატი არ გააჩნია; ლაკოფსა და ტერნერს მოჰყავთ აზროვნების (ლაკოფი & ტერნერი 1989: 94), სიკვდილისა და დროის (1989, გვ. 95) და გამოღვიძების, სიფხიზლისა და სიცოცხლის (1989, გვ. 97) მაგალითები. დომენებს, რომელთაც ხატები არ აქვთ, ზოგჯერ „აბსტრაქტული“ დომენების სახელით მოიხსენიებენ (ლაკოფი & ტერნერი, 1989, გვ. 94). ტერმინი აბსტრაქტული ორაზროვანია, ამიტომ აქ გამოვიყენებთ არაწარმოსახვით დომენებს.

ხატებით აზროვნების მოდელები არ არის კონკრეტული ხატები - ისინი „აბსტრაქტულია“ ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობით: ისინი სქემატური გახლავთ. ისინი წარმოადგენენ სქემატურ ნიმუშებს, რომლებიც მომდინარეობს ისეთი წარმოსახვითი დომენებისგან, როგორიცაა კონტეინერები, გზები, კავშირები, ძალები და ბალანსი, რომლებიც რეპროდუცირდება სხვადასხვა დომენში და ქმნის ჩვენს ფიზიკურ გამოცდილებას (ლაკოფი, 1987, გვ. 453; ჯონსონი, 1987, გვ. 29). ხატებით აზროვნება ასევე არ ახასიათებს ცალკეულ სენსორულ მოდალობას (ლაკოფი, 1987, გვ. 267; ჯონსონი, 1987, გვ. 24-25). ხატებით აზროვნების მოდელები ქმნის ჩვენს ფიზიკურ გამოცდილებას (თალმი, 1972, 1977, 1983), ხოლო ასევე, ისინი ქმნიან ჩვენს არაფიზიკურ გამოცდილებას მეტაფორის საშუალებით (ლაკოფი, 1987, გვ. 453; ჯონსონი, 1987, გვ. 29).

ხატებით აზროვნების შესახებ ჩვენ ვმსჯელობთ ჯონსონის მიერ ხატის - შკალა - დახასიათებით, რომელიც დაგვეხმარება ჩვენი მოსაზრების ახსნაში. ხატებით აზროვნების მსგავსად, ამტკიცებენ, რომ შკალა მომდინარეობს ჩვენი კონკრეტული ფიზიკური გამოცდილებიდან, შესაბამისად, ის ასრულებს არაწარმოსახვითი დომენების ცნების მოცულობის საფუძვლის როლს. ჯონსონის (1987, გვ. 23) მოსაზრების თანახმად, მათში შედის რიცხვები, მახასიათებელი ნიშნები, კავშირები, გეომეტრიული სტრუქტურები, ეკონომიკურ მოდელებში არსებული რეალობები და ა.შ., ასე, რომ, როგორც ჩანს, ეს „შკალარულობა“ მოიცავს ადამიანის მთლიან გამოცდილებას იმ შემთხვევებისთვისაც კი, სადაც ზუსტი რაოდენობრივი განსაზღვრა შესაძლებელი არ არის.“

გამოცდილებაში შესული ხატებით აზროვნების მოდელების გარდა, ხდება ხატებით აზროვნების მრავალი მოდელის ერთდროულად აღქმა. ჯონსონი (1987) ამ პროცესს აღწერს, როგორც მოდელების სუპერპოზიციას და მოჰყავს იმ საგნების მაგალითი, რომელთაც ჩვენ გავიხილავთ, როგორც ჩვენს სიახლოვეს არსებულ და ჩვენი ხელსაყრელი მდგომარეობისთვის ცენტრალურ საგნებს და ჩვენგან დაშორებულ და პერიფერიაში არსებულ საგნებს:

ცენტრისა და პერიფერიის მოდელის შესწავლა თითქმის არასოდეს ხდება იზოლირებულად ან დამოუკიდებლად. ცენტრისა და პერიფერიის შემთხვევაში, ჩვენ ასევე შევისწავლით სიახლოვე-სიშორის მოდელს, რომელიც არსებობს ჩვენი პერცეფციული თუ კონცეპტუალური პერსპექტივის მასშტაბით (1989, გვ. 125).

მნიშვნელოვანი საკითხი ის გახლავთ, რომ ამ კატეგორიებში თავმოყრილია დიდი რაოდენობით სიტყვები, რომლებიც კონცეპტებს გამოხატავს. ამ კონცეპტების დახასიათება/აღწერა უნდა მოხდეს ცალკეულ სემანტიკურ დომენში. და მაინც, სემანტიკური სტრუქტურები, რომლებიც ამ კონცეპტების დომენებს უზრუნველყოფს, ზუსტად ისაა, რასაც ხატებით აზროვნების მოდელები ეწოდება. ჩვენ ამ ფაქტს იმ ძირითადი მტკიცებულების სახით ვიყენებთ, რომ ხატებით აზროვნების მოდელები განსაკუთრებული სახის დომენია, რომელსაც ჩვენ ხატის სქემატურ დომენებს ვუწოდებთ. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ დომენი სკალებთან მიმართებით, რადგან არსებობს სიტყვები, რომელთა აღწერაც ხდება მხოლოდ და მხოლოდ შკალის დომენში, მაგალითად, როგორიცაა მეტი, ნაკლები, ზრდა, კლება და ა.შ.

გარდა ამისა, ამ სიტყვებისა და შკალაში შემავალი სხვა სიტყვების სემანტიკა ინგლისურ ენაში შეიძლება ადვილად აღვიქვათ, როგორც კონცეპტის პროფილების განსხვავებული ტიპები.

გრადუალური ზედსართაული კონცეპტების შემთხვევაში, დომენი წარმოადგენს სემანტიკური სტრუქტურის მაგალითს განზომილებებსა და დომენებს შორის არსებულ ზღვარზე. რთული გახლავთ შეგრძნების/აღქმის ხარისხობრივი განზომილების წარმოდგენა ზედსართაული კონცეპტის სკალარული განზომილებისგან დამოუკიდებლად. მიუხედავად ამისა, სკალის წარმოდგენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია ნებისმიერი ხარისხობრივი განზომილებისგან დამოუკიდებლად.

უფრო საინტერესო ის გახლავთ, რომ სკალის დომენი ასევე აღწერს კონფიგურაციულ კონცეპტებს. სკალა არის ერთგანზომილებიანი სტრუქტურა, ამიტომ კონფიგურაციები ვერ იქნება ორ ან სამგანზომილებიანი სივრცეში არსებული ფორმების იდენტური. თუ დავინტერესდებით, თუ რა სახის კონცეპტი რჩება ერთი და იგივე – იმის მიუხედავად, თუ სად არის ის სკალაზე განთავსებული, შევამჩნევთ, რომ ინტერვალი, რომლის სიდიდე იგივეა სკალაზე მისი მდებარეობის მიუხედავად, არის კონფიგურაციული კონცეპტი.

აქედან გამომდინარე, სკალარული ზედსართავი სახელები დომენში არსებული ის ლოკაციებია, რომელთაც საკუთარ მატრიცაში (ან ალტერნატივის სახით, სკალის განზომილებისა და შესაბამისი ხარისხობრივი განზომილებისგან შედგენილ ორგანზომილებიან დომენში) სკალა აქვთ. განზომილებები წარმოადგენს სკალისა და შესაბამისი ხარისხობრივი დომენისგან შედგენილი დომენის მატრიცაში (ან ალტერნატივის სახით, სკალის განზომილებისა და შესაბამისი ხარისხობრივი განზომილებისგან შედგენილ ორგანზომილებიან დომენში) არსებულ კონფიგურაციულ კონცეპტებს.

ვარაუდი, რომ სკალის ხატის მოდელი რეალურად არის ხატის სქემატური დომენი, გვამღევეს საშუალებას, რომ ავხსნათ მრავალი სხვადასხვა სიტყვისა და ხატებით აზროვნების მოდელების სემანტიკა, რადგან ისინი ორივე დომენში გვხვდება. სკალის ხატის სქემატური დომენი მხარს უჭერს როგორც ლოკაციურ, ისე კონფიგურაციულ კონცეპტებს. ყველა მახასიათებელი თვისება, რომლითაც ჯონსონი სკალებს ახასიათებს – რომ ისინი დირექციულია, შეიძლება იყოს კუმულატიური, ნორმატიული, ღია ან დახურული, და

შეიძლება ჰქონდეს კრიტერიუმი – უბრალოდ წარმოადგენს ხატის სქემატური დომენის სტრუქტურისთვის დამახასიათებელ ასპექტებს. ის, რაზეც ჯონსონი საუბრობს, დამატებით კიდევ უფრო ამტკიცებს იმას, რომ ისინი, საკუთარ სტრუქტურაში, დომენების იდენტურია.

ხატის სქემატურ გეშტალტებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი შიდა სტრუქტურა – ისინი არ არის არადიფერენცირებული. ამის საპირისპიროდ, ეს მათი ორგანიზაციის სტრუქტურაა, რომელიც, ემპირიული თვალსაზრისით, მათ ჩვენს გამოცდილებასა და აღქმაში მნიშვნელობის მქონე ძირითად მოდელებად აქცევს. ამ გეშტალტების სქემას გააჩნია ნაწილები და განზომილებები, რომლებიც ვლინდება სხვადასხვა კავშირებში, რაც გვაძლევს ჩვენი გამოცდილების აღქმის საშუალებას (ჯონსონი, 1987, გვ. 61).

და ბოლოს, სკალის ხატის სქემატური დომენის სქემატურობა იმ ფაქტიდან მომდინარეობს, რომ ის გახლავთ გამოცდილების მრავალი დომენისგან შემდგარი დომენის მატრიცის ნაწილი. მიუხედავად ამისა, სკალის და სხვა ხატების სქემატური დომენების ჩვენეული აღქმა აღბეჭდილია ჩვენს ფიზიკურ გამოცდილებაში; ისინი ძირითად დომენებს წარმოადგენს.

კონტეინერის ხატის მოდელები, ძირითადად, მოიცავს შიდა და გარე მიმართულებას, რომელიც ხსნის in, out, into და out of–თან დაკავშირებულ სხვადასხვა აღქმას (ჯონსონი, 1987). კლაუსნერი (1994) გვთავაზობს კონტეინერის მეტაფორების ანალიზს, როგორც სტრუქტურული კონტეინერის დომენის მტკიცებულებას. აქედან გამომდინარე, ვუშვებთ, რომ კონტეინერი არის არა მხოლოდ სქემატური და მასშტაბური დომენი, არამედ ასევე, მას გაჩნია დომენის მახასიათებელი თვისებები, რაც მას ხატის სქემატურ დომენად აქცევს.

სკალა და კონტეინერი არის ხატებით აზროვნების სქემატური დომენები, რომლებსაც, სხვა დომენების მსგავსად, გააჩნიათ შიდა სტრუქტურა და მხარს უჭერენ სხვადასხვა კონცეპტების პროფილებს, მთ შორის, ლოკაციურ და კონფიგურაციულ პროფილებსაც. ხატებით აზროვნების მოდელების მსგავსად, ისინი გახლავთ უაღრესად სქემატური და გამოცდილებაში გავრცელებული დომენები.

ძირითად დომენებსა და ხატებით აზროვნების მოდელებს ის მახასიათებლები გააჩნიათ, რომელიც ხელს უწყობს ხატებით აზროვნების მოდელების, როგორც ხატის სქემატური დომენების, ანალიზს. რაღა თქმა უნდა, ხატებით აზროვნების მოდელების, როგორც ხატის

სქემატური დომენების, ხელახლა გაანალიზება იძლევა შედეგებს სხვადასხვა კოგნიტურ სემანტიკურ მოვლენასთან დაკავშირებით, რომელთა გაანალიზებაც მოხდა ხატოვანი აზროვნების მოდელების გამოყენებით.

რატომ არის ცალკეული დომენები ხატებით აზროვნების სქემატური დომენები მაშინ, როდესაც სხვა დანარჩენები არ არის? ზოგიერთი დომენი, როგორებიცაა რაოდენობა, დრო, სივრცე, მიზეზობრიობა, სკალა/მასშტაბი, ერთეული და იდენტობა უაღრესად გავრცელებულია კონცეპტებთან, რომელთა პროფილები თავისთავად ხატებით აზროვნების მოდელებია (მაგალითად, სიტყვის „ძალიან“ კონცეპტის პროფილი გახლავთ ხატებით აზროვნების მოდელი სკალა). სხვა დომენებს, როგორებიცაა სამომავლო ვაჭრობა და შუა საუკუნეების მუსიკათმცოდნეობა, საერთოდ არ აქვთ მათში ასახული/profiled კონცეპტები, რომელთაც კოგნიტური მეცნიერების წარმომადგენელი ლინგვისტების უმრავლესობა განიხილავდა მხოლოდ ხატებით აზროვნების მოდელის პროფილებად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დომენებში არსებულ კონცეპტებს არ ქმნის ხატებით აზროვნების მოდელები – პირიქით, ფაქტობრივად, ეს დომენები საკმაოდ კომპლექსური დომენის მატრიცებია, რომელიც ხატის სქემატურ დომენებს მოიცავს. საერთოდ შეუძლებელი თუ არ არის, უდავოდ რთულია ხატის სქემატური დომენების განსაზღვრა ცალკეული აუცილებელი და საკმარისი კრიტერიუმის თვალსაზრისით. ამის ნაცვლად, ჩანს, რომ ცალკეულ პირს შეუძლია ხატის სქემატური დომენების განსაზღვრა მხოლოდ ჩამოთვლის საშუალებით. შევამჩნევთ, რომ ზოგიერთი დომენი ამჟღავნებს ხატებით აზროვნების მოდელებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს (ისინი სქემატურია და გავრცელებული). და მართლაც, ეს სტრუქტურები თეორიაში იდენტიფიცირებულია როგორც ხატებით აზროვნების მოდელები და მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ავლენენ დომენების მახასიათებლებს (ისინი მხარს უჭერენ კონცეპტის პროფილების სხვადასხვა ტიპებს). აქედან გამომდინარე, იკვთება დასკვნა, რომ ხატებით აზროვნების მოდელები და დომენები ერთმანეთისგან განსხვავდება ხარისხით, მაგრამ არა კატეგორიით.

იმის ასახსნელად, თუ რატომ არის ზოგიერთი დომენი ხატის სქემატური დომენი, ხოლო სხვები კი - არა, ჩვენ უნდა გადავავლოთ თვალი გამოცდილების მასშტაბით ამ დომენების განლაგებას. შევნიშნავთ, რომ ხატის სქემატური დომენები თვითონ არის დომენების კონკრეტული მატრიცების ძალიან დიდი რაოდენობის კომპონენტები, რაც იმას ნიშნავს, რომ

დომენების მატრიცების დიდი რაოდენობა, რომლებიც საჭიროა ჩვენს გამოცდილებაში არსებული კონცეპტების ჩვენეული აღქმის აღსაწერად, მოიცავს ხატის ცალკეულ ან მრავალ სქემატურ დომენსაც კი. მაგალითად, დომენი ვაშლი კონკრეტულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის შედარებით არასქემატურია. ადამიანური გამოცდილების მასშტაბით მასში შედის შედარებით მცირე რაოდენობის სხვა დომენები (მაგალითად, ვაშლის ღვინო). მეორე მხრივ, თითქმის ყველა დომენი უკავშირდება სკალას–ს; მაგალითად, ნებისმიერი დომენი მოიცავს გრადუალურ თვისებებს. ასევე, იდენტობა და მსგავსება შეიძლება შეგვხვდეს თითქმის ყველა კონცეპტის პროფილში. დროისა და ცვლილებების დომენები (ანუ პროცესის ხატის მოდელი) შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერი მოვლენის ან პროცესის კონცეპტის მატრიცაში. დომენების დიდი რაოდენობა ფიზიკური ობიექტებისა მოიცავს სივრცეს მათი დომენის მატრიცაში.

ეს ფაქტები ხატებით აზროვნების სქემატურობის ბუნებრივი განმარტების საშუალებას იძლევა: დომენები, რომლებიც ხატის სქემატური დომენებია, გვხვდება დომენის მატრიცების ყველაზე დიდ რაოდენობაში (ადამიანურ გამოცდილებაში გამოყენებული დომენების შემთხვევაში). ამ განმარტებას ორი პოზიტიური მახასიათებელი გააჩნია. პირველი - ის მიუთითებს, რომ ხატის სქემატურ დომენებსა და კონკრეტულ დომენებს შორის არ არსებობს მკვეთრი განსხვავება, და მეორე - ხატის სქემატური დომენების ასეთი დახასიათება არ მოითხოვს აუცილებელი და საკმარისი კრიტერიუმების ერთობლიობის არსებობას ხატის სქემატურობის განსაზღვრისთვის. ფაქტობრივად, ჯერჯერობით, კრიტერიუმების ამ ერთობლიობის ვერმომიება მიუთითებს, რომ ხატის სქემატურობის დასახასიათებლად ეს სწორი მეთოდი არ არის.

შედეგად, უნდა არსებობდეს ხატის სქემატურ და კონკრეტულ დომენებს შორის შუალედური დომენი. კონტეინერი სწორედ ასეთი დომენი გახლავთ. ის ხატის სქემატური დომენი იმ მხრივ არის, რომ შეზღუდულობა ის აბსტრაქტული მახასიათებელია, რომელიც გამოცდილების სფეროში დიდი რაოდენობით დომენის მატრიცებში გვხვდება. მიუხედავად ამისა, დომენ კონტეინერს კონკრეტული ასპექტები გააჩნია. ის შეიძლება მხარს უჭერდეს ისეთი მატერიალური ნივთიერების სივრცობრივ პროფილებს, როგორცაა სავსე, ცარიელი, შიგთავსი და ასევე, მხარს უჭერდეს ზედაპირის მასალას, რომელიც ინტერიერს (მაგ: გამოქვაბულს) განსაზღვრავს. ამ მხრივ კონტეინერი იმდენად არ არის გამოცდილებაში

საყოველთაოდ გავრცელებული, რამდენადაც - სკალა. გარდა ამისა, კონტეინერი შუალედურია სივრცობრივი მასშტაბის/მოცულობის (შეზღუდულობა ან გაიდეალიზებული მოცულობა) არმქონე მოდელსა და კონკრეტული მასშტაბის მქონე საზღვარს შორის მიუხედავად იმისა, რომ ის თვითონ კონტეინერის სივრცობრივი მასშტაბით/მოცულობით არის შემოფარგლული.

ხატის ყველა სქემატური დომენი ძირითადი დომენია. ეს ზუსტი შემთხვევა არ არის, რადგან მაგალითად, კონტეინერის დომენი ეყრდნობა სივრცისა და მატერიალური ობიექტის დომენებს. მიუხედავად ამისა, საქმე არც ამაში მდგომარეობს: ყველა ძირითადი, დომენი არ არის ხატის სქემატური დომენი. მაგალითად, ტემპერატურის დომენი წარმოადგენს ძირითად დომენს, რომელიც აღბეჭდილია ჩვენს ფიზიოლოგიურ გამოცდილებაში. მიუხედავად ამისა, ტემპერატურის დომენი არ არის ხატის სქემატური დომენი. ეს იმიტომ, რომ ყველა ძირითადი დომენი არ შედის სხვა მრავალი დომენის შემცველი დომენების მატრიცების შემადგენლობაში, რომელიც ხატის სქემატური დომენების დამატებითი კრიტერიუმია.

ხატებით აზროვნების მოდელების აღქმა ხატის სქემატურ დომენებად მოითხოვს იმ საშუალების ხელახლა შესწავლას, რომელშიც ხატებით აზროვნების მოდელები სქემატურია. გამოცდილება აჩვენებს, რომ კონტეინერი არის ხატის სქემატური დომენი – იგი შეიძლება თავისთავად დავახსიათოთ როგორც დომენის მატრიცები. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული ფიზიკური გამოცდილებები თავისთავად კომპლექსური ჯგუფია.

მიუხედავად ამისა, ჯგუფი არ წარმოქმნის დერივაციულ ერთეულებს. კონკრეტული ფიზიკური გამოცდილებები იმ მხრივ არის ძირითადი ან პრიმიტიული, რომ ისინი გემტალტებია, რომლისგანაც მიიღება გამოცდილების ანალიზი, რომელიც მრავალგანზომილებიანი დომენის მატრიცებისგან შედგება. ფიზიკური გამოცდილების კომპლექსური გემტალტები – როგორცაა, მაგალითად, ჭამა – არის ძირითადი, ხოლო კომპონენტის დომენები კი, ხატის სქემატური დომენების ჩათვლით, არის დერივაციული. ფიზიკური გამოცდილების მასშტაბით რეგულარულად არსებული მოდელების აღიარების პროცესის შედეგი, რომელზეც ჯონსონი კამათობს, ქმნის ხატებით აზროვნების საფუძველს. სხვადასხვა ფიზიკურ გამოცდილებას შორის არსებული მსგავსებების აღიარება გულისხმობს

რელევანტური კავშირის არსებობას სხვადასხვა გამოცდილებას შორის. ეს გახლავთ უბრალოდ ჩვენი ანალიტიკური ხედვა ჭამის, ტანსაცმლის ჩაცმისა და ა.შ. გამოცდილებასთან დაკავშირებით, რომელიც მათ კატეგორიებად ყოფს, რათა მოიცვას კონტენერის ხატის სქემატური დომენის მქონე დომენის მატრიცები, როგორც თითოეული დომენის კომპონენტური ნაწილი. ვფიქრობთ, ეს არის საუკეთესო გზა იმის საჩვენებლად, თუ როგორ არის ხატის სქემატური დომენები განმეორებადი ფიზიკური გამოცდილების მასშტაბით.

კიდევ ერთი საერთო სემანტიკური მოვლენა ხატებით აზროვნებასთან დაკავშირებით არის ხატის სქემატური მოდელის ტრანსფორმაციები. ხატის სქემატური მოდელის ტრანსფორმაციები არის ხატის ერთი სქემატური მოდელის გადატანა მეორეში.

დომენებისა და დომენებში აღწერილი კონცეპტების სტრუქტურა გვაძლევს ხატებით აზროვნების მოდელების ტრანსფორმაციების ხელახალი ინტერპრეტაციის საშუალებას ხატის სქემატური დომენების კონტექსტში.

ხატის სქემატური ტრანსფორმაციების სხვა მაგალითები, რომელთაც ლაკოფი გვთავაზობს, მოიცავს იმას, რასაც ჩვენ ინტერპრეტაციის ოპერაციებად მოვიხსენიებთ და რომელიც შედის ინტერპრეტაციების კატეგორიაში, რაც ობიექტის გემტალტს ქმნის. დაჯგუფება და მასობრივი ტრანსფორმაციები მოიცავს ჩარჩოში მოქცეული ერთეულების, როგორც თავისუფალი მასის მრავალმხრივი ენობრივი ერთეულის, ინტერპრეტაციას, რაც მიჰყვება სიახლოვის პრინციპს ვიზუალური აღქმის გემტალტფსიქოლოგიაში (კოფკა, 1935; ვერტჰაიმერი, 1950). მსგავსად ამისა, წერტილების და ერთგანზომილებიანი ტრაექტორიის თანმიმდევრობა მოიცავს წერტილების, როგორც ცალკეული დიაგრამის განლაგების ინტერპრეტაციას, რაც ისევ და ისევ სიახლოვის პრინციპს მიჰყვება. საერთო ზონის პრინციპი (ვერტჰაიმერი, 1950) ან საერთო ზონის არარსებობა იძლევა ერთეულის ორ ნაწილად გაყოფის საშუალებას, რომელთაც შეიძლება განსხვავებული ერთეულები ვუწოდოთ.

ზოგადად, ხატის სქემატური ტრანსფორმაციები კონცეპტებთან დაკავშირებული ინტერპრეტაციის ოპერაციებია. პროფილის გადანაცვლება ასევე ინტერპრეტაციის ოპერაციაა, რომელიც შედის ინტერპრეტაციების კატეგორიაში და ყურადღებას საჭიროებს (კროფტი და ვუდი). არსებობს ორი მიზეზი, თუ რატომ უკავშირდება ხატის სქემატური ტრანსფორმაციები - ინტერპრეტაციის ქვეტიპი - ასე მჭიდროდ ხატებით აზროვნების

მოდელს - დომენის ქვეტიპს. პირველი ის გახლავთ, რომ ხატის სქემატური ტრანსფორმაციები უკავშირდება ხატის სქემატურ დომენებში აღწერილ ისეთ კონცეპტებს, როგორცაა მიმართულებები სივრცის ხატის სქემატურ დომენში. შესაძლოა ამან არეულობა წარმოქმნას აღწერილ კონცეპტსა და ბაზის დომენს შორის: მიმართულების „ხატებით აზროვნების მოდელი“ არის კონცეპტის პროფილი და არა ხატის სქემატური დომენი. გავიხსენოთ, რომ კონცეპტის პროფილებმა შეიძლება შეასრულოს ბაზის დომენის ფუნქცია კონცეპტის სხვა პროფილების შემთხვევაში. ასე რომ, მიმართულება შეიძლება იყოს და თავისთავად არის კიდევ დომენი, ამიტომ შეგვიძლია ის სამართლიანად ვთქვათ, რომ ის შეესაბამება ხატებით აზროვნების მოდელს.

ხატებით აზროვნების მოდელები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეტაფორაშიც. ლაკოფი და ჯონსონი (1980) მეტაფორებს შეისწავლიან როგორც კონცეპტუალური სტრუქტურის ერთი დომენიდან (წყარო დომენიდან) მეორე დომენში (სამიზნე დომენში) ტრანსფორმაციებს. ლაკოფი (1990, 1993) ამტკიცებს, რომ ხატის სქემატური სტრუქტურა შენარჩუნებულია წყარო დომენიდან სამიზნე დომენში მეტაფორული ტრანსფორმაციის დროს და ამბობს, რომ ეს შეესაბამება სამიზნე დომენში უკვე არსებული ხატის სქემატურ სტრუქტურას.

ხატის სქემატური დომენის ანალიზში მეტაფორის წყარო დომენი და სამიზნე დომენი დომენტო მატრიცებს წარმოადგენს, რომელთაგან თითოეული შეიცავს ერთი ან მეტი ხატის სქემატურ დომენს. ერთი შეხედვით ჩანს, რომ მუდმივობის ჰიპოთეზის ხელახლა ფორმულირება უნდა იყოს ის, რასაც მეტაფორული ტრანსფორმაცია გულისხმობს – იმას, რომ იმავე ხატის სქემატური დომენები გვხვდება როგორც წყარო დომენების, ისე სამიზნე დომენების მატრიცებში. თუ ეს ასეა, ეს შეასუსტებდა მეტაფორის კოგნიტურ თეორიას, რომელსაც ლაკოფი და ტერნერი უპირისპირდებიან. მიუხედავად ამისა, ლაკოფი და ტერნერი მიუთითებენ, რომ ისინი არ უარყოფენ მსგავსებას წყარო დომენებსა და სამიზნე დომენებს შორის. ის, რაზეც ისინი კამათობენ, გახლავთ ვარაუდი, რომ სამიზნე დომენში მსგავსი სტრუქტურა ყოველთვის არსებობს მანამ, სანამ მეტაფორა წარმოიქმნება/მიიღება. ნაცვლად ამისა, მეტაფორამ შეიძლება შექმნას მსგავსი სტრუქტურა სამიზნე დომენში. ხატის სქემატურ დომენებთან დაკავშირებით ჩვენი ანალიზი ამ ხედვას შეესაბამება: მეტაფორის

წარმოშობა რეალურად გულისხმობს სამიზნე დომენის მატრიცის კონსტრუქციის შეცვლას, რაც მოიცავს (შესაბამისი) ხატის სქემატურ დომენებს წყარო დომენის მატრიციდან.

ზოგიერთი დომენი არის ხატის სქემატური დომენი და ხატებით აზროვნების მოდელები დომენების ტიპს მიეკუთვნება. ხატებით აზროვნების მოდელებთან დაკავშირებული ეს ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ხატებით აზროვნების მოდელების მთავარი თავისებურება კოგნიტურ ლინგვისტიკაში შემუშავებული დომენების თეორიის გამოყენებით. იკვეთება ხატის სქემატური დომენების თეორიის შემთხვევაში ხატებით აზროვნების მოდელების სხვა მახასიათებლების ახლებური ინტერპრეტაცია, მათ შორის, მათი მონაწილეობა ხატის სქემების ტრანსფორმაციებსა და მეტაფორულ ტრანსფორმაციებში.

დომენები და დომენის მატრიცები საჭიროა სიტყვების, ანუ კონცეპტების, მნიშვნელობის წარმოსაჩენად. კონცეპტების კლასი, რომელიც ადამიანთა მეტყველებაში სიტყვებით არის კოდირებული, არ არის კონცეპტების შემთხვევითი ერთობლიობა - ნაცვლად ამისა, ის წარმოადგენს კოგნიტურად მნიშვნელოვან სიმრავლეს, რომლის სტრუქტურა ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია. ამ მოსაზრების თანახმად, ჩვენ შეგვიძლია იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ადამიანის მეტყველებაში კოდირებული კონცეპტების დომენების მატრიცების დიდ უმრავლესობაში არსებული ხატის სქემატური დომენი წარმოადგენს კოგნიციის მნიშვნელოვან, ფართოდ გავრცელებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომლებსაც ლაკოფი, თალმი და სხვები ხატებით აზროვნების მოდელებად მიიჩნევენ.

2.3. კულტურული ფაქტორი ენაში და ენობრივი ფაქტორი ადამიანში

ლინგვოტოკულტუროლოგია ორიენტირებულია ენაში კულტურულ ფაქტორზე და ენობრივ ფაქტორზე ადამიანში. ლინგვოტოკულტუროლოგია ლინგვისტიკაში ანტროპოცენტრისტული პარადიგმის ფუნქციონირების პროდუქტია.

კოგნიტური ლინგვისტიკა ორიენტირებულია:

1. ადამიანის გონების მიერ ინფორმაციის დამუშავების თავისებურებათა გამოვლენაზე;

2. ცოდნის სტრუქტურების ენობრივი საშუალებებით რეპრეზენტაციის სპეციფიკის განსაზღვრაზე.

კოგნიტული ლინგვისტიკა, კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და კოგნიტურ სოციოლოგიასთან ერთად, ცდილობს გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. როგორ არის ორგანიზებული ადამიანის აზროვნება?
2. როგორ შეიცნობს ადამიანი სამყაროს?
3. რა ყალიბდება ცოდნად სამყაროს შესახებ არსებული ინფორმაციიდან?
4. როგორ ჩამოყალიბდება მენტალური სივრცე?

კულტუროლოგიაში მთელი ყურადღება ეთმობა ადამიანს, როგორც კონკრეტული კულტურის მატარებელს. ლინგვოკულტუროლოგია ენას შეისწავლის როგორც კულტურის ფენომენს. როდესაც ენა გვევლინება როგორც განსაკუთრებული ნაციონალური მენტალობის გამომხატველი, აქ საქმე გვაქვს სამყაროს ნაციონალური ენის პრიზმაში ხედვასთან.

კულტუროლოგია ცდილობს გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. როგორია ადამიანის თვალით დანახული სამყარო?
2. რა როლს თამაშობს კულტურაში მეტაფორა და სიმბოლო?
3. როგორ ხდება ენაში კულტურის რეპრეზენტაცია?

ენა კულტურასთან ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული: ის მასში მკვიდრდება და გამოხატავს მას. სწორედ ამ იდეის საფუძველზე აღმოცენდა ახალი მეცნიერება – ლინგვოკულტუროლოგია, რომელიც თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ლინგვისტიკის დამოუკიდებელ მიმართულებად.

თუ კულტუროლოგია შეისწავლის ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, საზოგადოებისადმი, ისტორიისადმი, ხელოვნებისადმი და მისი კულტურული და სოციალური ყოფიერების სხვა სფეროებისადმი, ხოლო ენათმეცნიერება განიხილავს მსოფლმხედველობას, რომელიც ენაში სამყაროს ენობრივი სურათების მენტალური მოდელის სახით ფოკუსირდება, ლინგვოკულტუროლოგიას აქვს საკუთარი საგანი - ენა და კულტურა - ორი ურთიერთდაკავშირებული და მუდმივ დიალოგში მყოფი ფენომენი.

ამჟამად კულტუროლოგიაში გამოყოფენ მრავალ მიდგომას კულტურის გაგებისა და მისი განსაზღვრისთვის. გამოვყოფთ რამდენიმე მათგანს:

1. აღწერილობითი, რომელშიც ჩამოთვლილია კულტურის გამოვლენის სხვადასხვა ელემენტები, წეს-ჩვეულებები, მოღვაწეობის სახეები, ფასეულობები, იდეალები და სხვ.
2. ფასეულობითი, რომელშიც კულტურა ახსნილია როგორც ადამიანის მიერ შექმნილი სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა თანხვედრა. ობიექტს ფასეულობა რომ გააჩნდეს, ადამიანმა მასში ამ ფასეულობის შემჩნევა უნდა შეძლოს. ობიექტის ფასეულობის დადგენის უნარი დაკავშირებულია ადამიანის გონებაში მისი ფასეულობაზე წარმოდგენის ჩამოყალიბებასთან. მაგრამ ასევე აუცილებელი ფაქტორია წარმოსახვა, რომლის საშუალებითაც იქმნება სრულქმნილი სახეები, იდეალები, რომელსაც შემდეგ რეალურად არსებულ ობიექტებს ადარებენ;
3. მოღვაწეობითი, სადაც კულტურა აიხსნება როგორც ადამიანის მიერ მისი მოთხოვნილებების დაკაყოფილების უნარი;
4. ფუნქციური, რომელშიც კულტურის დახასიათება ხდება იმ ფუნქციის მეშვეობით, რომელსაც ის საზოგადოებაში ასრულებს: ინფორმაციული, კომუნიკაციური, რეგულატორული, ნორმატიული, ინტეგრირებული, სოციალიზირებული და სხვ.;
5. ჰერმენევტიკული, რომელიც მიეკუთვნება კულტურას, როგორც ტექსტების გარკვეულ ერთობლობას. ტექსტები – კულტურის სისხლი და ხორცია. ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ინფორმაციის სათავსი, როგორც ავტორის პიროვნული თავისებურებით დეტერმინირებული უნიკალური ნაწარმოები;
6. ნორმატიული, რომლის ფარგლებშიც კულტურა – ნორმების და წესების ერთობლიობაა, რომელიც ახდენს ადამიანების ცხოვრების პროგრამირებასა და რეგლამენტირებას;
7. სულიერებითი, რომლის მომხრენიც კულტურას განსაზღვრავენ როგორც საზოგადოების სულიერ ცხოვრებას, როგორც იდეების ნაკადს და სულიერი შემოქმედების სხვა პროდუქტს. საზოგადოების სულიერი ყოფიერება – კულტურაა;
8. დიალოგური, სადაც კულტურა, კულტურათა დიალოგი სუბიექტებს შორის ურთიერთობის ფორმაა;
9. ინფორმაციული, რომელშიც კულტურა წარმოდგენილია როგორც შექმნის, შენახვის, გამოყენების და ინფორმაციის გადაცემის სისტემა. ეს არის საზოგადოების მიერ

შექმნილი სისტემა, რომელშიც სოციალური ინფორმაციაა დაშიფრული, ანუ, ხალხის მიერ არის ჩადებული შინაარსი, მნიშვნელობა, აზრი. მაშასადამე, კულტურა საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფაა. ეს არის სოციალური ინფორმაცია, რომელიც გროვდება საზოგადოებაში ნიშნების სისტემის საშუალებით;

10. სიმბოლური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს კულტურაში სიმბოლოების გამოყენებაზე. კულტურა – ეს სიმბოლოების სამყაროა. ზოგიერთი მისი ელემენტი იძენს ეთნიკურ აზრს;
11. ტიპოლოგიური, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ქცევა დეტერმინირებულია მათი კულტურის სპეციფიკით.

ყველა განხილულ მიდგომაში არსებობს რაციონალური მარცვალი, თითოეული მათგანი კონცენტრირდება კულტურის კონკრეტულ თავისებურებაზე.

მაგრამ რომელი მათგანია ყველაზე მნიშვნელოვანი? – აქ ყველაფერი დამოკიდებულია მკვლევარის პოზიციაზე, თუ როგორ ესმის მას კულტურა.

მაშ რატომ არის კულტურა აღსაქმელად და გასაგებად ასოდენ რთული? კულტურის ყველაზე მთავარი თვისება, რომელიც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის კულტურის ერთიან განსაზღვრებას, მხოლოს მისი სირთულე და მრავალასპექტიანობა კი არ არის, არამედ მისი ანტინომიურობაცაა.

ანტინომიურობა გვესმის როგორც ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობა:

1. კულტურასთან ზიარება პიროვნების სოციალიზაციას უწყობს ხელს, ამავე დროს მისი ინდივიდუალობას უზრუნველყოფს, ეხმარება პიროვნებას საკუთარი უნიკალურობის გახსნაში;
2. კულტურა გარკვეული დონით სულაც არ არის საზოგადოებაზე დამოკიდებული, მაგრამ მისი საზოგადოების გარეშე არსებობა წარმოუდგენელია, იგი მხოლოდ საზოგადოებაში წარმოიშვება;
3. კულტურა აკეთილშობილებს ადამიანს, საზოგადოებაზე ახდენს დადებით გავლენას, მაგრამ მას უარყოფითი გავლენის მოხდენაც ძალუძს – ადამიანს ძლიერი ზემოქმედების ქვეშ ამყოფებს მასობრივი კულტურა;

4. კულტურა არსებობს, როგორც ტრადიციების შენახვის პროცესი, მაგრამ იგი სისტემატიურად არღვევს ნორმებს და ტრადიციებს. ამით ის ახალი სიცოცხლისთვის ძალას იღებს. მისი განახლების უნარი და სისტემატიურად ახლის გენერირების ფორმები კი მრავალფეროვანია.

კულტურის ანალიზს მხოლოდ მისი მრავალი განსაზღვრება როდი ართულებს. საქმე ისაა, რომ მკვლევარების უმრავლესობა (კულტუროლოგები, ანთროპოლოგები, ფილოსოფოსები, ეთნოგრაფები და სხვ.) ამ არსის ანალიზს რამდენჯერმე უბრუნდება, არა მხოლოს მისი რაობის დასაზუსტებლად, არამედ საკუთარი აზრის შესაცვლელადაც.

კულტურას სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა განსხვავებულ შედეგებს იძლევა. თუ კულტურას „შემოვებრუნებთ“ სხვადასხვა წახნაგით, შეიძლება, მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა ჩამოგვიყალიბდეს ამ ფენომენზე.

კულტურა ეს არის სამყაროში სუბიექტის მოქმედების ყველა ფორმის ერთობლიობა, რომელიც დაფუძნებულია ფასეულობების, ნორმებისა და იდეალების არბიტრალურ სისტემაზე. ეს არის კოლექტივის მემკვიდრეობითი მეხსიერება, რომელიც „ცოცხლობს“ მხოლოდ სხვა კულტურასთან დიალოგში.

მაშ ასე, კულტურა გვესმის როგორც კოლექტიური არსებობის, „თამაშის წესი“, სოციალური პრაქტიკის ხერხების ერთობლიობა, რომელიც ინახება კოლექტივის სოციალურ მეხსიერებაში.

კულტურას გენეტიკური მემკვიდრეობითობა არ ახასიათებს - ადამიანი ითვისებს კულტურას მისი შესწავლის გზით.

ლინგვოკულტუროლოგიისათვის კულტურა უფრო საინტერესოა, ვიდრე ცივილიზაცია, რადგან ცივილიზაცია მატერიალურია, ხოლო კულტურა - სიმბოლური.

ლინგვოკულტუროლოგია იკვლევს მითებს, ჩვევებს, წეს-ჩვეულებებს, რიტუალებს, კულტურის სიმბოლოებს და ა.შ. ეს კონცეპტები კულტურის კუთვნილებაა, ისინი ყოფით, რიტუალის და ენის ფორმებში მყარდებიან. სწორეთ მათი შესწავლა წარმოადგენს ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის მიზანს.

ენის ყოველი მატარებელი თავის ხედვას სამყაროზე აყალიბებს არა საკუთარი აზრებისა და განცდების დამოუკიდებლად გაანალიზებით, არამედ მისი წინაპრების ენობრივი გამოცდილების შესაბამისად, რომელიც ჩარჩოებშია მოქცეული და რომლებიც მითებსა და არქეტიპებშია დაფიქსირებული.

სამყაროს აღქმასა და შემეცნებას საფუძვლად უდევს კონკრეტული ერისათვის დამახასიათებელი საგნობრივი მნიშვნელობის, სოციალური სტერეოტიპებისა და კოგნიტური სქემების სისტემა, ადამიანის ცნობიერება ეთნიკურადაა განსაზღვრული. ამდენად, ნაციონალური და ეთნიკური თავისებურებები განაპირობებს აზრის ჩამოყალიბებისა და ფორმულირების საშუალებების სპეციფიკასაც.

დღეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა ის დებულება, რომ ენა და აზროვნება ერთი და იმავე სულიერი პროცესის ორი სხვადასხვა მხარეა. იდეას მხოლოდ სიტყვის შემწეობით ეძლევა ნათელი და მკვეთრი კონტური, წინადადების წყობა გამოხატავს აზროვნების მიმდინარეობას. ამიტომ ენის სხვადასხვაობა ყოველთვის აზროვნებისა და სულის სხვადასხვაობას მოწმობს.

ენის შესახებ არსებულ თანამედროვე და უახლეს თეორიებში იკვეთება ერთიანი მიდგომა: ენა განიხილება ადამიანის ფსიქიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მაკავშირებელ რგოლად. აღნიშნული მიდგომის კონტექსტში ლინგვისტური კვლევა გულისხმობს ენასა და აზროვნებას შორის არსებული მიმართების შესწავლას ტრიადაში „ენა - კულტურა - პიროვნება“ და არა ენის კვლევას „თავის თავში“.

ენაში აისახება და ყალიბდება ღირებულებები, იდეალები და ადამიანთა მისწრაფებები. ენის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს კულტურის დაცვა, შენახვა და მისი თაობიდან თაობისათვის გადაცემა.

კულტურული ნორმები და ენობრივი მოდელები ურთიერთდაკავშირებულია - ენა ზეგავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობაზე მუდმივმოქმედი საერთო ენობრივი კანონების ფარგლებში. ადამიანი ენისა და კულტურის სუბიექტია. ენა ასახავს პიროვნების კონცეპტს, რომელიც, თავის მხრივ, კულტურის მუდმივას წარმოადგენს.

ამგვარად, სწორედ ენაში, პირველ რიგში, თავს იჩენს ეროვნული, უფრო მეტიც, ეროვნული გამოხატულების ყველა ფორმა, იქნება ეს ეროვნული ხასიათი, კულტურა, ფსიქიკური წყობა თუ სხვა, ყალიბდება ენასთან ერთად და განუყოფელია მისგან. მაგალითად, ერის ისეთი ნიშანი, როგორცაა კულტურის ერთიანობა, ენის მსგავსად, ერის არსებობის, თვითგამოხატვის და განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, თვითონ იქმნება და ვითარდება ენასთან ერთად, აისახება მასში, ისევე, როგორც შემდგომში ენა ერთგვარად განსაზღვრავს მას. ეროვნული კულტურის ცნება კარგავს თავის საზრისს, თუ არ არსებობს მისი ჩამოყალიბების ისეთი პირობა, როგორცაა ერთიანი ენა.

ამრიგად, ენა ის სფეროა, რომელშიც ყველაზე სრულად წარმოჩნდება ერის სული, ისევე, როგორც ეროვნული ხასიათი და ეროვნული კულტურა.

იმდენად, რამდენადაც უმრავლეს შემთხვევაში ადამიანს საქმე აქვს არა თავად სამყაროსთან, არამედ მის რეპრეზენტაციებთან, კოგნიტურ სურათებთან და მოდელებთან, სამყარო წარმოდგება კულტურის პრიზმაში და ხალხთა ენაში, რომელიც ამ სამყაროს ხედავს.

ობიექტური სამყაროს კანონზომიერებანი თანაბრად ვრცელდება როგორც მთელ ბუნებაზე, სამყაროზე, ისე ადამიანზე. ადამიანის ქცევა ემორჩილება ობიექტური სამყაროს ზემოქმედებას. ჯერ კიდევ თეორიულ შეცნობამდე, ცნობიერ აღქმამდე გარემო აისახება ადამიანის ქცევაში და გარკვეული მიმართულებით წარმართავს მას. ადამიანში უნიკალური სახით მოცემულია უნარი, შეინახოს, გამოყოს დამოკიდებულებები, კანონზომიერი კავშირები, რაც წარმოადგენს ერთგვარ განვითარებად სისტემას, რომელშიც აისახება მოვლენები. ასეთი ასახვა შესაძლებელია მოხდეს, და ხდება კიდევ, ენის მეშვეობით. ენა წარმოადგენს იმ პირობას, რომლის წყალობითაც მიმდინარეობს ადამიანის პრაქტიკის ფიქსირება ქმედითი სახით.

ეს ასახვა ხდება ინდივიდუალურ ცნობიერებაში. მაგრამ, ენა არ წარმოადგენს ერთი ადამიანის უნარის გამოვლინებას, იგი კოლექტიური ქმედების შედეგია. ენა არის ეროვნული სულის გამოვლინება, ეროვნული სულის მარეალიზებელი მხარე. ეროვნული სულის ქმედება, ინდივიდუალური გამოვლინება ყოველთვის ცალკეული კონკრეტული ენაა.

ამიტომ ენა განუყოფელია ეროვნული სულისაგან: ყველგან, სადაც ლაპარაკია ეროვნულ ენაზე, უეჭველად იგულისხმება ეროვნული სული.

ხალხის სული თავის კონკრეტულ ინდივიდუალურ გამოვლინებას პოულობს ენების სახით. როგორც ზოგადს შევიცნობთ კონკრეტულის, ერთეულის სახით, ისე ხალხის სულს შევიცნობთ ეროვნული ცნების სახით. ენის პირველადობა არ ნიშნავს იმას, რომ იგი თითქოსდა მოწყვეტილია აზროვნებას, ეროვნულ ხასიათს, კულტურას და რომ ეს უკანასკნელი მიჰყვებიან დროში მას, როგორც კანონზომიერი შედეგი - მიზეზს. ენა განუყოფელია აზროვნებისაგან, ეროვნული ფსიქიკისაგან. ისინი განაპირობებენ ერთმანეთს, მაგრამ ენაში ობიექტური კანონზომიერებების ასახვის დაფიქსირების გარეშე არაგონივრულია ლაპარაკი აზროვნებაზე.

ამრიგად, ენა არის ის, რაც განუყოფელია ადამიანისაგან, რაც მას ადამიანად აქცევს, მაგრამ არა ერთეულ განკერძოებულ ადამიანად, არამედ რაღაც კოლექტივის, ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის წევრად. ამ განსაზღვრული ერთობლიობის შემქმნელი ხალხის სული ხალხის ენაა.

ენა შეიქმნა, გაჩნდა ადამიანთა ერთობლივ ცხოვრებაზე ობიექტური სინამდვილის, სოციალური გარემოს ზემოქმედების პირობებში როგორც ამ გარემოს ასახვა. ამ ასახვის ადგილი ინდივიდუალური ცნობიერებაა.

ამრიგად, ენა წარმოადგენს წარმონაქმნს, რომელიც ახდენს სოციალური გამოცდილების ფიქსირებას. ხალხის სული აძლევს ადამიანს, როგორც უნიკალურ არსებას, უნარს შექმნას ხარისხობრივად ახალი სფერო, ისეთი წარმონაქმნი, როგორცაა ენა, რომელიც ასახავს ყველა ძირითად მოვლენას ობიექტურ სამყაროში, მთელ სოციალურ გამოცდილებას. ასეთი ასახვა ხდება არა მხოლოდ ენაში, არამედ კულტურაშიც, რომელიც როგორც მთლიანობა წარმოადგენს მაინც მეორად ქმნილებას, თუმცა აქტიურად უკუქმედებს ენაზეც და ადამიანთა ცნობიერებაზეც. ეროვნული ენა, ეროვნული ხასიათი და ეროვნული კულტურა წარმოადგენს განუყოფელ, ურთიერთგანპირობებულ მოვლენებს. ამდენად, ეროვნული სული შეიძლება განვიხილოთ როგორც ერის უნიკალური ბედი, ურთიერთობების გამოცდილება, ტრადიციები, ობიექტური სამყაროსადმი დამოკიდებულება. ეს ყოველივე კი

ხორციელდება ენის საფუძველზე, ეროვნული ენის პირობებში, მისი უშუალო ზემოქმედების შედეგად.

ენის მეშვეობით ინდივიდუალურ ცნობიერებაში ხდება სამყაროს ასახვა. ენა ყველაზე ადეკვატურად გამოხატავს ადამიანის ადამიანურობას: მისი საშუალებით მოხდა სოციალური გამოცდილების რეპრეზენტაცია ცნობიერებაში და სრულიად გასაგებია, რომ ყველა ენას, როგორც ერთი ობიექტური სამყაროს ამსახველს, ერთი და იგივე არსების – ადამიანის ცნობიერებაში აქვს საერთო.

ენა, ადამიანის ყოფიერება და კულტურა განუყოფელია ერთმანეთისაგან. ენა იმდენად ინტეგრირებულია კულტურის სისტემაში, რომ მისი გამოყოფა შეუძლებელია მხოლოდ შემეცნებითი მოსაზრებებით. ენისა და კულტურის მიმართების საკითხის განხილვისას მთავარია, გავარკვიოთ თუ რა ადგილი და დანიშნულება აქვს ენას კულტურულ-შემოქმედებით პროცესში. როცა ვსაუბრობთ ენისა და კულტურის მიმართებაზე, ჩვენ ვგულისხმობთ ე.წ. ბუნებრივ ანუ ნაციონალურ ენებს. ნაციონალურ ენათა მრავალფეროვნება უშუალოდ ემყარება და გამომდინარეობს ადამიანისათვის დამახასიათებელი ფუნდამენტური თვისებიდან - ნების, არჩევანის თავისუფლებისგან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი ენის მხოლოდ ნიშანთა სისტემად გამოცხადება ენის არასრულყოფილ დახასიათებას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ენა ნიშანთა სისტემაცაა, მაგრამ იგი უფრო მეტია ვიდრე ნიშანი. ენა უშუალოდაა დაკავშირებული მისი შემოქმედი ხალხის მსოფლგანცდასთან, მსოფლმხედველობასა და აზროვნებასთან.

არ არსებობს კულტურა ენის გარეშე - კულტურის ფენომენი ენითაა გამსჭვალული. ეს იმას ნიშნავს, რომ ენა განსაზღვრავს კულტურის არა რომელიმე კონკრეტული სფეროს, არამედ, თუ რაიმე არსებობს კულტურის სახით, იგი აუცილებლად ენაშია გაფორმებული. ენა კულტურის არსებობის წესია. ენა ეროვნული და კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი იდენტიფიკატორია.

კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელი სამყაროს კონცეპტუალიზაციის ხერხი ნაწილობრივ უნივერსალური და ნაწილობრივ უნიკალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ

სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეები ოდნავ განსხვავებულად უყურებენ სამყაროს, თავიანთ ენობრივ პრიზმაში ატარებენ მას.

თანამედროვე მეცნიერებას აინტერესებს არა უბრალოდ ადამიანი, არამედ პიროვნება, როგორც გარკვეული ნაციონალური მენტალიტეტის და ენის მატარებელი.

ადამიანი მუდმივ დიალოგშია სამყაროსთან, საკუთარ თავთან და ადამიანებთან. ენა ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც შესაძლებელია მენტალურ სფეროში შეღწევა. ენა ყველა დროში ითვლებოდა ეთნოსის იდენტიფიკაციის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად. ენის საშუალებით ჩამოყალიბდა ადამიანთა მოდგმა, რადგან ენამ შეგვიქმნა ცნობიერება. ჩვენი ცნობიერება კი ჩვენი კულტურული (გონითი, სულიერი) ცხოვრების მაკონსტრუირებელი ფაქტორია.

ენა სულის ემანაციაა ადამიანში, რომელშიც დანაწევრებისა და სინთეზის შედეგად წარმოიქმნება სიტყვა - ცნება. იდეა იბადება სიტყვაში, ამდენად, ერთ ენაზე მეტყველ ადამიანებს ერთნაირი იდეები აქვთ, ხოლო სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეთ კი – განსხვავებულიც და ერთნაირიც. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ენა უშუალოდ განპირობებულია აზროვნებით. აზროვნება ქმნის კულტურას. იქმნება გარკვეული წრე: კულტურა ზეგავლენას ახდენს აზროვნებაზე, აზროვნება კი - ენაზე. სწორედ ამ წრეშია მოქცეული ადამიანის ცნობიერება. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: „ენა კულტურაში თუ კულტურა ენაში?“ - პასუხი ცალსახაა: „ენა კულტურაში და კულტურა ენაში“.

ენა წარმოადგენს კულტურის ინფორმაციის ტრანსლატორს. ადამიანი ენის გამოყენებით ქმნის ამ კულტურას. ლინგოკულტუროლოგიის ობიექტი განთავსებულია რამდენიმე მეცნიერების - ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფსიქოლინგვისტიკის - ინტერესთა კვეთაზე.

მიუხედავად იმ კვლევათა სიმრავლისა, რომლებიც ეძღვნება ლინგოკულტუროლოგიური ანალიზის სპეციფიკის გააზრების მცდელობას, ჯერ კიდევ არსებობს საკითხები, რომლებიც მოითხოვს დამატებით განმარტებასა და თეორიულ დასაბუთებას.

კვლევის მოცემული სეგმენტის მიზანს წარმოადგენს სოციალურ-კულტურული და ენობრივი ტენდენციების კვლევა ინდივიდის მიერ სამყაროს ენობრივი სურათის მახასიათებლების გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ ლინგვოკულტუროლოგიის გაჩენა გამოიწვია კულტურისა და ენის ურთიერთქმედების მიმართ. ამ ურთიერთქმედებაში კულტურის ფენომენი გააზრებულია როგორც ადამიანის სამყაროში არსებობისა და ორიენტირების სპეციფიკური ფორმა. ენა კი გვევლინება ადამიანის, კულტურისა და ეროვნული მენტალიტეტის ინტერპრეტირების საშუალებად.

თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური კვლევებს საფუძველი ჩაუყარა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის იდეებმა, რომელმაც პირველმა გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ენას, აზროვნებასა და ხალხის კულტურას შორის არსებობს პირდაპირი და უშუალო კავშირი. XIX-XXI საუკუნეების განმავლობაში მუშავდებოდა თეორია ენისა და კულტურის ურთიერთკავშირის შესახებ (ვილჰელმ ვან ჰუმბოლდტი, ი.ლ. ვაისგერბერი, ო. შპენგლერი, ე. სეპირი, ბ. უორფი, ე. ბენვენისტი, ი.ა. ბოდუენ დე კურტენე, ა.ა. პოტეზნია, ი. მ. ლოტმანი, ე. ს. კუბრიაკოვა, ვ. მასლოვა).

ლინგვოკულტუროლოგიას, როგორც სამეცნიერო კვლევის სფეროს, მრავალი განმარტება აქვს, რომელთაგან რამდენიმე შემდეგნაირად ჟღერს: „ლინგვოკულტუროლოგია სწავლობს ენას, როგორც კულტურულ ფენომენს“, და საკუთრივ ენა „გამოხატავს განსაკუთრებულ ეროვნულ მენტალიტეტს“, „არის კულტურის პირობა, საფუძველი და მისი შედეგი“ (Маслова/მასლოვა, 2001, გვ. 8); „ლინგვოკულტუროლოგია არის სინთეზური ტიპის კომპლექსური სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც სწავლობს კულტურისა და ენის ურთიერთკავშირსა და ურთიერთქმედებას. ის ასახავს პროცესს, როგორც ენობრივი და არაენობრივი შინაარსის ერთეულების განუყოფელ სტრუქტურას, სისტემური მეთოდების, თანამედროვე პრიორიტეტებისა და კულტურული დოგმების მეშვეობით“.

(Вориньев/ვორობიევი, 2014, გვ. 37).

ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის პრინციპებისა და მეთოდოლოგიის საკითხი საჭიროებს რამდენიმე ცნების დაზუსტებას: ენა, კულტურა, სამყაროს ენობრივი სურათი, კულტურული სპეციფიკა, რეალობა, კონცეპტუალური სფერო, და სხვა.

კვლევაში ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი გააზრებულია ენის, ენის მატარებლისა და კულტურის წარმომადგენლის მჭიდრო ურთიერთქმედების ჭრილში. სწორედ ამგვარი გააზრება იძლევა ენის სემანტიკურ და კონცეპტუალურ სივრცეებში არსებული უნივერსალებისა და უნიკალების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

ენის გაგება ლინგვოკულტუროლოგიაში არ სცილდება ზოგად ლინგვისტურ ინტერპრეტაციებს. ლინგვოკულტუროლოგისთვის ენა არის ნიშნების სისტემა, გამოყენებული გარკვეულ საზოგადოებაში, გარკვეულ დროსა და გარკვეულ სივრცეში. ამავე დროს, წინა პლანზე ინაცვლებს ენის ისეთი ფუნქციები, როგორცაა: ეპისტემიური (ენა არის რეალობის შესახებ ცოდნის შენახვის ფორმა) და შემეცნებითი (ენა ადამიანის მიერ გარე სამყაროს შეცნობის საშუალებაა). ლინგვოკულტუროლოგიის მეორე ძირითად ცნებას წარმოადგენს „კულტურა“. ტერმინი, რომელიც დაინერგა ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში მარკუს პორციუს კატონის მიერ, ბევრი წინააღმდეგობრივი განსაზღვრება აქვს; განმარტებათა მრავალფეროვნების დაყვანა ერთ რომელიმე განმარტებამდე შეუძლებელია. ედუარდ სეპირმა ინტერპრეტაციათა მრავალფეროვნების არსებობა ახსნა იმ ფაქტით, რომ კულტურა ერთ-ერთი „ბუნდოვანი აზროვნების სფეროა“, რომლის საზღვრები იცვლება, ვიწროვდება ან ფართოვდება, იმის მიხედვით, თუ ვინ იყენებს ამ ტერმინებს“ (Сепир Э./სეპირი, 2001, გვ. 469).

ენისა და კულტურის ურთიერთქმედების შესწავლა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს კულტურის არსის დაზუსტებას. ამჟამად კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებად მიიჩნევა შემდეგი: პირველ რიგში, კულტურა განიხილება როგორც განსაკუთრებული სოციალური გარემო, შექმნილი ადამიანთა მიერ ისტორიის განვითარებასთან ერთად.

„კულტურის ცნება აღწერს და ახასიათებს ადამიანების სამყაროს და მოიცავს ფასეულობებს და ნორმებს, რწმენებს, ადათ-წესებს, დოგმებს, რიტუალებს, ცოდნასა და უნარებს (მოიცავს ისეთ სოციალურ ინსტიტუტებს, როგორც არის კანონმდებლობა, სახელმწიფო), ენასა და ხელოვნებას, ტექნოლოგიებს და ა.შ. თანამედროვე ფსიქოლოგები, სოციოლოგები და ანთროპოლოგები ხელმძღვანელობდნენ მსგავსი განმარტებით. მათ შორის, მაგალითად, სოციალური ფსიქოლოგი და კულტურის მკვლევარი ჰარი კ. ტრიანდისი ამბობდა:

„კულტურა არის გარემოს ნაწილი, რომელსაც თავად ადამიანი ქმნის“ (Триандис Г.К /ტრიანდისი, 2007, გვ. 19). ამ გაგებით, კულტურის არსი უახლოვდება ცივილიზაციის ცნებას. ამ მოსაზრებას ეყრდნობოდა ედუარდ საპირი. ოსვალდ შპენგლერისა და მისი მიმდევრებისგან განსხვავებით, ის არ უპირისპირებდა ერთმანეთს კულტურასა და ცივილიზაციას, პირიქით, მისი აზრით, ეს იყო გარკვეულ დროში ამა თუ იმ ხალხის ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მიღწევების ერთობლივი ეფექტი. კულტურა, სეპირის აზრით, გამოხატავს ცივილიზაციის უნიკალურ, ეროვნულ მახასიათებლებს: „კულტურა შეიძლება განისაზღვროს როგორც ცივილიზაცია იმდენად, რამდენადაც იგი განასახიერებს ეროვნულ სულისკვეთებას“ (სეპირი, 2001. გვ. 469).

მკვლევართა დიდი ჯგუფი კულტურას ხედავს როგორც კოლექტივის, თემების - ხალხთა თუ ერთა ჯგუფურ შემოქმედებით საქმიანობას. „ფილოსოფიური ენციკლოპედიური ლექსიკონის“ ავტორების მიერ წარმოდგენილი განმარტების თანახმად: „კულტურა არის ცხოვრების გამოხატულებების ერთობლიობა, ხალხის ან ერთა ჯგუფის ერთობლივი მიღწევები და შემოქმედება“ (Фролова И.Т./ფროლოვა, 1987, გვ. 229).

ამ მიდგომით, კულტურის სფერო მოიცავს არა მხოლოდ ყველაფერს, რაც ადამიანმა და კაცობრიობამ შექმნა, არამედ ბუნებრივ საგნებსაც, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ საზოგადოების ცხოვრებაში. „კულტურა არის ნებისმიერი ბუნებრივი ფენომენი, რომელიც ადამიანის ჩარევით გარდაიქმნება, რაც შესაბამისად შესაძლებელს ხდის მის გაგებას სოციალურ კონტექსტში“ (Хроленко /ხროლენკო, 2008, გვ. 41-42). კულტურა აღიქმება როგორც ნიშანთა სისტემა, რომლის ერთეულებიც წარმოადგენს მატერიალური და არამატერიალური სახის ყველა ობიექტსა და ფენომენს, რომლებიც მნიშვნელობას ანიჭებენ გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს. უფრო მეტიც, განმსაზღვრელი ერთეულები აღიქმება როგორც კულტურის ფაქტები ან მოვლენები. საგანი ან მოქმედება კულტურული ფენომენი ხდება, თუ ის მნიშვნელობას შეიძენს; მნიშვნელობების და აზრის გაჩენა ქმნის კულტურას. კულტურის ფაქტები, ისევე როგორც სხვა ნიშნები, წარმოადგენს სრულყოფილისა და მატერიალურის ერთიანობას, ხოლო კულტურული მნიშვნელობები ზედმიწევნით აისახება კულტურულ კოდექსებში, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება „სიტყვები, სიმბოლოები, მითოლოგერები, იდეოლოგიები, ქცევის სტერეოტიპები, რიტუალები, ნიშნები და ა.შ.“ (ხროლენკო, 2008, გვ. 41-42). ძალიან საინტერესო კულტურულ-ენობრივი ნიშნის მოდელი

შემოგვთავაზა ედუარდ სეპირმა: „კულტურა შეიძლება განისაზღვროს იმით, თუ როგორ იქცევა და ფიქრობს მოცემული საზოგადოება. ენა არის ის, რასაც ხალხი ფიქრობს“ (სეპირი, 2001, გვ. 193). კულტურის თითქმის ყველა ზემოხსენებული ინტერპრეტაცია თანხმდება იმაზე, რომ კულტურის მატარებლები არიან არა ცალკე აღებული ინდივიდები, არამედ სოციუმები - ხალხები, ეთნიკური ჯგუფები, ერები, „ყველა ადამიანური ქმნილება, ყველა ჯგუფი, რომელიც კულტურითაა დაჯილდოებული“ (სეპირი, 2001, გვ.466).

კულტურა არის „მოცემული ერისათვის ყველა დამახასიათებელი ცხოვრების წესი და საქმიანობა სამყაროში, ასევე ურთიერთობა ხალხებს შორის (წეს-ჩვეულებები, რიტუალები, კომუნიკაციის თავისებურებები და ა.შ.) და ხედვის, გაგებისა და სამყაროს გარდაქმნის გზები“ (მასლოვა, 2001, გვ.16).

კულტურის კვლევა გულისხმობს ისეთი ფენომენების გააზრების აუცილებლობას, როგორცაა: კულტურული ფონი და კულტურული მეხსიერება. კულტურული ფონი განისაზღვრება იმ ერთეულთა ერთობლიობად (სიტყვებად და ფრაზეოლოგიურ ერთეულებად), რომლებიც აღნიშნავს ამა თუ იმ კულტურისა და ენის მატარებელი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ სოციალურ ცხოვრებასა და ისტორიულ მოვლენებს. ენობრივი ერთეულის „კულტურულ მეხსიერებას“ შეადგენს ის ასოციაციები, რომლებიც დადგენილია ენობრივი ერთეულის გამოყენების ისტორიის გათვალისწინებით და რომლებიც ორგანიზებას უწევს ენობრივი ერთეულის თანამედროვე მნიშვნელობას (მასლოვა, 2001, გვ. 48-56). ენისა და კულტურის ურთიერთქმედების საკითხზე მუშაობისას, ე. სეპირმა უარყო მათი უშუალო კორელაციის შესაძლებლობა, განსაკუთრებით სტრუქტურულ დონეზე, ასევე მოუწოდებდა და აფრთხილებდა ენათმეცნიერებს, რომ ერთმანეთთან არ გაეიგივებინათ „ენა და ლექსიკა“ (სეპირი, 2001, გვ.193-194).

ლინგვისტური ფარდობითობის თეორია ამტკიცებდა, უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ენები ტოვებენ მხოლოდ სპეციფიკურ კვალს ზოგადსაკაცობრიო აზროვნების კატეგორიაზე: „ენები ჩვენთვის უფრო მეტია, ვიდრე აზროვნების გადაცემის სისტემები. ისინი უხილავი ფარდებია, რომლებიც ჩვენს სულს აცვია; ისინი წინასწარ განსაზღვრულ ფორმას აძლევენ მის ყველა სიმბოლურ გამოხატულებას“, ამიტომ „ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ენა როგორც კულტურის გააზრების სიმბოლური სახელმძღვანელო. კულტურის მრავალი ობიექტი და

ფენომენი ერთმანეთთან იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ კულტურული ღირებულების მქონე ტერმინების განაწილების შესწავლა ხშირად საშუალებას მოგვცემთ დაინახოთ აღმოჩენებისა და იდეების ისტორია ახალი რაკურსით“ (სეპირი, 2001, გვ.262). ამრიგად, ლინგვისტური ფარდობითობის თეორიის ავტორები მიუახლოვდნენ (თუმცა ის მათ უშუალოდ არ ჩამოუყალიბებიათ) თანამედროვე კულტურული ენათმეცნიერების ისეთ მნიშვნელოვან კონცეფციას, როგორცაა სამყაროს ენობრივი სურათი.

გამოთქმა „სამყაროს სურათი“ ენათმეცნიერებაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან დამკვიდრდა. ითვლება, რომ იგი პირველად გამოიყენეს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თეორიული ფიზიკის ჩარჩოებში. იგი გამოიყენა ჰაინრიხ ჰერცმა სამყაროს ფიზიკურ სურათთან მიმართებაში, რომელიც მან განმარტა როგორც შიდა გამოსახულებების (სურათი) და გარეგანი ობიექტების ერთობლიობა, რომელთაგანაც ლოგიკური მსჯელობით შეიძლება მივიღოთ ცნობები ამ ობიექტების ქცევასთან დაკავშირებით (Зиновьева Е. /ზინოვიევა, 2006, გვ. 51). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამყაროს სურათი რეალობის მოდელია და არა თავად რეალობა. ამას ყურადღება მიაპყრო გერმანელმა ფიზიკოსმა მაქს პლანკმა და აღნიშნა, რომ ხალხმა სამყაროს სურათის კონცეფციის გამოყენება დაიწყო თეორიული ობიექტისა და რეალობის გაიგივების ილუზიის შიშით (Планк М. /პლანკი, 1966, გვ. 49).

განხორციელდა ამ კონცეფციის საზღვრებისა და ხასიათის განმარტება. ალბერტ აინშტაინმა განმარტა ამ კონცეფციის საზღვრები და ხასიათი. მეცნიერმა აღნიშნა, რომ ადამიანს აქვს მიდრეკილება „გარკვეული ადეკვატური გზით შექმნას სამყაროს მარტივი და მკაფიო სურათი იმისათვის, რომ თავი დააღწიოს შეგრძნებების სამყაროს, გარკვეულწილად, ამ გზით შეეცადოს შექმნილი სამყაროს სურათის შეცვლას. ამას ყველა თავისებურად აკეთებს: მხატვარი, პოეტი, ფილოსოფოსი და ა.შ. ადამიანს შეუძლია თავისი სულიერი ცხოვრების სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს ამ სურათზე და შემდეგ ყურადღება გადააქვს მის გაფორმებაზე, იმისთვის, რომ იპოვოს მასში მშვიდობა და ნდობა” (Эйнштейн А. /აინშტაინი, 1967, გვ.136).

დიდი ფიზიკოსი მიუთითებს ისეთ მახასიათებლებზე, როგორცაა მსოფლიოს სურათების ასპექტები, მაგალითად, მათი შეუსაბამობა რეალურ სამყაროსთან და გრძნობებთან დაკავშირებულ გამოცდილებასთან, ადამიანის გარკვეულ სულიერი და კოგნიტური

მოთხოვნილებების მიმართ დამოკიდებულებასთან და სიმრავლესთან. დღეისათვის მიღებულია მსოფლიოს სამეცნიერო, მხატვრული, ენობრივი და სხვა სურათების ერთმანეთისაგან გამიჯვნა (Корнилов О.А. /კორნილოვი, 2011, გვ.3).

ენას, აზროვნებასა და კულტურას შორის კავშირის შესწავლისას აქტუალური ხდება „სამყაროს ენობრივი სურათის კონცეფცია“. სამყაროს ენობრივი სურათი გაგებულია როგორც „ისტორიულად ჩამოყალიბებული, მოცემული ენობრივი საზოგადოების ყოველდღიურ ცნობიერებაში ფიქსირებულ წარმოდგენათა ერთობლიობა სამყაროზე, რომელიც აისახება ენაზე და წარმოადგენს ჭეშმარიტების კონცეპტუალიზაციის გარკვეულ გზას“ (Kramsch C./კრამში, 1998). სამყაროს სურათების ფორმირებისას ენა მონაწილეობს ორ პროცესში: ერთი მხრივ, ის წარმოადგენს გარემოს და მასალას, რომელშიც და საიდანაც იქმნება სამყაროს ენობრივი სურათი; მეორე მხრივ, იგი გამოხატავს და განმარტავს მსოფლიოს სხვა სურათებს, შეაქვს მათში ადამიანის მახასიათებლები და მისი კულტურა. ამრიგად, ენის დახმარებით ცალკეული ინდივიდების მიერ მიღებული ცოდნა ემპირიულად გარდაიქმნება კოლექტიურ ცოდნად (კრამში, 1998). შესაბამისად, სამყაროს ენობრივი სურათი წარმოადგენს ყველა ინფორმაციას გარე და შინაგან სამყაროზე, რომელიც გამყარებულია ცოცხალი ენების საშუალებით. სამყაროს ენობრივ სურათში მთავარი არის ცოდნა, რომელიც განმტკიცებულია სპეციფიკური სიტყვებით და ფრაზებით კონკრეტულ ენებში. უფრო ვიწრო გაგებით, სამყაროს ენობრივი სურათი მთლიანად განმსჭვალულია კონკრეტული ენის მთელი კონცეპტუალური შინაარსით (კრამში, 1998; მასლოვა, 2001, გვ. 52-53). სხვადასხვა ენები მსოფლიოს სურათებს მხოლოდ გარკვეულ სპეციფიკურობას, ეროვნულ ელფერს ანიჭებენ. ეს კი აიხსნება ხალხთა შორის კულტურისა და ტრადიციების განსხვავებულობით. მსოფლიოს სურათი აისახება ეთნიკური ჯგუფის ენის შინაარსში. მისი ანალიზი გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეროვნული კულტურები, როგორ ავსებენ ისინი ერთმანეთს მსოფლიო კულტურის დონეზე.

ეს უკანასკნელი, ავტორის აზრით, წარმოადგენს ამა თუ იმ ენის საზოგადოების ყოფითი (ლინგვისტური) ცნობიერების მიერ ობიექტური სამყაროს ასახვის შედეგს (კორნილოვი, 2011, გვ. 46, 112). მსოფლიოს ეროვნულ ენობრივ სურათს მკვლევარი განმარტავს, როგორც „კონკრეტული ენობრივი საზოგადოების, კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ენობრივი ცნობიერების მიერ ობიექტური სამყაროს ასახვის შედეგს“. ავტორი ასევე გამოყოფს

მსოფლიოს ინდივიდუალურ ენობრივ სურათს: „კონკრეტული ეროვნული ენის მატარებლის მიერ ობიექტური სამყაროს ინდივიდუალური ენობრივი ცნობიერებით ასახვის შედეგს“. (კორნილოვი, 2011, გვ. 112-113).

საზოგადოებაში ენასა და კულტურას შორის ურთიერთქმედების ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია პიროვნება (ენობრივი პიროვნება), რომელიც ენაში გამოხატული კულტურული ღირებულებების აღქმისა და შეფასების ამოსავალი წერტილია. პიროვნება - სოციალურ-ეთიკური კატეგორია - გამოხატავს სულიერებას და წარმოადგენს კონკრეტული ეროვნული საზოგადოების ინდივიდუალურ მახასიათებელთა განზოგადებას. ეროვნული ენობრივი პიროვნება არის არა მხოლოდ გარკვეული კულტურული, ფსიქოლოგიური, სოციალური და ენობრივი ფენომენი, არამედ მთელ მატერიალურ და კულტურულ „კონტექსტა“ ერთობლიობა. ეროვნული პიროვნების არსი, მთელი თავისი მთლიანობით, არის ენისა და კულტურის მიმართების ლოგიკურად ასახვა. საზოგადოება და ხალხი წარმოადგენს ზუსტად იმ საფუძველს, რომელიც განაპირობებს პიროვნების, როგორც ეროვნული ელემენტის არსებობას.

პიროვნება არის არა მხოლოდ საზოგადოების გარეგანი ნიშანი, არამედ აუცილებელი ატრიბუტი, რომლის წყალობითაც ადამიანური საზოგადოება იძენს ფუნდამენტურად ახალ, მისი სპეციფიკისა და არსებობის თვისობრივად უფრო მაღალ ფორმას. „ეროვნება არის რეალური, სტრუქტურულად მდიდარი და კომპლექსური კავშირი პიროვნებისა საზოგადოებასთან, რომელიც მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ, ტერიტორიულ, საყოფაცხოვრებო, სოციალურ, პოლიტიკურ, ენობრივ, სულიერ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს“ (ვორობიევი, 2014, გვ. 96). მიუხედავად იმისა, რომ დამოკიდებულება ენასა და მასზე მოსაუბრე ინდივიდის კულტურულ იდენტობას შორის არაერთმნიშვნელოვანია, ენა მგრძნობიარე მაჩვენებელია პიროვნებასა და იმ ენობრივ-კულტურულ საზოგადოებას შორის ურთიერთობისა, რომელსაც ის მიეკუთვნება (კრამში, 1998, გვ.77).

სამყაროს ენობრივი სურათის მეშვეობით ხალხის მიერ რეალობის აღქმა ექცევა ზეგავლენის ქვეშ, ენა იქცევა კონცეპტუალური ორიენტაციის ერთ-ერთ საშუალებად. სამყაროს ენობრივი სურათი ძირითადად შეისწავლება ორი გზით, კერძოდ, მიმდინარეობს: ა. ზოგიერთი

ენისთვის დამახასიათებელი სამყაროს ხედვის თავისებურებათა ძიება და რეკონსტრუქცია, ან ბ. კონკრეტული ენის ცალკეული ცნებების შესწავლა.

კულტურისა და კულტურით დეტერმინირებულ ფენომენტთა თანამედროვე კვლევების ცენტრში იკვეთება კონცეპტი - თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ – ერთი მთავარი ცნება.

კონცეპტი „თანდათან ვითარდება და ახდენს ინდივიდუალური სემანტიკური თავისებურებების აქტუალიზებას მეტყველებაში; კონცეპტი შეიძლება სხვადასხვა ფორმით არსებობდეს ჩვენს მენტალურ სამყაროში, ცნობიერებაში - წარმოდგენის, გამოსახულების, სიმბოლოს ან ცნების სახით“ (ზინოვიევა, 2006, გვ. 104-105).

ავტორთა ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს ეთნიკური (ნაციონალური) კონცეპტების სპეციფიკაზე და მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე კონკრეტულ ენობრივ საზოგადოებასთან. ამ გაგებით, კონცეპტები შეიძლება განვიხილოთ, ერთდროულად, როგორც მსოფლიოს ენობრივი ხედვის და ეროვნული და კულტურული მენტალიტეტის კატეგორიები, ამასთანავე იდეალური სამყაროს შემქმნელები და ამ სამყაროსვე პროდუქტები. კონცეპტები უშუალოდ უკავშირდებიან კულტურულ-ენობრივი საზოგადოებების ღირებულ და შინაარსობრივ ორიენტაციებს, რადგან ისინი წარმოადგენენ „ცხოვრების ფილოსოფიის ცნებებს“, მსოფლმხედველობრივი ტერმინების ყოველდღიურ ანალოგებს, რომლებიც მშობლიური ენების ლექსიკონშია ფიქსირებული და ეთნოსის სულიერი კულტურის სტაბილურობასა და უწყვეტობას უზრუნველყოფს.

ამ გაგებით, კონცეპტები გვევლინებიან ეთნიკური ცნობიერების ელემენტებად. მათი ძირითადი მახასიათებლები ასეთია: კულტურული მნიშვნელობა, აქსიოლოგიური შეფერილობა და იდეოლოგიური ორიენტაცია (ზინოვიევა, 2006, გვ. 104). სადაო საკითხად რჩება ის, თუ რა სიტყვები და ცნებები შეიძლება ჩაითვალოს კონცეპტებად. მოცემულია რამდენიმე კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია დავაკვალიფიციროთ ფენომენი, როგორც კონცეპტი: „კონცეპტად იქცევა რეალობის მხოლოდ ის ფენომენი, რომლებიც მნიშვნელოვანია და ღირებულია მოცემული კულტურისთვის, არსებობს მის დასაფიქსირებლად საჭირო ერთეულთა დიდი რაოდენობა; წარმოადგენს ანდაზებისა და გამონათქვამების, პოეტური და პროზაული ტექსტების საგანს“ (მასლოვა, 2001, გვ. 28).

კონცეპტები წარმოიქმნება ეროვნული ტრადიციისა და ფოლკლორის, რელიგიის და

იდეოლოგიის, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ხელოვნების, შეგრძნებებისა და ღირებულებითი სისტემების ურთიერთქმედების შედეგად.

კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან კონცეპტებს კულტურის მუდმივები ან „საკვანძო სიტყვები“ ეწოდება. ისინი უძველეს დროში ჩნდებიან და მათი კვალი გადის ძველი დროის მოაზროვნეების, მწერლებისა და უბრალოდ ენის მატარებლების ცნობიერებაზე.

„საკვანძო სიტყვები“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული კულტურისათვის. (ვეუბიცკა, 2003, გვ. 35). სწორედ მათი ბირთვი მოიცავს კულტურულ ინფორმაციას. ენობრივ ცნობიერებაში კულტურული კონცეპტი წარმოდგენილია მნიშვნელობების მრავალგანზომილებიანი ქსელის ფორმით. კონცეპტი გამოხატული და „დამაგრებულია“ ლექსიკური, ფრაზეოლოგიური ერთეულებით, პრეცედენტული ტექსტებით, ეტიკეტის ფორმულებითა და მეტყველების ქცევითი ტაქტიკით.

კონცეპტის განმარტებების მოკლე ანალიზის შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ავტორი ხაზს უსვამს მის სამნაწილიან სტრუქტურას: კონცეპტი არის ფსიქიკური, ეთნოკულტურული და ენობრივი ფენების ერთიანობა. ამავე დროს, მენტალიტეტი განისაზღვრება როგორც აზროვნების პროცესების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს მსოფლიოს განსაკუთრებული სურათის აგებას.

ლინგვოკულტუროლოგებისთვის ყველაზე საინტერესოა სპეციფიკურობის მოვლენა მენტალური ერთეულების შემადგენლობაში, გარკვეული კულტურული კონცეპტების განმასხვავებელი სემანტიკური მახასიათებლების კუმულაციური და სისტემატური აღწერა. ამ ტენდენციაში ლინგვოკულტუროლოგიური კვლევები მიმართულია უფრო ონომასიოლოგიური კუთხით და კონცეპტიდან გადადის მის მიერ დასახელებულ მნიშვნელობებზე. დღემდე, კონცეპტების აღწერისა და ანალიზის მეთოდოლოგია ყველაზე მკაფიოდ შემუშავებულია კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში.

კონცეპტების ურთიერთკავშირებით ჩამოყალიბებულ სისტემას, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ეწოდება კონცეპტუალური სფერო, რომელსაც ახასიათებს განსაკუთრებული სამნაწილიანი სტრუქტურა. იგი შედგება ბირთვისგან (ამა თუ იმ ლექსემის სიტყვიერი მნიშვნელობა), ბირთვული ზონისგან (კონცეპტის სხვა ლექსიკური

გამოხატულებები, მისი სინონიმები და ა.შ.) და პერიფერიისგან (ასოციაციურ-ფიგურალური გამოხატულებები). კონცეპტუალური სფერო თავისთავად მოიცავს როგორც შინაარსობრივად არსებით, კონცეპტუალურ ცოდნას რეალობის შესახებ, ისე მენტალური სტერეოტიპების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს რეალობის, მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისებურებას (ვეჟბიკა, 2003, გვ. 24).

ცნება „კულტურული სპეციფიკა“ ნიშნავს „კონკრეტულ კულტურასთან კავშირს და გამოხატავს კონკრეტული კულტურის სპეციფიკურობას“. ამ კატეგორიის ენობრივი საფუძველი შედგება სინამდვილისა და არტეფაქტების აღმნიშვნელი სიტყვებისგან, კულტურული სპეციფიკით დატვირთული სიტყვებისა და სიტყვათაშეთანხმებებისგან, სტაბილური ასოციაციური კავშირების მქონე ლექსიკური ერთეულებისგან, ისევე როგორც ეროვნული ლიტერატურის ნიმუშებისა და კულტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ტექსტების ფრაგმენტებისგან.

„კულტურულ-სპეციფიკური სიტყვები წარმოადგენს კონცეპტუალურ ინსტრუმენტებს, რომლებიც ასახავს საზოგადოების ქცევისა და საზოგადოების წარსულ გამოცდილებას; კულტურულ-სპეციფიკური სიტყვები ხელს უწყობენ ამ ინფორმაციის უკვდავყოფას. ამ ერთეულებმა შეიძლება თანდათანობით იცვალონ სახე ან სულაც გაქრნენ იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება საზოგადოება“ (ვეჟბიკა, 2003, გვ. 20). ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის მთავარ ერთეულს სწორედ კულტურის სპეციფიკურ ასპექტში განხილული კონცეპტი წარმოადგენს.

ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი წარმოადგენს მენტალურ ერთეულს, რომელიც მიზნად ისახავს ენის, ცნობიერების და კულტურის სრულყოფილად წარმოდგენას. რეალიები და მითოლოგიები ასევე შეიძლება იყოს ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის განსაკუთრებით ინფორმატიული ერთეულები.

ავტორები აღნიშნავენ რომ „რეალია ძალიან მჭიდრო კავშირშია ექსტრალინგვისტურ სინამდვილესთან, რაც მინიმუმ თავად ტერმინის ეტიმოლოგიაზე მიუთითებს. „რეალია“, როგორც ცალკეული საგნების, ცნებების, ყოველდღიური ცხოვრებისეული მოვლენების, კულტურის, კონკრეტული ხალხის ან ქვეყნის ისტორიის დასახელება, აუცილებლად უნდა იყოს ასახული თარგმანში“ (Влахов С. & Флорин С. / ვლახოვი & ფლორინი, 1980, გვ. 16).

ვიწრო გაგებით, რელიეზი მხოლოდ გარკვეული ერებისა და ხალხებისთვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურის ობიექტების, ისტორიული ფაქტების, სახელმწიფო ინსტიტუტების, ეროვნული და ფოლკლორული გმირების სახელების, მითოლოგიური ქმნილებების და ა.შ. დასახელებებია. რელიეზი კულტურით დეტერმინირებული ენობრივი ერთეულებია, რომლებიც საჭიროებენ კომენტარებსა და დესკრიფციას.

ენათმეცნიერებაში მითოლოგემა შეიძლება გავიგოთ როგორც „რამდენიმე ცნების ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთისგან განუყოფელია უძველესი ადამიანის აზროვნების ჩარჩოებში, ისევე როგორც ამ ცნებებთან დაკავშირებული ყველა უძველესი სიმბოლო“ (Кереньи К. & Юнг К.Г./კერენი & იუნგი, 1997) აღნიშნული ერთეულის ანალიზისას მკვლევარი აწყდება სამყაროს ფოლკლორულ სურათს, რომელიც სათავეს იღებს მითოლოგიური კულტურიდან.

ნებისმიერი მეცნიერების, ამ შემთხვევაში ლინგვოკულტუროლოგიის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა არის მისი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური აპარატის დაზუსტება, რადგან კონცეპტუალური საფუძვლისა და განსაზღვრული კატეგორიალური აპარატის არსებობა წარმოადგენს სამეცნიერო პარადიგმის სრულფასოვანი არსებობის მტკიცებულებას. მეცნიერების მიერ მეთოდოლოგიური ბაზის ფორმირების სირთულე დაკავშირებულია ლინგვისტების მიერ ენისა და კულტურის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებასთან, მომიჯნავე პარადიგმების არსებობასთან, რომელთა ტერმინოლოგიამ გავლენა მოახდინა ლინგვოკულტუროლოგების არჩევანზე.

კვლევაში კონცეპტუალური ანალიზი აღიარებულია ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდად. მისი მთავარი ერთეულია კონცეპტი - მენტალური ერთეული, რომელიც მიზნად ისახავს ენის, ცნობიერებისა და კულტურის მიმართების სპეციფიკის წარმოდგენას. კონცეპტები ქმნიან კონცეპტუალურ სფეროს, რაც, თავის მხრივ, ახდენს გავლენას ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის სამყაროს ენობრივი სურათის ჩამოყალიბებაზე. ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის დროს მკვლევარის ყურადღება გამახვილებულია კონცეპტის უნიკალურ, კონკრეტული კულტურისათვის დამახასიათებელ ასპექტებზე.

ეროვნული მსოფლმხედველობა, პირველ რიგში, გამოხატულებას ჰპოვებს რეალობის ვერბალური სემანტიკის სპეციფიკაში.

ამრიგად, ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ეხება იმ ერთეულებს, რომელთა შესწავლის გზით შესაძლებელია მოცემული ენობრივი საზოგადოების კულტურული სივრცის კვლევა.

2.4. ლინგვოკონტური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომები კონცეპტისადმი

ცნება „კონცეპტი“ იმლევა ეროვნული ენის, შესაბამისად კი, ეროვნული კულტურის წვდომის შესაძლებლობას. „კონცეპტი“ კონტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და, იმავდროულად, სხვადასხვაგვარად განსაზღვრებადი ტერმინია. ლინგვისტურ ლიტერატურაში ცხადად იკვეთება კონცეპტის არსის თაობაზე არსებულ თვალსაზრისთა მრავალფეროვნება.

კონტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის სფეროში განხორციელებულ კვლევათა ვექტორი მიმართულია კონცეპტის არსის შესწავლაზე. საფიქრებელია, რომ სწორედ აღნიშნული ფაქტი განაპირობებს თვალსაზრისთა მრავალფეროვნებას.

კონცეპტის ინტერპრეტაციათა ველის ჰეტეროგენულობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. კონცეპტი არ გვეძლევა უშუალო დაკვირვებაში - იგი აზროვნების კატეგორიაა;
2. კონცეპტის არსის შესწავლაზე ორიენტირებულია ფილოსოფოსების, ლოგიკოსების, ფსიქოლოგების, კულტუროლოგების მიერ განხორციელებული კვლევები და სრულიად ბუნებრივია, რომ კონცეპტის ინტერპრეტაციათა ველში ცხადად იკვეთება არალინგვისტურ დისციპლინათა მიერ ფენომენის ინტერპრეტაციის კვალი.

ტერმინის „კონცეპტი“ მნიშვნელობა მოიცავს „საწყისი ჭეშმარიტების“ იდეას. კონცეპტი არის ის, რაც „ჩასახულია“. ხშირად არც ისე მარტივია მოვლენათა თაობაზე „მოლაპარაკება“: ზოგჯერ გაცილებით შედეგიანია საწყის იდეათა ან კონცეპტთა რეკონსტრუირება და

ჩამოყალიბებულ წარმოდგენებზე - ძველ კონცეპტებზე - დაყრდნობით ახალ ცნებათა კონსტრუირება (დემიანკოვი/Демьянков, 2001, გვ. 37-42).

აღნიშნულ მოსაზრებაში ყველაზე ღირებული „ჩასახვის“ სემის, „საწყისი იდეის“ დეკლარირებაა, ვინაიდან სწორედ აღნიშნული იდეის საფუძველზე ვითარდება და კონკრეტდება დამატებითი მნიშვნელობები სხვადასხვა სააზროვნო სივრცეში.

ვითარდება რა თანდათანობით და ახდენს რა ცალკეულ სემანტიკურ ნიშანთა აქტუალიზაციას მეტყველებაში, კონცეპტი იძენს მოცულობას.

ლინგვისტურ ლიტერატურაში კონცეპტი განიხილება როგორც:

1. ენისა და აზროვნების დამაკავშირებელი რგოლი, როგორც ცნობიერების ერთეული და ადამიანის გამოცდილების ინფორმაციული სტრუქტურა“ (კუბრიაკოვა/Кубрякова , 1995, გვ. 115-123);
2. რეალური ან იდეალური სამყაროს საგნის ამსახველი, კოლექტიური ცნობიერების ნებისმიერი დისკრეტული ერთეული, რომელიც ინახება ენის მატარებელთა ეროვნულ მეხსიერებაში შემეცნებული და ვერბალურად აღნიშნული სუბსტრატის სახით“ (კუბრიაკოვა/Кубрякова, 1995, გვ. 173-189).
3. რეალური სამყაროს საგანზე არსებული ცოდნა, რომელიც გარდაქმნილია იდეალური სამყაროს საგანზე არსებულ ცოდნად“ (ვეჰბიკა/Wierzbicka, 1984, გვ. 20-22);
4. მენტალური, ცნობიერების ერთეული, კულტურის იმ „ფენის“ შემქმნელი, რომელიც შუამავლობს ადამიანსა და სამყაროს შორის;
5. ცნობიერებაში არსებულ კულტურის „შენადედი“, რომლის მეშვეობითაც ადამიანი თავად შედის კულტურაში.

კონცეპტის სტრუქტურა მოცავს ყველაფერ იმას, რაც აქცევს მას კულტურის ფაქტად.

კონცეპტის სტრუქტურა მოიცავს ძირითად ნიშნებამდე შემჭიდროებულ ისტორიას, თანამედროვე ასოციაციებსა და შეფასებებს. კონცეპტთა ერთობლიობა ქმნის ენის კონცეპტუალურ სფეროს, რაც უშუალო კავშირშია სამყაროს ენიობრივ ხატთან.

მეცნიერთა ნააზრევის ანალიზი იძლევა შემდეგი დასკვნების ფორმულირების შესაძლებლობას:

1. რაც უფრო მდიდარია ერის კულტურა, მით უფრო მდიდარია ეროვნული ენის კონცეპტუალური სფერო;
2. ეროვნული ენის კონცეპტუალური სფეროს ცალკეული ვარიანტების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ისინი სხვადასხვაგვარად ჯგუფდებიან და ვლინდებიან;
3. კონცეპტები სხვადასხვაგვარად რეალიზდება სხვადასხვა კულტურაში - ნებისმიერი კონცეპტი, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდეს კონტექსტის, კონცეპტის მატარებლის კულტურული გამოცდილებისა და კულტურული თავისებურების გათვალისწინებით;
4. კონცეპტი წარმოადგენს კულტურის, შემეცნებისა და ენის სფეროებში განხორციელებულ მეცნიერულ კვლევათა მაკავშირებელ რგოლს;
5. რამდენადაც კონცეპტი ასოცირდება შემეცნებასთან, იგი დეტერმინირებულია კულტურითა და რეალიზდება ენის მეშვეობით;
6. კონცეპტი არის კოლექტიური ცოდნის ერთეული, რომელსაც აქვს ენობრივი გამოხატულება და აღბეჭდილია ეთნოკულტურული სპეციფიკით;
7. ეთნოსპეციფიკა წარმოადგენს კონცეპტთა განსაკუთრებულ თვისებას - სხვადასხვა კულტურის კონცეპტთა შედარებისას იკვეთება ერთეულთა შორის არსებული ასიმეტრიულობა;
8. კონცეპტს რთული სტრუქტურა აქვს - ერთი მხრივ, კონცეპტს განეკუთვნება ყველაფერი ის, რაც ნიშანდობლივია ცნებისათვის. მეორე მხრივ, კონცეპტის სტრუქტურაში შედის ყველაფერი ის, რაც აქცევს მას კულტურის ფაქტად (სტეპანოვი/Степанов, 1997, გვ. 45);
9. კონცეპტის სტრუქტურაში იკვეთება ცენტრალური და პერიფერიული ზონები, რომლებიც, შესაბამისად, ქმნიან პოლისემიური ლექსემის ძირითად, პირდაპირ ნომინაციურ მნიშვნელობას (კონცეპტის ამოსავალი პროტოტიპული მოდელი) და მის მეორად (წარმოებულ) მნიშვნელობებს. კონცეპტის მთლიანობას უზრუნველყოფს ცენტრისა და პერიფერიის ელემენტთა შორის არსებული კოგნიტური კავშირი (კუბრიაკოვა/Кубрякова, 1996, გვ. 123).

10. კონცეპტი, როგორც ლინგვოკოგნიტური ფენომენი, წარმოადგენს ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების ამსახველი ცნობიერებისა და ინფორმაციული სტრუქტურის, მენტალური ან ფსიქიკური რესურსების ერთეულს;
11. კონცეპტი მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემის, გონების ენის (“lingua mentalis“), ადამიანის ფსიქიკაში ასახული სამყაროს ხატის ერთეულია, რომელსაც გააჩნია შინაარსობრივი განსაზღვრულობა“ (კუბრიაკოვა/Кубрякова, 1996, გვ. 124).
12. გამონათქვამი, როგორც სიტუაციურად განპირობებული წარმონაქმნი, ოპერირებს არა იმდენად მნიშვნელობებით, რამდენადაც ვერბალიზებული აზრით. ამ უკანასკნელში კონცენტრირებულია ცოდნათა ერთობლიობა, ხოლო გამონათქვამის ადეკვატური გაგება უზრუნველყოფილია ენობრივ ერთეულთა და სამეტყველო სტრუქტურათა ადეკვატური გამოყენებით. კონცეპტის სემანტიკური შემადგენლობის ელემენტთაგან უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ეთნიკური კომპონენტია, რომელიც ასახავს ენის მატარებელთა სამყაროს ენისმიერ ხატსა და განსაზღვრავს ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკურ თავისებურებას.

ეყრდნობა რა კონცეპტის დეფინიციას, ე. კუბრიაკოვა შესაძლებლად მიიჩნევს სიტყვის „კონცეპტუალური რუქის“ აგებას. აღნიშნული რუქა ავტორს ესახება სიტყვის ყველაზე ხშირად გამოყენებად კონტექსტთა გამოხატულებად, ყველა არსებულ მიმართულებათა კონსტატაციად. აღნიშნულ მიმართულებათა მიხედვით ხდება სიტყვათა სემანტიკის ცვლილება. და ბოლოს, „კონცეპტუალური რუქა“ წარმოადგენს „რეკომენდაციას სიტყვის მნიშვნელობის უფრო სრული ლექსიკოგრაფიული წარმოდგენისათვის“

(კუბრიაკოვა/Кубрякова, 1995, გვ. 185-194).

ფართო მნიშვნელობით, კონცეპტებში ინტეგრირებულია ის ლექსემები, რომელთა მნიშვნელობაც შეადგენს ეროვნული ენობრივი ცნობიერების შინაარსს. ვიწრო მნიშვნელობით კი, კონცეპტებს მიეკუთვნება სემანტიკური წარმონაქმნები, რომელიც ახასიათებს კონკრეტული კულტურის მატარებლებს. აღნიშნული ტიპის კონცეპტთა რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია, თუმცა სწორედ აღნიშნული ტიპის კონცეპტები წარმოადგენს ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებათა გააზრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის ფარგლებში კონცეპტი („კულტურული კონცეპტი“) განიხილება კულტურის ფუძემდებლურ ერთეულად, მის კონცენტრატად. კონცეპტი, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ერთეული, აკავშირებს ერთმანეთთან კულტურის სფეროში განხორციელებულ სამეცნიერო კვლევას, ცნობიერებასა და ენას - კონცეპტი განეკუთვნება ცნობიერებას, დეტერმინირებულია კულტურით და რეალიზდება ენაში. კონცეპტის ფორმირება წარმოადგენს სინამდვილის გამოცდილებითი შემეცნების შედეგთა კოპრესიის პროცესს, რომელშიც მონაწილეობს ადამიანის მეხსიერებაში არსებული კულტურულ-ღირებულებითი დომინანტები. ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი წარმოადგენს ერთგვარ ვერბალიზებულ აზრს, რომელიც ასახავს კონკრეტული ეთნოსის ლინგვომენტალიტეტს.

ლინგვისტები გამოყოფენ კონცეპტთა სამ სახეობას: წარმოდგენები, გემტალტები და ცნებები. რაც შეეხება ფრეიმებსა და სცენარებს, ისინი განეკუთვნება გემტალტის სახეობას.

გემტალტი წარმოადგენს ენის განსაკუთრებულ, სიღრმისეულ, შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეულს. გარდა ენაში რეალიზაციისა, გემტალტი წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის საფუძველს (ლაკოფი/Lakoff, 1977, გვ. 56-68).

ენასთან მიმართებაში გემტალტთა სიღრმე რამოდენიმე ასპექტში ვლინდება. ზედაპირულ ენობრივ დონეზე ერთი და იგივე გემტალტი შეიძლება, რეალიზდებოდეს როგორც სხვადასხვა აზრი და მხოლოდ განსაკუთრებული კვლევა იძლევა მათი ერთობის დადგენის შესაძლებლობას. ამდენად, გემტალტი არის უნივერსალური წარმოდგენა, რომელიც ასოცირდება ადამიანის ფსიქიკის სიღრმესთან და არსებობს ბუნებრივი ენის კატეგორიალური ჩარჩოების მიღმა - გემტალტი არღვევს გამონათქვამის საზღვრებს, თუმცა იმყოფება მასთან ორგანულ კავშირში (ლაკოფი/Lakoff, 1981, 83-102).

კოგნიტოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ისეთი კოგნიტური მოდელები, როგორცაა ფრეიმები და სცენარები. ფრეიმების თეორია ჩამოაყალიბა ამერიკელმა მეცნიერმა მ. მინსკიმ. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემებში ამოქმედებულ ინფორმაციას აქვს უფრო ზოგადი და, იმავდროულად, უფრო ორგანიზებული ხასიათი. ახდენს რა კონკრეტულ სტერეოტიპულ სიტუაციაზე ან კლასსზე არსებული ცოდნის

აკუმულაციას, ფრეიმი ასრულებს მონაცემთა იერარქიულად ორგანიზებული სტრუქტურის ფუნქციას (მინსკი/Minsky, 1986, გვ. 67-84).

ფრეიმულ სემანტიკაში ფრეიმი წარმოადგენს ცოდნის გამოხატვის საშუალებას, აღსაწერ სამყაროზე არსებული, ძირითადი ცოდნის ერთობლიობასა და ადამიანის მეხსიერებაში ორგანიზებული სახით არსებულ წარმოდგენათა კონსტრუქტს. ფრეიმი არის მონაცემთა სტერეოტიპული სიტუაციების წარმოდგენის სტრუქტურა (მინსკი/Minsky, 1993, გვ. 98-112).

მ. მინსკის თვალსაზრისით, ფრეიმი შედგება ორი დონისაგან. ზედა დონე მოიცავს „მუდმივებს“ - კონკრეტული სიტუაციისათვის კანონზომიერ მონაცემებს, ქვედა დონე კი წარმოდგენილია ცარიელი კვანძებით (სლოტებით), რომლებიც ივსება კონკრეტული მონაცემებით ამა თუ იმ სიტუაციის თავისებურების გათვალისწინებით.

ფრეიმი არ განიხილება როგორც ცოდნის თვითნებურად გამოყოფილი „ფრაგმენტი“. ფრეიმი წარმოადგენს გარკვეული კონცეპტის ირგვლივ ორგანიზებულ ერთეულს. ასოციაციათა უბრალო კრებულისაგან განსხვავებით, ეს ერთეულები მოიცავს ძირითად, ტიპურ და პოტენციურად შესაძლო ინფორმაციას, რომელიც ასოცირდება ამა თუ იმ კონცეპტთან (მაკკარტი,მიჩელი,მიულერი & უინსტონი /McCarthy,Mitchell,Mueller & Winston, 2007, გვ. 17-21).

ფრეიმი წარმოადგენს მოცულობით, მრავალკომპონენტთან კონცეპტს, ინფორმაციის „კრებულს“, თემატურად მთლიანობრივ, სტერეოტიპულ, სტატიკური სიტუაციის შესახებ არსებულ ცოდნას, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან გარკვეული სემანტიკური მიმართებების მქონე კვანძებს (სლოტებს).

კონცეპტის, როგორც მენტალური ერთეულის, არსის წვდომა შესაძლებელია ენაში მისი ობიექტივიზაციის საშუალებათა ანალიზის გზით. მკვლევარები კონცეპტის ნომინაციურ ველს მიიჩნევენ იმ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობად, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის იბეტივიზაცია (ვერბალიზაცია, რეპრეზენტაცია) საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ეტაპზე. კონცეპტის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი ნომინაციური „სიმკვრივე“ (კარასიკი/Карасик, 2004, გვ. 47)

ნომინაციურ სიმკვრივეში იგულისხმება კონკრეტული კონცეპტუალური სივრცის ენობრივი დეტალიზაციის ხარისხი, „რეალობის კონკრეტული ფრაგმენტის დეტალიზაცია, აღნიშვნის ვარიანტთა მრავალფეროვნება და აღსანიშნის აზრობრივ ნიუანსთა სირთულე“ (კარასიკი/Карасик, 2002, გვ. 111). კოგნიტური ნომინაციების რაოდენობის გათვალისწინებით, კონცეპტის ნომინაციურ ველს, შესაძლოა, ახასიათებდეს ნომინაციური სიმკვრივის მაღალი ან დაბალი ხარისხი. კონცეპტის მაღალი ნომინაციური სიმკვრივე მეტყველებს კონკრეტული საზოგადოებისათვის სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს გააზრების აქტუალურობის მაღალ ხარისხზე.

კონცეპტის ნომინაციური ველის სტრუქტურა არაერთგვაროვანია - იგი მოიცავს უშუალოდ კონცეპტის როგორც პირდაპირ ნომინაციებს (ნომინაციური ველის ბირთვი), ისე კონცეპტის ცალკეულ კოგნიტურ ნიშანთა ნომინაციებს, რომელთა საშუალებითაც იხსნება კონცეპტის შინაარსი (ნომინაციური ველის პერიფერია).

ლინგვოკოგნიტურ ანალიზს ექვემდებარება როგორც სისტემური, ისე ოკაზიონალური, შემთხვევითი, ინდივიდუალურ-ავტორისეული ნომინაციური საშუალებები, რადგანაც ყველა მათგანი შედის კონცეპტის ნომინაციურ ველში და ყველა მათგანი იძლევა კონცეპტის კოგნიტური ინტერპრეტაციისა და კონცეპტის მოდელის აგებისათვის საჭირო მასალას.

კონცეპტის არსზე სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებების განზოგადების შედეგად შეიძლება, დავასკვნათ, რომ ლინგვოკულტურული მოდგომის ფარგლებში კონცეპტი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან მენტალურ წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს ღირებულებით, ცნებობრივ და ხატობრივ ელემენტებს. კულტურულ კონცეპტს სხვა ტიპის კონცეპტებისაგან გამოარჩევს ის ფაქტი, რომ მიუხედავად კულტურული კონცეპტის მრავალგანზომილებიანობისა, მის პრიმატს წარმოადგენს ღირებულებითი დამოკიდებულება ობიექტისადმი. კონცეპტის ფორმირება გულისხმობს სინამდვილის გამოცდილებისეული შემეცნების შედეგად მიღებულ მონაცემთა განზოგადების პროცესს. აღნიშნული პროცესი ასევე მოიცავს სინამდვილის შემეცნების შედეგად მიღებულ მონაცემთა ასოცირებას რელიგიაში, იდეოლოგიაში და ხელოვნებაში ფიქსირებული ღირებულებით დომინანტებთან. კონცეპტის ფუნქციონირების პროცესი გულისხმობს იმ ენობრივ

საშუალებათა შერჩევასა და გამოყენებას, რომელთაც, ადრესანტის აზრით, ძალუძთ კონცეპტის აქტივიზაცია ადრესატის შემეცნებაში.

შეიძლება, დავასკვნათ, რომ ლინგვისტიკაში კონცეპტის არსის ანალიზი დაიყვანება ამ ფენომენტა ლინგვოკოგნიტურ და ლინგოკულტუროლოგიურ მიდგომებამდე.

2.5 კულტურული დომინანტები ენაში

ენობრივი სუბიექტი, როგორც ლინგვისტური კვლევის საგანი, წარმოადგენს კულტურული, ენობრივი და კომუნიკაციური ღირებულებების, ცოდნის, თვალსაზრისებისა და რეაქციების განზოგადებულ სახეს. ენობრივი სუბიექტის სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ღირებულებებს - კულტურის ფუნდამენტურ მახასიათებლებს, ქცევის უმნიშვნელოვანეს ორიენტირებს. აღნიშნული ორიენტირები ჩნდება არა მხოლოდ ცოდნისა და ინფორმაციის, არამედ ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე - ისინი წარმოადგენენ პიროვნული ნიშნით აღბეჭდილ დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ.

ღირებულებები უდევს საფუძვლად შეფასებას და იმ პრეფერენციებს, რომლებსაც იყენებს ადამიანი საგნების, თვისებებისა და მოვლენების დახასიათებისას.

ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია ღირებულებათა გარეგან და შინაგან ტიპებად დაყოფა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარეგან - სოციალურად განპირობებულ და შინაგან - პერსონალურად დეტერმინირებულ ღირებულებებს შორის ზღვარი საკმაოდ არამკაფიოა. სავარაუდოა, რომ პირობით პერსონალურ-სოციალურ ღირებულებათა სკალაზე ზღვარს წარმოადგენს ენობრივ კოლექტივის საზღვრები, რომელებიც შეესაბამება კომუნიკაციურ განზომილებათა ტიპებს (ჰოლი/Hall, 1969, 116-125). ამდენად, ერთმანეთს უპირისპირდება ინდივიდუალური (პერსონალური, ავტორისეული), მიკროჯგუფური (ოჯახის წევრების), მაკროჯგუფური (სოციალური, როლური, სტატუსის), ეთნიკური და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. შესაძლებელია ცივილიზაციის კონკრეტული ტიპისათვის დამახასიათებელი ღირებულებების (თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების)

გამოყოფაც, თუმცა ლინგვისტური თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო იმ მოვლენათა შესწავლაა, რომლებიც ფიქსირებულია ენაში, უპირველეს ყოვლისა კი, ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში.

ღირებულებათა ლინგვისტური კლასიფიკაცია შეიძლება აიგოს სხვადასხვა საფუძველზე. ერთი შეხედვით, ყველაზე გონივრული უნდა იყოს შემფასებლური სიტყვები (სიტყვები, რომელთა კონოტაციები და იმპლიკაციები ღიაა ერთმნიშვნელოვანი ზოგადენობრივი ინტერპრეტაციისათვის), მაგრამ ასეთ შემთხვევაში იშლება ზღვარი ღირებულებასა და შეფასებას შორის, ირდევს ღირებულებათა იერარქია (როგორ უნდა განვსაზღვროთ ღირებულების „ზომა“ ისეთ სიტყვათა მნიშვნელობაში, როგორცაა: „გულუხვობა“, „გმირობა“?) მეორე მხრივ, ადამიანისათვის ღირებულია ის, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მის ცხოვრებაში და რაც იღებს მრავალმხრივ აღნიშვნას ენაში.

სიტყვათა თემატური ჯგუფის სემანტიკური სიმკვრივე, დასახელებათა დეტალიზაცია, აზრობრივ ნიუანსთა გამოყოფა მიანიშნებს არაენობრივი ობიექტის (საგნის, პროცესის, ცნების) ლინგვისტურ ღირებულებაზე. ასეთ შემთხვევაში ხდება მოვლენის ღირებულებისა და აქტუალობის გაიგივება. საფიქრებელია, რომ ენაში არსებულ ღირებულებათა ადეკვატური სურათის წარმოდგენისათვის მიზანშეწონილია შეფასებით და ნომინაციურთან ერთად, აქსიოლოგიური ასპექტის გათვალისწინებაც.

აქსიოლოგიისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, რომ ღირებულებები, ძირითადად, განისაზღვრება იდეოლოგიით, საზოგადოებრივი ინსტიტუტებით, რწმენითა და მოთხოვნებით (ბრენტანო/Brentano, 1973), (შამპენი/Chapman, 1993), (ჰოლი/Hall, 1961), (ჰოლი/Hall, 1952). არსებობს გარკვეული განსხვავება ღირებულებათა ენობრივ და სპეციალურ (მეცნიერულ ან რელიგიურ) ინტერპრეტაციაში (ბაჰმი/Bahm, 1993), (ბლოსერი/Blosser, 1996, გვ. 155–167). მიუხედავად კონფლიქტისა უტილიტარულ და მორალურ ღირებულებებს, განცდებისა და ღირებულებების აღქმის რაციონალურ და ირაციონალურ ვერსიებს შორის, მაინც შესაძლებელია სამყაროს ხატის ღირებულებითი მოდელის კონსტრუირება ენაში არსებულ ღირებულებათა კომპლექსური გააზრების გზით.

გარდა სამყაროს ენობრივი ხატისა, არსებობს სამყაროს ღირებულებითი ხატი ენაში. აქ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ეთნოკულტურული და სოციოკულტურული პლანები,

იგულისხმება შეფასებითი დამოკიდებულების სხვადასხვა ტიპი: მაგალითად, დამოკიდებულება უფროსებისა და უმცროსებისადმი, ბავშვების, ქალებისა და მამაკაცებისადმი, ცხოველების და საკუთრებისადმი, ჯანმრთელობის, ავადმყოფობისა და სიკვდილისადმი, შრომისა და წარმატებისადმი, ბუნების მოვლენების, დროისა და სივრცისადმი.

ენაში სამყაროს ღირებულებითი ხატის ანალიზისას ჩვენთვის ამოსავალი დებულებები შემდეგნაირად ჟღერს:

1. სამყაროს ღირებულებითი ხატი ენაში მოიცავს როგორც ზოგადკაცობრიულ, ისე სპეციფიკურ ასპექტებსაც. ეს უკნასკნელი გულისხმობს ობიექტთა ნომინაციური სიმკვრივის სხვადასხვა ხარისხს, ობიექტთა სხვადასხვა შეფასებით კვალიფიკაციას, ღირებულებათა სხვადასხვა კომბინატორიკას;
2. სამყაროს ღირებულებითი ხატი ენაში რეკონსტრუირდება ურთიერთდაკავშირებული, იურიდიულ, რელიგიურ, მორალურ კოდექსებთან და აღიარებულ თვალსაზრისებთან თავსებადი შეფასებების სახით;
3. შეფასებებს შორის იკვეთება ერთმანეთში ჩართვისა და ასოციაციური კვების მიმართებები, რის შედეგადაც შესაძლებელია კონკრეტული კულტურის ღირებულებითი პარადიგმების ჩამოყალიბება;
4. სამყაროს ღირებულებით ხატში იკვეთება კონკრეტული კულტურისათვის ღირებულებითი დომინანტები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის ენაში განსხეულებული კულტურის კონკრეტულ ტიპს.

ღირებულებითი დომინანტების იდენტიფიცირება წარმოადგენს ლინგვისტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას, ვინაიდან იგი იძლევა ამ ტიპის კვლევის შედეგების კულტუროლოგიურ ენათმეცნიერებასა და სოციოლინგვისტიკაში ინტეგრირების შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურულ დომინანტათა კვლევა დაკავშირებულია გარკვეულ საფრხესთან, რომელიც მდგომარეობს დადგენილ კორელაციათა გამარტივებულ, სქემატურ და ტენდენციურ ანალიზში. სწორედ ამიტომ, შედეგების კვლევის მეთოდისა და

ინტერპრეტაციის პრინციპების ვალიდურობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას.

ენაში არსებულ კულტურულ დომინანტათა შესწავლის მეთოდოლოგია წარმოადგენს კვლევით პროცედურათა სისტემას, რომელიც ორიენტირებულია კონცეპტის სხვადასხვა ასპექტის, კერძოდ კი, მოცემულ კულტურაში კონცეპტთა აზრობრივი პოტენციალის განსაზღვრაზე.

კულტურულ დომინანტათა ლინგვისტური კვლევა ხორციელდება დაკვირვებისა და ექსპერიმენტის ფორმით (ერთი მხრივ, ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შერჩევით, მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტების, ანდაზების, აფორიზმებისა და სენტენციების ანალიზით, მეორე მხრივ კი, ენის მატარებელთა გამოკითხვით). კულტურულ კონცეპტთა ლინგვისტური კვლევა უნდა მოიცავდეს კულტუროლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და ეთნოგრაფიის მონაცემებს.

კვლევის ამ ეტაპზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების ფორმულირება:

1. ამა თუ იმ კონცეპტის ეთნოკულტურული რეპრეზენტაციის სპეციფიკა შეიძლება გამოვლინდეს შესაბამისი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ჯგუფების ანალიზის, ასევე შეფასებათა კონსტრასტირება-ანალოგიზაციის, შესაბამისად, სტერეოტიპული ქცევის მოდელების იდენტიფიცირების გზით;
2. ამა თუ იმ კონცეპტის ეთნოკულტურული რეპრეზენტაციის სპეციფიკა უნდა გულისხმობდეს სოციოკულტურულ სპეციფიკასაც;
3. სამყაროს ღირებულებითი ხატი ენაში წარმოადგენს სემანტიკური კანონის გამოვლინებას, რომელის თანახმადაც ერის ცხოვრებაში არსებული მნიშვნელოვანი საგნები და მოვლენები იძენენ მრავალფეროვან და დეტალურ ნომინაციას.

თავი III. კონცეპტი „ბედი“ სხვადასხვა ეპოქაში

3.1. დრო და აღქმა

საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული თვალსაზრისით, ბედი ბრმაა, ვინაიდან მის ნამოქმედარს ლოგიკური ახსნა, არანაირი შინაგანი საზრისი და გონივრული საფუძველი მის „გადაწყვეტილებას“ არ მოეპოვება. როგორ ესმოდათ და როგორ ესმით დღეს ბედის მნიშვნელობა? მართლა არსებობს რაღაც ძალური, ზებუნებრივი ძალა, რომელიც წინდაწინ საზღვრავს ადამიანის ცხოვრებას, თუ ბედი ცალკეულ ადამიანთა ქცევით იქმნება და იჭედება?

ადამიანის ცხოვრება, გარკვეული აზრით, ბედიანობისა და უბედობის უწყვეტი ჯაჭვი და მონაცვლეობაა.

ადამიანისათვის მოვლენილი ათასგვარი ფათერაკი თუ განსაცდელი მუდამ ბადებდა სურვილს იმის გარკვევისა, თუ რა ძალები მართავენ და აწესრიგებენ იმას, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის წარმატება-წარუმატებლობასთან, ბედთან და უბედობასთან.

იმდენად, რამდენადაც რაციონალური გზით შეუძლებელი აღმოჩნდა სამყაროში მიმდინარე პროცესების სიღმისეული წვდომა და ჭეშმარიტების დადგენა, დღის წესრიგში დადგა ისეთი შეხედულების ჩამოყალიბება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა მეტ-ნაკლებად სწორი და დამაჯერებელ პასუხს გაცემა კაცობრიობის არსებობისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე კითხვებზე (<http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e>).

ადამიანი თავისი ხვედრის მიზეზთა ძიებას საკუთარ საქციელში კი არა, გარეგან ძალებში იწყებს და აგნებს კიდევ სიკეთისა და ბოროტების დასაბამს: საკუთარი უმწიკობის გამართლებას იგი ზებუნებრივი ძალების აღიარებებით ახერხებს.

მელეტინსკის თვალსაზრისით, „მითოლოგიური აზრი კონცენტრირებულია ისეთ მეტაფიზიკურ პრობლემებზე, როგორებიცაა: დაბადების, სიკვდილისა და ბედის საიდუმლო, ... რომელთა პირწმინდად ლოგიკური ახსნა ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე საზოგადოებას. ნაწილობრივ ამით აიხსნება მითოლოგიის

სიცოცხლისუნარიანობა და, მაშასადამე, მისი სინქრონულ პლანში განხილვის მართებულობაც“ (მელეტინსკი/Мелетинский, 1976, გვ. 169).

ბედის მითოლოგიის კონცეპტუალურ შინაარსს ბედისწერის იდეა შეადგენს. ბედს, რომელიც ყოველი ადამიანისათვის ინდივიდუალურია, განაგებს მოუხელთებელი ირაციონალური ძალა - „ბედისწერა“.

დროსა და ეპოქას თავისი შესწორებები შეჰქონდა მოკვდავთა ბედის განმსაზღვრელ ღვთაებათა ფუნქციებში: თუკი თავდაპირველად ბედის ძველბერძნული ღვთაებები აისა და მორა მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილის მომტან ციურ არსებებად ითვლებოდნენ, მოგვიანებით ამ არსებებმა თავიანთი ძალაუფლება ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებზე - დაბადებასა და ქორწინებაზე -განავრცეს (<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e>).

ბედისა და ბედისწერის შესახებ ძველბერძნული წარმოდგენების თანახმად, არსებობენ ღვთაებები, რომელთა უმთავრეს მოვალეობას ადამიანთათვის სიკვდილის საათის განსაზღვრა შეადგენს მათი დაბადების მომენტში. ესქილეს „ევმენიდებში“ იხსენიებიან ერთიანი, რომლებიც, ათინას სიტყვით, ადამიანის ბედს მართავენ (გორანი/Горан, 1990, გვ. 42).

ბედის ხეთური ქალღვთაების ხატი რამდენადმე განსხვავდება ანალოგიურ ღვთაებათა ჰომეროსისეული ხატისაგან: ისინი ქვეყნის მეფის ბედის ძაფს მაშინ ართავენ, როცა მეფე უკვე სახელმწიფოს მეთაურია, სხვა სიტყვებით, მაშინ როცა მან უკვე განვლო თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი (გორანი/Горан, 1990, გვ. 65). ბედის ხეთურ ღვთაებებს უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა. მოკვდავნი მათგან წყალობას მოელოან და თავიანთ ლოცვებში თანადგომას შესთხოვენ. ეგვიპტური ტექსტების მიხედვით, თვით შაი (ბედი, ბედისწერა), ან ღვთაებები, რომელთა ნება-სურვილს შაი განასახიერებს, წარმოდგენილი არიან ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის მონაგარიშეებად (გორანი/Горан, 1990, გვ. 67). უნდა ითქვას ისიც, რომ ხეთურ მასალებში რიგითი მოკვდავისა და მეფის ცხოვრების გზები არსებითად სხვაობენ ერთმანეთისაგან. თუ საზოგადოების წევრთა ცხოვრების წლები მკაცრად რეგლამენტირებულია, მეფის წლებს, როგორც წესი, არა აქვს აგარიში. ერთი ეგვიპტური ტექსტის თანახმად, მეფის სურვილია,

რომ მისი შაი, ე.ი. მისი ბედი, როგორც ხანგრძლივობა მისი სიცოცხლისა, საერთოდ არ ექვემდებარებოდეს ანგარიშს, არ იანგარიშებოდეს (გორანი/Горан, 1990, გვ. 68). ეგვიპტურ ტრადიციაში „წლების თვლა“ ასოცირებულია წარმოდგენასთან შაი-ზე, როგორც ინდივიდის აღსასრულის საათის განსაზღვრულობაზე უკვე მისი დაბადების დღიდან.

ჩვენს წალთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში შექმნილ გილგამეშის ეპოსში ბედის შემქმნელებად, ბედისწერის დამწესებლებად და სიკვდილ-სიცოცხლის განმსაზღვრელებად ანუნანქები ანუ დიდი ღმერთები სახელდება.

ძველბერძნულ მითოლოგიაში შემონახულია კვალი მაგიის რწმენიდან ბედის ხატზე გადასვლისა. ამ მოვლენის თვალსაჩინო მაგალითია მელეაგრის სიკვდილზე შექმნილი ლეგენდის ცნობილი ვარიანტი, სადაც გმირის სიცოცხლე ფატალურადაა დამოკიდებული მუგუზალზე: ოინეიასგან ალფეიას ეყოლა შვილი, რომელსაც მელეაგრი დაარქვეს. როცა ეს უკანასკნელი შვიდი დღის შესრულდა, მის მშობლებს გამოეცხადნენ მოირები და აუწყეს: „მელეაგრი მოკვდება მაშინ, როცა სამსხვერპლოზე მბჟუტავი მუგუზალი ერთიანად ჩაიწვება“. ასეც მოხდა - მუგუზალი ჩაქრა და გმირი მოკვდა (გორანი/Горан, 1990, გვ. 150-151).

მოირას შესწევს ძალა, სანთელივით ჩააქროს ადამიანი, თუმცა მოირა მოდის იმისთვისაც, რომ დაიცვას ადამიანის სიცოცხლე ან გაახანგრძლივოს იგი. სიკვდილი, ისევე როგორც სიცოცხლეც, ადამიანთა მოდგმის ხვედრია. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ სიკვდილზე პასუხისმგებელი ღვთაება, სიცოცხლეზეც იღებდეს პასუხისმგებლობას - გვევლინებოდეს ადამიანის სიცოცხლის გარანტად (გორანი/Горан, 1990, გვ. 154).

ადამიანი უძლურია პირადი ნება-სურვილით წარმართოს საკუთარი ცხოვრება, ბედი და მომავალი. ასეთი რამ მხოლოდ ღმერთებს ხელეწიფებათ, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ღმერთების შესაძლებლობები ყოფილა უსაზღვრო. არსებობს უხილავი ზღვარი, რომლის იქითაც ღვთაებებიც უძლურნი არიან. რწმენა მათ ყოვლისშემძლეობაზე ქრება იქ, სადაც საქმე კვლავ და კვლავ ბედსა და ბედისწერას ეხება. ბედის წინაშე, ადამიანები და ღმერთები თითქმის თანასწორნი არიან.

ბედსა და ბედისწერაზე ფიქრი მიდის ბრმა შემთხვევამდე. ადამიანის თავს დატეხილი უბედურების დროს მის წინაშე დაისმის კითხვა: ბედის განაჩენი აღსრულდა, თუ ყოველივე ბრმა შემთხვევის ბრალია?

მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების წყალობით, ადამიანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბედი სხვა არაფერია, თუ არა აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, „ბედისა და აუცილებლობის კონცეპტთა დაახლოების პარალელურად მიმდინარეობდა ბედის და ბრმა შემთხვევის კონცეპტთა დაახლოების პროცესი, რაც მათი გაიგივებით დასრულდა“ (გორანი/Горан, 1990, გვ. 304).

„ბედისწერაში“ მუდამ რაღაც უსიამოვნოს, ტრაგიკულს, მარცხთან, იმედების მსხვერველსთან და ფიზიკურ აღსასრულთან დაკავშირებულს ვგულისხმობთ. „ბედისწერის“ კონცეპტის შინაარსში ასოციაციურად ძვეს „სიკვდილის“ კონცეპტიც.

რაც ადამიანს, მის ბედს დაბადების წამს „დაეწერა“, უეჭველად უნდა ახდეს, უნდა ასრულდეს. მაშასადამე, ყოველი ცალკეული ადამიანის ბედს მასზე მიბმული „წერა“ წარმართავს. სიტყვა „ბედისწერა“ თავისი სემანტიკური განზომილებით უარყოფით ემოციებს აღძრავს და ნებისმიერ კონტექსტში დაუძლეველი დაბრკოლების გადაულახავი ბარიერის, აუღებელი სიმაგრის თავისებურ სინონიმად გაიაზრება (<http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e>). „ბედისწერისაგან“ განსხვავებით, „ბედი“, ქმნის როგორც უარყოფით, ისე დადებით ემოციურ ველს.

3.2. თვალსაზრისები და კონტექსტები

არსებობს ორი საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელთაგან ერთ-ერთის მიხედვით, ყველაფერი რაც სამყაროში ხდება, წინასწარ არის განსაზღვრული და ფატალურია, მეორეს მიხედვით კი, ყველაფერი შემთხვევითობაზე ან ჩვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

წინა საუკუნის პირველ ნახევარში ვერნერ ჰაიზენბერგმა აღმოაჩინა, რომ ყველა ფიზიკური მოვლენა არ არის დეტერმინირებული, ანუ მათი მსვლელობა უწინ მომხდარ მოვლენებზე არის დამოკიდებული.

დეტერმინიზმი (ლათ. Determinare – განსაზღვრა), ან წინასწარგანჩინება — შეხედულება სამყაროს კანონზომიერების შესახებ, რომლის მიხედვითაც სამყაროში ყველაფერი მიზეზ–შედეგობრივი კავშირით არის განპირობებული, დეტერმინირებული. ამიტომ სამყაროში არ არსებობს არავითარი უმიზეზო მოვლენა ანუ შემთხვევითობა. შემთხვევითობა, მხოლოდ სუბიექტური არცოდნის გამო გამოიყენება მეცნიერებაში, თორემ თავისთავად სამყაროში არავითარი შემთხვევითობა არ არსებობს, სამყაროს მხოლოდ მკაცრი აუცილებლობა და მიზეზობრიობა მართავს.

”აინშტაინი ცდებოდა. ყოველ ჯერზე, როცა ჩვენ ელექტრონს ვუყურებთ, ის მოძრაობს. ელექტრონის მდებარეობა განუსაზღვრელია” – ამბობს თეორიული ფიზიკის პროფესორი მიჩიო კაკუ.

თუ განუსაზღვრელობა ნაწილაკების დონეზე არსებობს, მაშინ ის სხვა დონეებზეც უნდა არსებობდეს, ამბობს კაკუ. როცა სარკეში ვიყურებით, ისეთები არ ვართ, როგორც იმ მომენტში გამოვიყურებით... ”ეს არის მემილიარდედი წამის წინანდელი მე, რადგან სინათლეს დრო სჭირდება, რათა სარკიდან არიეკლოს და ჩემი თავი დამანახოს. შესაბამისად, ვერავის მომავალს ვერ განვსაზღვრავთ და ბედიც არ არსებობს” – ასკვნის კაკუ.

ფილოსოფ-კოგნიტივისტი დენიელ კლემენტ დენეთის ვარაუდით, თვითონ საკითხი თავისუფალ ნებასა და წინასწარ განსაზღვრულობაზე (ან ბედზე) არაკორექტულადაა დასმული.” უცნაურია, რომ ადამიანები თავისუფალ ნებასა და დეტერმინიზმზე საუბრობენ, თუმცა ძალიან ცოტამ თუ იცის ამ სიტყვების არსი. რას ნიშნავს გარდაუვალობა, ბედი?” – ამბობს დონეთი.

შეგვიძლია მაგალითები მოვიყვანოთ, როცა ადამიანს შეუძლია ისეთი მოვლენების აცილება, როგორცაა ზემოდან ჩამოვარდნილი აგურის თავში დაცემა. გაცილებით რთულია მეხის დაცემის თავიდან აცილება, რომელიც მოულოდნელად წყვეტს, სად და როდის ”დაგვეტო”. ამიტომ, სხვადასხვა შემთხვევაში, გარდაუვალობის განხვავებულ ხარისხებზე შეგვიძლია

ვისაუბროთ. მეორე მხრივ, საიდან ვიცით, რომ სიტუაციები, როცა ჩვენ, მაგალითად, რაიმე სიტუაციას ვიცვლივთ, რაღაც უმაღლესი ძალების მიერ არ არის წინასწარ დაგეგმილი?

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ესა თუ ის გზა თვითონ ამოვირჩიეთ, ჩვენი ცხოვრება სწორი ან არასწორი გზისკენ მივმართეთ... შეიძლება კი იმაზე საუბარი, რას ვიმსახურებდით სინამდვილეში? იქნებ, არჩევანში შეცდით... ”მომავლის, ბედის შეცვლას აპირებთ: რას ცვლით რაზე? თვლით, რომ მომავალი გარდაუვალია?” – ეკითხება დონეთი თავის ოპონენტებს (<http://astronet.ge/>).

„ბედის“ განმარტება კემბრიჯის ინგლისური ენის ლექსიკონში შემდეგნაირია: “ძალა, რომელიც განაპირობებს მოვლენების, ძირითადად დადებითის, განვითარებას არა ადამიანის ძალისხმევის შედეგად, არამედ შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე“. იგივე ტერმინის მერიემ-ვებსტერისეული დეფინიცია ამგვარია: „მოვლენები ან პირობები, რომლებიც ოპერირებენ ადამიანის საკეთილდღეოდ, ან მის საწინააღმდეგოდ“.

„ბედის“ კონცეპტთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ინფორმაციული წყაროა სუი დაჰუასა და ჰუანგ დეუანის „ადამიანის ცხოვრების ზღვარის შეცნობა - ბედის კონფუციური კონცეპტი“.

ბედის აბსტრაქტული კონფუციური იდეა გულისხმობს, რომ ადამიანის ცხოვრების განმავლობაში და კულმინაციაში არსებობს რაღაც, რაც ერთდროულად ტრანსცენდენტალური და ადამიანის მიერ არაკონტროლირებადია. ისტორიული განვითარების გზაზე კონფუციანიზმი მუდმივად წარადგენდა „ბედის“ ჰუმანისტურ ინტერპრეტაციებს იმ ჰიპოთეზით, რომ „ბედის“ ტრანსცენდენცია არსებობს ადამიანის ძალებს შორის, რომ „იღბლის“ განსაზღვრულობა და იდეის სიმტკიცე ცხოვრების დასაწყისში მდგომარეობს შესაძლებლობის არსში, ხოლო ეთიკური და ფილოსოფიური წესებით ცხოვრება - „ვალდებულება ადამიანობრივი საქმეების მიმართ“- ნიშნავს „იღბლის“ გამოყენებას. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ კონფუციური ინტერესი ადამიანის ცხოვრების მიმართ სავსეა რაციონალური გაგებით.

კონფუციური ანალექტებიდან მკითხველს შეუძლია დაინახოს, რომ „სიკეთე“, „რიტუალები“ და „ბედი“ კონფუციურ აზროვნებაში სამი უმთავრესი კომპონენტია. სამართლიანი იქნება

თუ ვიტყვით, რომ მთლიანი კონფუციური თეორიული სტრუქტურა შედგება სამი დონისგან: გონება და ადამიანის ბუნება, სოციალური ეთიკა და ტრანსცენდენცია. მრავალი წლის მანძილზე „სიკეთისა“ და „რიტუალების“ განმარტება საფუძვლიანი იყო, თუმცა „ბედის“ კონფუციური ინტერპრეტაცია წარმოადგენდა იმდენად სუსტ ფენომენს, რომ ეს იდეები ხშირად ფატალურადაც კი აღიქმებოდა. „ბედის“ კონცეპტი მიემართება სერიოზულ საკითხს სიცოხლის ზღვარით დაინტერესებულ კონფუციანიზმში, წარმოადგენს ამ იდეების „გასაღებ“ ელემენტსა და ნაწილს, რომელიც მას ნებისმიერი სხვა რელიგიისგან გამოარჩევს.

დღევანდელ ცხოვრებასა და ლიტერატურაში დროდადრო ჩნდებიან მსგავსი სცენები: როდესაც ვიღაც თავს დაუცველად გრძნობს და ხვდება გარკვეულ ინციდენტებს, ის მწუხარედ იღებს ამას, რადგან „ბედისწეა ასეთია“. ასეთი მაგალითები ხალხის მიერ შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნეს როგორც კონფუციური ფატალიზმი. ეს განსჯა ავლენს მარტივ ფაქტს, რომ კონფუციური „ბედის“ კონცეპტი კვლავ ინარჩუნებს გარკვეულ გავლენას და კიდევ შეუძლია აღწეროს ადამიანის ცხოვრების ზღვარის შესახებ არსებული რწმენები.

ცინის დინასტიის პერიოდიდან კონფუციური „ბედის“ კონცეპტი აღწერილ იქნა ამ იდეოლოგიის მიმდევარი არაერთი, სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი მოზროვნის მიერ. იმის გამო, რომ ისინი მოღვაწეობდნენ ერთმანეთისგან განსხვავებულ ისტორიულ პერიოდში, მათ გააჩნდათ განსხვავებული პერსპექტივები და „ილზის“ კონცეპტის ინტერპრეტაციები.

კონფუციური აზროვნების უდიდესი მიღწევების მაგალითია სონგისა და მინგის დინასტიების „პრინციპების სკოლა“. უნდა აღინიშნოს ამ სკოლაში მოღვაწე მეცნიერების წარმოდგენები კონფუციური „ბედის“ კონცეპტზე. აქ განვიხილავთ ორ უმთავრეს დებულებას, კონფუციური „ბედის“ განვითარებად მიმართებასა და კონფუციურ დამოკიდებულებას „ილზის მიმართ“. შემდეგ განვიხილავთ რაციონალურ მახასიათებელსაც.

კონფუციურ აზროვნებაში „ბედის“ კონცეპტი ცნობილია როგორც „სამოთხის ილზალი“, ან უბრალოდ „სამოთხე“ და მისი ფუნდამენტური მიმართებები განსაზღვრულ იქნა კონფუციისა და მენცის მიერ.

„ბედის“ იდეა კონფუციურ აზროვნებაში იყო რწმენა, რომელიც ადამიანის გარეთ და მის ზევით არსებობს. ის გამოცდილების, დროის, სივრცისა და ადამიანური კონტროლის მიღმაა. მენციუსმა მოგვიანებით განაცხადა, რომ კონფუციუსი განვითარდა რიტუალების საშუალებით და უკან დაიხია სამართლიანობის პატივისცემით. ღირსებისა თუ სასოწარკვეთილების გამო, ის ამას „ბედს“ უწოდებდა. უფრო მეტიც, მან მაგალითად მოიყვანა იმპერატორების, შუნისა და იაოს შვილები იმ აზრით, რომ ბოროტსა და კეთილს შორის არსებული განსხვავების დანახვა ადამიანის შესაძლებლობებს მიღმაა. ამ გზით მენციუსმა მოგვაწოდა „ბედის“ ზოგადი განმარტება. ის ამბობდა, რომ ის, რაც ადამიანის ხელით არ კეთდება, სამოთხიდანაა, ის, რაც ადამიანის ჩარევის გარეშე ხდება „სამოთხის ბედიდანაა“. ერთმა ფილოსოფოსმა თქვა, რომ თუ ადამიანი, პრობლემის აცილების ყველა გზის გამოყენების შემთხვევაშიც კი შეეჩეხება აღნიშნულ სირთულეს, ეს ნამდვილად ბედია. როგორც კონფუციანიზმის მთელი ისტორია გვიჩვენებს, „ბედი“, ანუ „სამოთხის ბედი“ არის ერთადერთი რეალური ობიექტი, რომელიც კონფუციანიზმის მიერ დადასტურებულ იქნა როგორც გარეგნულად ტრანსცენდენტალური. „ღმერთები“ ან „მოჩვენებები“, რომლებიც ჩნდებიან ზოგიერთ რელიგიაში და მოისაზრებიან როგორც რაიმე სახის ტრანსცენდენტალური არსებობის მფლობელები, კონფუციანიზმში ახსნილია როგორც გაუცხოვებული ფორმები, რომელთაც არ გააჩნია ჭეშმარიტად ტრანსცენდენტალური ღირებულებები.

ამავე დროს კონფუციური „ბედის“ კონცეპტი ძირითადად განვითარდა „იღბლის“ გაუცხოვებული მნიშვნელობის დაშლის ფონზე. როგორც მსოფლიო კულტურის ისტორიაში ვხედავთ, საგნები, რომლებსაც უძველესი ხალხი მიიჩნევდა ობიექტური, ნათელი, გარეგნული და ტრანსცენდენტალური რეალობის მატარებლებად მათ ცხოვრებაში, ხშირად გაცილებით უფრო რეალიზებული, პერსონალიზირებული და აუცილებელი იყო რელიგიური აღმსარებლობის პროცესში.

კონფუციანიზმში ნათლადაა განმარტებული „ბედის“ გაუცხოვებული ბუნების დაშლა. პირველად თავად კონფუციმ თქვა, რომ „სამოთხის ბედამდე“ მხოლოდ მისი ცხოვრების მეხუთე ათწლეულიდან მივიდა, რაც აჩვენებს რომ კონფუციუსისთვის „სამოთხის იღბალი“ ამიერიდან არა რწმენის საგანი, არამედ უკვე რეალობაში განხორციელებული თავგადასავალი იყო. მან ასევე განაცხადა, რომ ბედის ცნობის გარეშე, ზემდგომ ადამიანად

ჩამოყალიბება შეუძლებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ სულიერი გამოცდილება არის რაღაც, რაც ყველამ აუცილებლად უნდა მიიღოს. მენციუსმა ასევე ახსნა, რომ ისინი, ვინც იცნობენ საკუთარ გონებას, იციან მათივე ბუნებაც. აქედან გამომდინარე, ისინი იცნობენ სამოთხესაც. მათი გონება „შენახული“ და ბუნება კი მომზადებულია სამოთხის სამსახურისთვის.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სამოთხის შეცნობა, კონფუციანიზმის უდიდესი სულიერი და კოგნიტური მიღწევა, გაანალიზებულ იქნა მას შემდეგ, რაც სიკეთის, სამართლიანობის, რიტუალებისა და ინტელექტის ღირსებები იქნა აღქმული. საბოლოოდ, როდესაც განმარტეს „სამოთხის ბედის“ კონცეპტი, ნეოკონფუციანელებმა თქვეს, რომ „ბედი“ მიემართება სამოთხეს, „რაციონალურობა“ სამართლიანობას, „ბუნება“ ადამიანებს და „გონება“ ადამიანის სხეულის კონტროლს. ასევე, „რასაც სამოთხე გასცემს ადამიანებისთვის, ცნობილია როგორც იღბალი და რაც საგნებს ბედის მიღების საშუალებას აძლევს - როგორც ბუნება.“

მათ საბოლოოდ მოახდინეს „სამოთხის ბედის“, როგორც ადამიანში არსებული მორალური ბუნების ინტერპრეტირება.

კონფუციური „ბედის“ კონცეპტი მნიშვნელოვნად განვითარდა - ცინის დინასტიის შემდეგ განხორციელდა ბედისა და ფატალიზმის დიფერენცირება.

ფატალიზმი გულისხმობს, რომ ადამიანის ცხოვრების პროცესი და მისი შედეგი, ასევე სოციალური განვითარება წინასწარ, ბედისწერითაა განსაზღვრული. ეს მტკიცე რწმენა, რომელიც უწინაა დადგენილი ექსტერნალური ფაქტორების მიერ, ადამიანზე მაღლა დგას (მაგალითად, ღმერთი). კონფუციური ტრანსცენდენციის თეორია სხვა რაკურსიდან ახდენს „ბედის“, როგორც „ადამიანის ჰუმანური ბუნების“ ინტერპრეტირებას, შესაბამისად, „იღბლის“ გაუცხოვებული მნიშვნელობის გამოვლენას, ოღონდ „ბედის“ გარდაუვალობის უარყოფის გარეშე.

მიუხედავად ამისა, კონფუციანიზმი არ არის ირაციონალური ან ტრანსრაციონალური „ფატალური“ მრწამსის მაჩვენებელი. იგი ორიენტირებული რჩება ინტერნალური „ბედის“ კონცეპტზე, ადამიანის სურვილზე იპოვოს იღბლის ჭეშმარიტების წყარო.

ჯუ სის მოსაზრებით, სწორედ სიმძიმე და სიმსუბუქე, სიწმინდე და ამღვრეულობაა ის, რაც განსაზღვრავს ადამიანის კეთილდღეობასა და დღეგრძელობას, ისევე როგორც „გარდაუვალობის“ ფენომენს ადამიანის ცხოვრებაში. ნათლად ვხედავთ, რომ ჯი სუს ახსნილი „ბედის“ კონცეპტი არ უკავშირდება რაიმე ექსტერნალურ თუ ტრანსცენდენტალურ გარემოებას. ნაცვლად ამისა, ის მომდინარეობს თავად ადამიანში არსებული გარკვეული ბუნებრივი ფაქტორიდან. ჯი სუ ფიქრობდა, რომ „ბედის“ განმსაზღვრელ ამ ფაქტორს შემთხვევითი სათავე გააჩნია.

ჯი სუმ უპასუხა შეკითხვას, იმაზე თუ „განლაგება“ მართლაც არაპროგნოზირებადია. ეს პასუხი შემდეგნაირად ჟღერს: „ეს არის უფრო შემთხვევითი გამოცდილება, ვიდრე წინასწარ დაგეგმილი პროცესი.“ ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება ის, რაც სიცოცხლის დასაწყისში შემთხვევით ხასიათს ატარებდა, ახლა მკაცრად იყოს განსაზღვრული და გათვლილი? „სიკვდილი და სიცოცხლე არსებობს ბედში, მაშინ როდესაც პატივი და სიმდიდრე დამოკიდებულია სამოთხეზე“. აქ იკეთება, რომ „ბედის“ კონცეპტის კონფუციური არსი გარდაუვალობასა და მრავალი რთული ელემენტისგან შემდგარ ცხოვრებაში ძევს.

ჯუ სის ფილოსოფიური კვლევები და დასკვნები აერთიანებდა როგორც პირადულ, ისე „პრინციპების სკოლის“ მოსაზრებებს. ასეთი განხილვა მუდმივად დაფუძნებული იყო გამოცდილებებზე, თუმცა შეიცავდა ადამიანში არსებულ ფაქტიურ წინაპირობასა და ლოგიკური აზროვნების პროცესებს. აქედან გამომდინარე, იგი რაციონალური და მეცნიერულია.

„ბედის“ კონცეპტის ახსნისთვის საინტერესო წყაროა რობერტ კუგის “პეტრარკასა და მორის „იღბლის“ კონცეპტი“.

აღნიშნული სტატიის მიხედვით, ბოლოდროინდელი კვლევები პოლიტიკის, ისტორიისა და რენესანსის შესახებ მუდმივად ითვალისწინებენ ტომას მორს, როგორც პეტრარკას ჰუმანიზმის მემკვიდრეს.

„ბედით“ თავგზააბნეული, ყველა ერის ჰუმანიტების მცდელობები ამ ტერმინის მათსავე მსოფლმხედველობაში მოთავსებისა, გვძლევს საშუალებას თვალი ვადევნოთ ადამიანის ინტელექტუალური განვითარების ისტორიას. მაგალითად, ავგუსტინე უგულებელყოფდა

შემთვევითობას და ყველაფრის ღვთის ძალებს მიაწერდა. დანტე ამ იდეას დრამატულად წამოადგენს Canto VII of the Infernoში, სადაც ფორტუნა, წარმმართველი სული, ბედნიერი და ინდიფერენტულია უარყოფის მიმართ - იგი თავსუფალია.

რენესანსის დროს ახალმა ძალებმა განაპირობეს შეხედულებების გაფანტვა ბედის ვარდისფერი სიმშვიდიდან მისი ძალების ბნელ უარყოფამდე. პეტრარკას მოსწავლე, სალუტატი და ანეას სილვიუსი იზიარებდნენ შუა საუკუნეობრივ შეხედულებებს. ნეიტრალური პოზიციის ვარაუდით, მაკიაველი და პონტანო დროგამომწვევით აკნინებენ ბედს, რადგან მას არათუ ადამიანის კეთილდღეობის განსაზღვრა არ შეუძლია, არამედ ვერც კი მივა ახლოს ადამიანის მენტალურ შესაძლებლობებთან და ზოგადად, აზროვნებასთან.

იმ ჰუმანისტებს შორის, რომლებიც უარყოფენ ბედსა და მისდამი მორჩილებას, არიან პეტრარკა, ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა, მარსილიო ფიჩინო და ტომას მორი. მორის ბედის შესახებ დაწერილი ადრეული პოემების განხილვამდე, აუცილებელია პეტრარკასეული „ბედის“ კონცეპტის სირთულისა და კომპლექსურობის მოხსენიება. მიუხედავად იმისა, რომ პეტრარკამ „De remediis“ მეგობრისთვის აცო და კორეჯოსთვის დაწერა, ნათელია რომ მას გათვალისწინებული ჰყავდა გაცილებით უფრო დიდი აუდიტორია. ამ მკითხველთათვის პეტრარკა ამბობდა, რომ აზროვნება ამოწმებს ბედის ძალას, იმედის, სიამოვნების, შიშისა და მწუხარების შეგრძნების აღმოფხვრით. სხვა ნაშრომებში პეტრარკა ცვლის თავის პოზიციას. მაგალითად, სიცოცხლის ბოლოს, „ეპისტოლურ ოჯახში“ ის ემხრობა ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც ბედის არსებობას საერთოდ უარყოფენ.

მორის ადრეულ პოემებში (1503) ლედი ფორტუნა წუხს „მომაკვდინებელ მტრებზე“, „რომლებიც მისი ცენზურის წინააღმდეგ მრავალ ფურცელს წერდნენ“.

მე-16 საუკუნის დასაწყისში ნამდვილად არსებობდა მისი ჩივილების მიზეზი, რადგან რენესანსის ჰუმანისტებმა შეცვალეს შუა საუკუნეების იმ მოაზროვნეთა ხედვა, რომლებიც პირდაპირ ხოტბას ასხამდნენ მას და აღიქვამდნენ როგორც ქალღმერთს. მე-15 საუკუნეში არსებული ლათინური ლიტერატურიდან ყველაზე ცნობილ „de remediis“ - ში პეტრარკა მეტაურობს მათ, ვინც უარყოფს ღმერთის მსახურთან (ფორტუნა, ანუ ბედი) მეგობრული

ურთიერთობების აღდგენას, რასაც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ეძებდა ბოეთიუსი და დანტე.

ტექსტის პირველი ნაწილი ეძღვნება აზროვნებასა და იმედს, მეორე კი - აზროვნებასა და შიშს, ან მწუხარებას შორის გამართულ „დიალოგებს“. ესეების კრებული თავისი დიალოგებით ეხება გამოცდილების იმდენ ასპექტს, რომ რთულია ამაზე მრავლისმომცველი და დეტალური მტიცებულების წარმოდგენა ბედის კონცეპტის წინააღმდეგ. პეტრარკას თეზისი ნათლადაა ჩამოყალიბებული. ყველა წიგნის წინასიტყვაობაში პეტრარკა ხაზს უსვამს იმას, რომ სირთულე და კონფლიქტი გარდაუალა და შედეგად, არისტოტელესა და სენეკასგან განსხვავებით, იგი გვთავაზობს, რომ უმჯობესია ადამიანმა არა კარგი, არამედ ცუდი ბედი აირჩიოს.

შუა საუკუნეების მწერლებისგან განსხვავებით, რომლებიც მიჰყვებოდნენ ღირებულებების ტრანსცენდენტალურ სისტემას, ადამიანის აზროვნებასა და მის თანდაყოლილ სიძლიერეებზე დაყრდნობით, პეტრარკა წარადგენს საშუალებას შანსის წინააღმდეგ.

აზროვნებასთან დაკავშირებული მრავალი აფორიზმი ერთიანდება აღნიშნული ნაწარმოების ერთ ციტატაში - "Many tymes whom fortune hath made bonde, vertue hath made free" (ბევრჯერ მათ, ვინც ბედმა აქცია უზრუნველყოფილად, ღირსებამ მისცა თავისუფლება).

მორის პოეზია აკეთებს პეტრარკას de remediis რეზიუმეს უკვე მოხსენიებული გამონათქვამის სახით.

აღსანიშნავია „ბედის“ კონცეპტის დრამატული ფილოსოფიაც. დრამატული იყო ერთ-ერთი იმ მწერალთაგანი, რომელსაც არ შეეძლო მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული კითხვების ანალიზისას მხოლოდ ქრისტიანული დებულებებით შემოფარგლულიყო. როგორც ჩანს, მას ესაჭიროებოდა კლასიკური ტექსტების დახმარება საკუთარი მოსაზრების გამოსახატავად, რომლის მიხედვითაც სამყარო კომიკურიცაა და ტრაგიკულიც. დრამატული კომიკური ხედვა ფართოდაა ცნობილი მაშინ, როცა მისი შესაძლებლობა ტრაგიზმის მიმართულებით ნაკლებადაა აღნიშნული.

ბედის მნიშვნელობის აღქმის რა ტრადიცია მიიღო დრამიდენმა მემკვიდრეობით? - სავარაუდოდ, ნებისმიერი პასუხი ძველი ანტიკური ხანის ავტორის მოხსენიებით დაიწყებოდა.

წმინდა ავგუსტინე, „ღვთის ქალაქში“, განასხვავებს ბედისა და ნეტარების კონცეპტებს და ამბობს: „თუ ნამდვილად ბედია, გაღმერთების საჭიროება არ არსებობს“.

ბოეთიუსი ბედს ხედავდა როგორც ვერაგ ძალას, რომელსაც ადამიანი არ უნდა დაეყრდნოს.

რენესანსმა სრულიად ახალი ხედვა შემოიტანა და დააფუძნა. იტალიელი ჰუმანისტები, რომლებიც თანდათან შორდებოდნენ „ბედის“ ნეტარი ავგუსტინისეულ განმარტებას, მიიჩნევდნენ, რომ ადამიანს ძალუმს მიაღწიოს სიდიადეს საკუთარი ძალების გამოყენებით. კერძოდ კი ძლიერ ქალღმერთთან, მსოფლიოზე უდიდესი ზეგავლენის მქონე „ბედთან“ მიმართებაში, რომელიც შესაძლოა დამორჩილებულიც კი აღმოჩნდეს ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანის მიერ.

ადამიანმა უნდა გაუძლოს ამ ცვლილებებს ისე, რომ დარჩეს უცვლელი საკუთარი თავის მიმართ. დრამიდენი მიიზიდა ჰუმანისტური ხედვის ამ მხარემ - მან სცადა განესაზღვრა გონების დამოკიდებულება, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს ბედზე მონური მორჩილებისაგან.

3.3. კონცეპტი „ბედი“ სხვადასხვა სააზროვნო სივრცეში

ბედის კონცეპტის ფსიქოლოგიური კუთხით გახილვა გულისხმობს იღბლის ზეგავლენის კვლევას ადამიანის ცხოვრებაზე, ფილოსოფიური კუთხით კი - ფოკუსის გადატანას ამ კონცეპტის რელევანტურობაზე ეთიკასთან და შედარებით დაბალი ხარისხით, ეპისისტემოლოგიასთან.

ბოლოდროინდელი ლიტერატურული დებატების ნათელი მაგალითია ნაგელისა (1979) და უილიამსის (1979) მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უთხრის ძირს „იღბალი“ პასუხისმგებლობას, მათ შორის მორალურსაც. მნიშვნელოვანია, რომ არსებობს ბედით გამოწვეული მორალური შედეგები და ეს ყოველივე ანადგურებს ჩვენს მორალურ

პასუხისმგებლობას აღნიშნული ქმედებების გამო. ნაგელი ამტკიცებს, რომ ბედის კონცეპტს გააჩნია უდიდესი ზეგავლენა ჩვენს მორალზე. ზოგჯერ ბედი აზიანებს ჩვენი მოქმედებების შედეგს, ვინაიდან იმის მიუხედავად, თუ რამხელა იყო აღნიშნული მოვლენის განხორციელების შანსი, ქვეცნობიერად ყოველთვის არსებობს ალბათობა იმისა, რომ მოვლენები სხვაგვარად წარმართულიყო.

ინტერსს იწვევს ჰარპერის თვალსაზრისი შემთხვევითობასა და შანსზე. მკვლევარი თვლის, რომ „ბედის“ კონცეპტი ვრცელდება როგორც „შემთხვევითობაზე“, ისე „შანსზე“. უეჭველია, აღნიშნულ ტერმინებს შორის არსებობს გარკვეული კავშირები. ჰარპერის ეს მიდგომა ფართოდაა გამოყენებული ბედის მახასიათებლების აღწერისას. მიუხედავად კონცეპტებს შორის არსებული საყოველთაოდ ცნობილი უახლოესი კონცეპტუალური ქსელებისა, ჯერ კიდევ უცნობია, თუ როგორ ენათესავებიან ეს ფენომენები ერთმანეთს. საბოლოოდ, „შანსი“ შეიძლება მიემართოს მხოლოდ მოვლენებს, იღბალი კი დიდი ალბათობით საკუთარ თავს დაუკავშირებს „ბედის“ ზეგავლენის ქვეშ მყოფ (უიღბლო თუ იღბლიან) პირს.

თანამედროვე ფსიქოლოგები აკვირდებიან, თუ როდის ხდება ადამიანის მიერ ქმედების „ბედის“ კონცეპტიდან გამომდინარე ფენომენად კლასიფიცირება. ჰაიდერის აზრით, საზოგადოება ხასიათდება უფრო მოვლენების სტაბილური მიზეზებიდან განვითარების ახსნის ტენდენციით, ვიდრე მოვლენათა ამოუცნობ ან გარდამავალ საწყისებთან დაკავშირების მცდელობით. უფრო მეტიც, მან დააფუძნა განსხვავება ინტერნალურ (პერსონალურ) და ექსტერნალურ (გარემოებით) ატრიბუციებს შორის. ჰაიდერის მიხედვით, იღბლის კონცეპტი განხილულ უნდა იქნეს როგორც მოვლენის ამოუცნობი (არამდგრადი), ექსტერნალური განმაპირობებელი ფაქტორი.

ადამიანი აღიქმება წარმატებულად, რადგან ის არის იღბლიანი, როდესაც გარემოებითი ძალის შედეგი დაახული მიზნის მიმართულებით მაქსიმალურია, ან როდესაც ეს ძალა განსაკუთრებულად შორსაა მოსალოდნელი მინიმუმისგან. შესაბამისად, როდესაც წარმატება მიემართება „ბედს“ (აქედან გამომდინარე, მის კონცეპტს) ძირითადად იგულისხმება ორი დეტალი: პირველი, მიღებული რეზულტატისთვის პასუხისმგებელია არა პიროვნება, არამედ ექსტერნალური მახასიათებლები და მეორე, რომ ეს გარემოებითი ფაქტორები (პოზიტიური შედეგის განმაპირობებელი) წარმოადგენს „შანსის“ პროდუქტს (ჰაიდერი, 1958). შესაბამისად,

ჰაიდერის მიხედვით, რომლისთვისაც პიროვნებას გააჩნია ძალიან მცირე ან ნულოვანი პასუხისმგებლობა, თუმცა მჭიდროდ უკავშირდება „შანსის“ ფენომენს, დიდი ალბათობით დაკავშირებულია „ილბალთანაც“. რაც უფრო მცირეა პერსონალური მონაცემები და შესაძლებლობები, მით უფრო მეტად მოიზარება წარმატება „ბედის“ კონცეპტიდან გამომდინარე შემთხვევად.

ვანერთან „ბედის“ ატრიბუცია კლასიფიცირებულია როგორც ექსტერნალური, არასტაბილური და არაკონტროლირებადი მიზეზი. მკვლევარის დასკვნები ემყარება ჰაიდერისეულ მონაცემებს წარმატებისა და წარუმატებლობის ფენომენების თაობაზე.

კოჰენი აღნიშნავს: „ბედის იდეა ყველგანმყოფია, თუმცა მარტივი, რადგან მისი მნიშვნელობა ყველასთვის და ყველგან ზუსტად იგივეა. გამოხატულებები „ბედისთვის“ სხვადასხვა ენაში წარმოაჩენს რთულად შესამჩნევ (ზოგჯერ კი შეუმჩნეველ) ნიუანსებს. ესა თუ ის ენა „ბედის მნიშვნელობას შესაძლოა სრულიად განსაკულებული მნიშვნელობებით იყენებდეს“ (კოჰენი, 1960).

საკითხი იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა „ბედის“ კონცეპტი რაიმე ექსტერნალურს ინდივიდისთვის, არასტაბილურსა და ყოვლად გაუკონტროლებელს, ძიების საგნადაა ქცეული. მეიერისა (1980) და კოელბის (1982) მიერ წარმართულმა კვლევებმა აღმოაჩინეს, რომ „ბედი“ არ არის იდენტიფიცირებული როგორც ექსტერნალური ან ინტერნალური, ასევე როგორც სრულიად არაკონტროლირებადი რამ. აქედან ჩანს, რომ „ილბლის“ კლასიფიკაცია არ არის უნივერსალური.

რაც შეეხება „შანსს“, იგი წარმოადგენს ნაკლებად დამაბნეველ ტერმინს, ნაწილობრივ მდგრადი განზომილებით. შანსი ჭეშმარიტად შემთხვევითი და არასტაბილურია.

ბედის ტრადიციული ახსნა ენათესავება შანსს იმით, რომ ის ექსტერნალურია ინდივიდის მიმართ და გააჩნია არაპროგნოზირებადი ეფექტები მოვლენებზე. შესაბამისად, ბედის რწმენა არის აღქმა, რომლიც მიხედვითად სხვადასხვა ფენომენი განსაზღვრულია გარე ფაქტორების მიერ, არიან არაკონტროლირებადი, ირაციონალური და გააჩნიათ მცირე ზეგავლენა სამომავლო მოლოდინებზე (როტერი 1966).

ბედის ახსნის ახალი ვერსიაში ზოგი მეცნიერი ბედს განიხილავს როგორც ინდივიდუალურ ატრიბუციას, რომელიც არის ინტერნალური, სტაბილური, პროგნოზირებადი და კონტროლირებადი (დარკე და ფრიდმანი, 1977). ამ გაგებით, იღბალი და შანსი ერთმანეთისგან გამიჯნული ცნებებია (ვაგენერი და კერენი 1988).

არსებობენ ადამიანები, ვინც საკუთარ თავს უკეთესი მენტალური ჯანმრთელობის მქონედ მიიჩნევს, ხოლო „უიღბლობის“ აღქმა ასოცირდება ადამიანებთან, რომლებიც ხასიათდებიან მენტალური ჯანმრთელობის დაბალი დონით (დარკე & ფრიდმანი, 1997). ამ ტიპის განმარტების ფარგლებში, იღბლის გარშემო არსებული პოზიტიური ილუზიები (იმ სიტუაციებშიც კი, სადაც ინდივიდს აქვს მცირე კონტროლი სამომავლო მოლოდინებზე) ასოცირდება თავდაჯერებულობასთან „კონტროლსა და ოპტიმიზმთან“ (დარკე & ფრიდმანი, 1997). აღნიშნული თვალსაზრისის ფარგლებში, პოზიტივი არის უმნიშვნელოვანესი ამოუცნობი ფაქტორი იღბლიანობისათვის, ოპტიმიზმი კი თამაშობს მედიატორის როლს კარგ ბედსა და მენტალურ ჯანმრთელობას შორის (დეი & მალტბი, 2003). უაიზმენის (2004) მიხედვით, წარუმატებელი პირებისგან განსხვავებით, იღბლიანი ადამიანები ხედავენ წარმატებასთან დაკავშირებულ საიდუმლო ნიშნებს. მეცნიერის აზრით, ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს იღბლიანებად მიიჩნევენ, გაუცნობიერებად ქმნიან ახალ შესაძლებლობებს, მაშინ როდესაც ის კატეგორია, რომელიც უიღბლობის კონცეპტითაა მართული (საკუთარ თავს უიღბლოდ მიიჩნევს), უგულვებელყოფს მის წინაშე არსებულ უამრავ ახალ გზას.

არსებობს მოსაზრება, რომ „ბედის“ რწმენა სცდება ილუზიების საზღვრებს და წარმოადგენს უფრო რეალისტურ მოლოდინებსა და ამბიციებს. დეიმ და მალტბიმ აღმოაჩინეს იღბლის მრწამსის კავშირები მიზნისკენ პოზიურად ორიენტირებასთან, ანუ იმედთან. უფრო მეტიც, „ბედის“, კონცეპტის პოზიტიური აღქმა მომავლის გეგმების დასახვისას მიჩნეულია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, კონკრეტული პირის შესაძლებლობებთან, შრომისმოყვარეობასა და მოტივაციასთან. აღნიშნული მოსაზრების ფარგლებში კარგ ბედს შეუძლია მიზნის დასახვასთან დაკავშირებული კოგნიციაზე ზემოქმედება.

მიუხედავად ბედთან დაკავშირებული განსხვავებული თეორიული და ემპირიული კონტექსტების გამოჩენისა, არ არსებობს საზომი ერთეული, რომელიც აფიქსირებს ბედის

კონცეპტის გარშემო არსებული შესაძლო სხვადასხვა მრწამსის „კონცეპტუალურ მოცულობას“.

ანდრემ (2006) ჩამოაყალიბა ბედის რწმენის ოთხი კომპონენტისგან შემდგარი მოდელი, რომელიც გვთავაზობს, რომ იღბლისა და უიღბლობის რწმენა აერთიანებს ორ კომპონენტს. უნდა აღინიშნოს, რომ ანდრეს მოდელი არ აერთიანებს ქცევისა და მრწამსის ასპექტებს, რომლებიც პირდაპირ კავშირში იმყოფება ბედის კონცეპტთან.

უფრო მეტიც, არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია იმის დასადასტურებლად, რომ საკუთარი თავის იღბლიანად ან უიღბლოდ მიჩნევა იგივეა, რაც სამყაროში კარგისა და ცუდის არსებობის დადასტურება. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, არ არსებობს „ბედის“ საზომი (მისი ავკარგიანობის განურჩევლად).

ამ კვლევების მიზანს წარმოადგენდა „ბედის“ კონცეპტის მულტიფორცული საზომის შექმნა და მისი ვალიდურობის დადასტურება პერსონალურობის, ირაციონალურობის, პოზიტივიზმის, ატრიბუციისა და კეთილდღეობის ცნებებთან მიმართებაში.

ბედის ანალიზმა საბოლოოდ შეძლო იმ დებულების დაცვა, რომ მოვლენა, რომელიც ქმნის ბედს, არსებობს კონტროლის ფარგლებს მიღმა.

პრიტჩარდის „მნიშვნელობის თეზისი“ განიხილავს იღბლიანობას კონკრეტულ მოვლენასთან მიმართებაში. ის ამბობს, რომ ადამიანი იღბლიანია მხოლოდ კონკრეტულ გარემოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პირისთვის ამ გარემოებას გააჩნია ღირებულება, მნიშვნელოვნება. თუ მოვლენას ადამიანისთვის არანაირი მიშვნელობა არ გააჩნია, ეს ადამიანი არ შეიძლება იყო არც კარგი და არც ცუდი ბედის მატარებელი.

ბედი ასოცირდება პირობების შეცვლასთან (ეფექტის მოხდენასთან), არაპროგნოზირებად და დაუგეგმავ მოვლენებთან, რომელიც არ ექვემდებარება ადამიანურ კონტროლს.

მოვლენების ბედნიერი თუ სამწუხარო განვითარება შესაძლოა რეციპიენტის მიერ მიეწეროს იღბალს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ცვლილებები სხვების მიერ განზრახული ჩანაფიქრის შედეგია.

ხშირად ადამიანის კარგი ბედი სხვისი უბედურების ფასადაა მიღწეული. თუმცა იგი შესაძლოა ყოველგვარი მსხვერპლის გარეშეც მოგვევლინოს. თუ რაიმე ბედნიერი შემთხვევის წალობით, დედამიწა გადაურჩება ეპიდემიას ან ბირთვულ ომს, ეს ყველასთვის იღბლიანი შემთხვევაა და ფასსაც არავინ იხდის.

ბედის „კონცეპტის“ ცენტრს წარმოადგენს იდეა, რომ ჩვენს გარშემო მიმდინარე დადებითი თუ უარყოფითი მოვლენები, მათი გამომწვევი მიზეზები სცდებიან ჩვენი კოგნიტური და მანიპულაციური კონტროლის საზღვრებს.

ბედი ემყარება ქმედუნარობას. ყოვლისმცოდნე ან ყოვლისშემძლე „პირის“ შემთხვევაში, რომელმაც ყველა სიტუაციის შედეგი იცის და მისი გაკონტროლება შეუძლია, „ბედს“ გასაქანი არ აქვს.

„ბედი“ ხორცშესხმული ძალაა, რომლის მსახურება, ისევე როგორც დაკარგვაც, შესაძლებელია.

ფილოსოფიამ, მეცნიერებისადმი მზარდ ინტრესთან ერთად, იღბლის დაკნინების პროცესი შესამჩნევად გააძლიერა მოაზროვნე საზოგადოებაში.

მიუხედავად ამისა, „ქალბატონი ბედის“ მიმართ პატივისცემისა და თაყვანისცემის გამოხატვა მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად არასდროს შემწყდარა. უიღბლო დღის (13, პარასკევი), „ბედის“ მატარებელი ობიექტის (კურდღლის ფეხი), იღბლის განმკარგავი ძალის (ბედის ვარსკვლავი) რწმენა აძლიერებს ჰიპოთეზას, რომ „ბედი“ არის რაღაც, რასაც გააჩნია გარკვეული ზეგავლენა.

მაგრამ ეს ყოველივე უბრალო ცრურწმენაა. ის ბედს აშორებს იმ დომენიდან, რომელსაც ეს უკანასკნელი მიეკუთვნება. თუ იღბლის გაკონტროლება შესაძლებელი იქნება, მაშინ იგი უბრალოდ დაკარგავს მის ნამდვილ შინაარსს. თუ „ბედით“ მანიპულირება რეალურია, მაშინ აზრს კარგავს შემდეგი გამოთქმა: „You can't beat a fool for luck“ („სულელს ბედის გამო ვერ სცემ“).

ჩვენს საზოგადოებას ადამიანის საქმიანობაში შანსის ფაქტორის არსი და მისი დეფინიცია საკმაოდ კარგად ესმის, შესაბამისად, ჩვენ საკმაოდ გვიადვილდება ამ ფენომენთან აკომოდირება.

“ბედი“ არ არის ძალა, რომლით მანიპულირება შესაძლებელია მოქრთამვით ან მოთაფვლით. ეს არის რაღაც, რომლის მეტ-ნაკლები კონტროლი ასოცირდება საკუთარი თავის მოდიფიკაციასთან.

ჩვენ, ადამიანებს, ბედის ფუნქციონირებასთან კავშირი არ გვაქვს - ვიქნებით თუ არა ილბლიანები, ჩვენზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ „ბედის“ კონცეპტის სივრცე კი არის რაღაც, რაზეც ზეგავლენის მოხდენა ნამდვილად შეგვიძლია. გონივრული გათლა, მზადება და შრომისმოყვარეობა ამცირებს იმ დიაპაზონს, რომელშიც ჩვენი მიზნების მისაღწევად „ბედის“ კონცეპტის დახმარებას ვსაჭიროებთ.

ჩვენ ვერ ავირიდებთ ილბლის ეფექტს - ადამიანის ცხოვრებას თან სდევს ქაოსის საფრთხე, მაგრამ შეგვიძლია ვიმოქმედოთ იმგვარად, რომ სასურველი შედეგის მისაღებად გასავლელ გზაზე საგრძნობლად შევამციროთ ილბალზე დამოკიდებულების დონე.

არსებობს სამი გზა, რომლითაც ადამიანს შეუძლია ბედით მანიპულირება და მასზე ნაწილობრივი ზეგავლენის მოხდენა:

1. რისკის აცილება - ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავს საფრთხეში არ იგდებენ, არ სჭირდებათ ილბლის ცნებაზე დაყრდობა მიზნის მისაღწევად;
2. დაზღვევა - საზოგადოების ნაწილი, რომელიც არაპროგნოზირებადი სირთულეების წინაშე თავს იზღვევს, ბედის ცნებას, როგორც „მცველს“, არ საჭიროებს;
3. შესაძლებლობების გამოთვლა - ადამიანებს, რომლებიც რისკებს თვლიან შესაძლებლობებთან მიმართებით, შეუძლიათ შეამცირონ დიაპაზონი, რომლებშიც ისინი ბედის „ტყვეებად“ გვევლინებიან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩამოთვლილი საშუალებები საუკეთესო გამოსავალია „ცუდ ბედთან“ საბრძოლველად. ილბლის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად არსებული შანსების რაოდენობა უფრო მცირეა, თუმცა მაინც არსებობს ქმედებები, რომელთა რეალობაში განხორციელების შემთხვევაში მათ საკუთარი ილბლისაკენ მივმართავთ. მაგრამ ფაქტი

ფაქტად რჩება, რეალურ სამყაროში „კარგი ბედის“ მართვა მხოლოდ მოცემული ლიმიტის ფარგლებშია შესაძლებელი.

ცრურწმენამ, რომ ბედი „ვიღაცის მხარესაა“, შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ენერჯისა და ძალისხმევის შემცირება. წინასწარ განწყობას და ვარაუდს თავისუფლად შეუძლია შედეგის განსაზღვრა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ეფექტის მოხდენის გზით - პესიმისტური მოლოდინებს ნეგატიური ზეგავლენა აქვთ თვითრწმენაზე, რაც თავისთავად აისახება საბოლოო შედეგზე.

აქ იკვეთება კონტრადიქცია: თუ შედეგი წარმოადგენს მიზეზზე რეაქციას, მაშინ გამოდის, რომ მათ კავშირი არ გააჩნიათ შანსის ფენომენტთან.

შანსის შედეგების განკარგვის იდეა სრულ აბსურდს წარმოადგენს, რომელიც არ ცვლის იმ გარემოებას, რომ შანსის მიერ მოწოდებული შესაძლებლობების რაციონალურად გამოყენება ნამდვილად ღირებული ტალანტია.

„ბედის“ კონცეპტს იღბლიანი და უიღბლო ადამიანების საზოგადოებივი აღქმისთვის გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია. თუ იღბალი პერსონალურ თვისებებს შორის აღმოჩნდება, იგი ზეგავლენას მოახდენს პიროვნების შეფასებაზე. ბედი თანამედროვე დასავლურ კულტურაში წარმოადგენს არა ნეიტრალურ მორალურ ფაქტორს, არამედ იდეალური პერსონის აუცილებელ შემადგენელს.

თავი IV. აქსიოლოგიური ანალიზი და კოგნიტური ინტერპრეტაცია

4.1. ენის კვლევისადმი აქსიოლოგიური მიდგომის არსი

ფორმალური აქსიოლოგია წარმოადგენს მორალური ფილოსოფიის ქვედისციპლინას, რომელიც განიხილავს ღირებულებებსა და ღირებულებათა კონცეპტებთან დაკავშირებულ სტრუქტურულ კონცეპტებს. სტრუქტურის ნათლად ვიზუალიზაციისათვის უნდა განისაზღვროს აქსიოლოგიური დისციპლინის ადგილი მორალური ფილოსოფიის ლანდშაფტის ფართო რუკაზე. კერძოდ, თუ როგორ არის აქსიოლოგია დაკავშირებული მეტაეთიკასთან და როგორ ხდება შესაძლებელი აქსიოლოგიის დაყოფა ფორმალური და სუბსტანციური აქსიოლოგიის ქვედისციპლინებად.

მიჩნეულია, რომ ფილოსოფიას ევალუება „დიდ კითხვებთან“ გამკლავება და, თავის მხრივ, ღირებულების ფილოსოფიაც არ არის გამონაკლისი. ამ კითხვების კომპლექსურობისა და სიღრმის გამო, მათზე ფიქრისა და განხილვის თავიდან არიდების რისკი გარდაუვალი და ყოვლისმომცველია. ჯონას ოლსონის მიერ განხილული დისციპლინათა სხვაობები ზოგჯერ შესაძლოა ნაწილობრივ დაემთხვენენ ერთმანეთს, მაგრამ მას მტკიცედ წამს, რომ წარმართული დისკუსია გარკვეულწილად შეამცირებს გზიდან გადახვევის რისკს. მომიჯნავე საკითხებს შორის არსებულ კავშირზე ფოკუსირება მიზანს უნდა წარმოადგენდეს.

პრაქტიკულად ყველა წიგნი მორალურ ფილოსოფიაში იწყება თემის ორ ქვედისციპლინად დაყოფით, რომელსაც ხშირად „მეტაეთიკას“ და „ნორმატიულ ეთიკას“ უწოდებენ. ამ სტანდარტული სურათის თანახმად, ნორმატიული ეთიკა დაინტერესებულია პირველი რიგის კითხვებით, რომლებიც ეხება ცუდსა და კარგს, ჭეშმარიტსა და მცდარს. ამგვარი პირველი რიგის ნორმატიული კითხვები იღებენ ორი ფორმიდან ერთ-ერთს: ისინი დაინტერესებულნი არიან იმით, თუ რა აქცევს კარგ საქციელს კარგად, ჭეშმარიტს - ჭეშმარიტად და ა.შ. ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემით ვაყალიბებთ სისტემატურ, ნორმატიულ თეორიებს. პირველი რიგის ნორმატიული კითხვები დაინტერესებული არიან უფრო კონკრეტული, ვიდრე ზოგადი ნორმატიული საკითხებით. განსხვავებული თეორიები იმის შესახებ, თუ რა ხდის მოქმედებებს სწორს და არასწორს, გვაწვდის განსხვავებულ პასუხებს პირველი რიგის კონკრეტულ ნორმატიულ კითხვებთან მიმართებით.

მეტაეთიკაში კი მეორე რიგის კითხვები წარმოადგენენ ინტერესის საგანს. მეორე რიგის კითხვებმა შესაძლოა განსხვავებული ფორმები მიიღონ.

პირველ რიგში, განხილულ უნდა იქნას ნორმატიული განსჯის სემანტიკური სტატუსი. განსჯა იმის შესახებ, თუ რა არის მართებული ან არასწორი, კარგი ან ცუდი, რაციონალური ან ირაციონალური. შესაძლოა დავსვათ კითხვა: ჭეშმარიტია თუ მცდარი ამგვარი განსჯა? თავიდანვე აპირებენ თუ არა ისინი ნორმატიული რეალობის აღწერას, თუ მათი ძირითადი ფუნქცია პრო ან კონტრ-დამოკიდებულებების გამოხატვაა? არსებობს თუ არა ნორმატიული განსჯის მიერ აღწერილი ნორმატიული ფაქტები და თვისებები, თუ მსოფლიო თავისუფალია წმინდად ნატურალისტური და შეფასებითი განსჯისგან?

თუ ნორმატიულ მოთხოვნათა ძირითადი ფუნქცია მსოფლიოს მახასიათებელთა აღწერაში მდგომარეობს, მაშინ ბუნებრივია იმის თქმა, რომ ნორმატიული განსჯები გამოხატავენ რწმენას. და თუ ნორმატიულ განსჯას სიმართლისა და სიყალბის დადგენის უნარი აქვს, მაშინ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ნორმატიული ცოდნის არსებობა შესაძლებელია. თუმცა, თუ ნორმატიული განსჯები უფრო პრესკრიფციულია, ვიდრე დესკრიფციული და არაკოგნიტურ დამოკიდებულებებს გამოხატავს (მაგალითად, სურვილებს), მაშინ უფრო რთული იქნება ნორმატიულ განსჯათა მიერ დანახული სიმართლისა და სიყალბის აღქმა. ეს კი ნორმატიულ განსჯათა ეპისტემოლოგიური სტატუსის შესახებ განსჯას იწვევს.

ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ნორმატიული განსჯის ფსიქოლოგიურ სტატუსზე. თუ ნორმატიული განსჯები უფრო მეტად კოგნიტურია ვიდრე - არა-კოგნიტური, შესაძლოა უფრო რთული გახდეს მარტივი დაკვირვების ჩატარება, რომლის მეშვეობითაც ადამიანებს ეძლევათ მოტივაცია ნორმატიულ განსჯებთან მიმართებით. სავარაუდო პასუხი გულისხმობს დაკვირვების მართებულად წარმართვის შესაძლებლობას, თუ ნორმატიულ განსჯასა და მოტივაციას შორის კავშირს მხოლოდ პირობითად მივიჩნევთ. ეს ფაქტი წარმოშობს ინტერნალისტებსა და ექსტერნალისტებს შორის მოტივაციის შესახებ არსებულ დაპირისპირებას.

მეტა-ეთიკოსები, როგორც წესი, დაკავებული ამ ტიპის ურთიერთდაკავშირებული კითხვებით არიან: მაგალითად კითხვებით, რომლებიც ეხება სემანტიკას, ონტოლოგიას, ეპისტემოლოგიას, ნორმატიულობისა და ნორმატიულ განსჯათა ფსიქოლოგიას. უნდა

აღინიშნოს, რომ ამ ურთიერთდაკავშირებულ კითხვათა ოთხი ტიპი წარმოადგენს მეტაეთიკის ძირითად საკითხებს, რომლებიც ერთობლივად ქმნიან იმას, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ „მეტა-ეთიკა ვიწრო გაგებით“; „მეტაეთიკა ფართო გაგებით“ მოიცავს ნორმატიულ და შეფასებით განსჯებთან დაკავშირებულ ყველა მეორე რიგის კითხვას.

განსხვავება მეტაეთიკასა და ნორმატიულ ეთიკას შორის გვეხმარება, დავინახოთ წესრიგი დისციპლინათა და განსხვავებათა, ერთი შეხედვით, ქაოსურ ერთობლიობაში.

„აქსიოლოგია“ ნიშნავს იმავს, რასაც „ღირებულების თეორია“. აქსიოლოგიური თეორიები ღირებულებათა შესახებ არსებული თეორიებია. აქსიოლოგიური სფეროს შიგნით შესაძლებელია განსხვავების წარმოჩენა ისე, როგორც მეტა-ეთიკასა და ნორმატიულ ეთიკას შორის. შესაძლებელია განვასხვავოთ ღირებულების შესახებ არსებული პირველი რიგის კითხვები მეორე რიგის კითხვებისგან. პირველი ტიპის კითხვები ეხება იმას, თუ რა არის ღირებული და რა ხდის საგნებს ღირებულს. ამგვარი ტიპის კითხვებისგან შემდგარი დისციპლინა სუბსტანციური აქსიოლოგიის სახელითაა ცნობილი. ამრიგად, სუბსტანციური აქსიოლოგია დაინტერესებულია კონკრეტული ღირებულებების იდენტიფიცირებით.

ასევე ინტერესს იწვევს ღირებულების შესახებ არსებული მეორე რიგის კითხვები, ანუ კონცეპტუალური და სტრუქტურული საკითხები ღირებულებითი და შეფასებითი კონცეპტების შესახებ. აქსიოლოგიის დარგს, რომელსაც ამგვარი ტიპის ჯგუფურ კითხვებთან აქვს საქმე, ეწოდება ფორმალური აქსიოლოგია.

იდეათა სხვაობა იმის შესახებ, თუ რა არის ღირებული, არცთუ იშვიათია ფილოსოფიურ და არაფილოსოფიურ ლიტერატურაში. არც პოლიტიკურ დებატებში და არც ყოველდღიურ აზროვნებაშია რთული მათი პოვნა. მარტივია ერთ ან მეტ სფეროში იმგვარ წარმომადგენელთა პოვნა, რომელთა შეხედულებითაც, სიამოვნება კარგია, ტანჯვა კი - ცუდი, ან რომ თანასწორობა, თავისუფლება, ცოდნა ან მეგობრობა კარგია. სუბსტანციური აქსიოლოგია გულისხმობს ამ საკითხთა ირგლივ არსებულ დაპირისპირებას. ასეთი დაპირისპირების ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს იმის იდენტიფიკაცია, თუ რა არის ღირებული.

არსებობს საკითხები, რომელიც ფორმალური აქსიოლოგიის ფრეიმის ფარგლებში უნდა განვიხილოთ. ეს საკითხი არის ღირებულების ტიპოლოგია. რა ტიპის ღირებულებები არსებობს? რა ტიპის კონცეპტუალური განსხვავებები ფიქსირდება მათ შორის? არსებობს თუ არა განსხვავება შინაგან ღირებულებასა და საბოლოო ღირებულებას შორის? რომელ ონტოლოგიურ კატეგორიებს მიეკუთვნებიან ღირებულების მატარებელი? უკანასკნელი კითხვა უნდა გავმიჯნოთ ღირებულების ონტოლოგიური სტატუსისგან, რომელიც ჰყოფს რეალისტებს და ანტირეალისტებს. ფორმალური აქსიოლოგიური თეორიები ღირებულებათა მატარებლების შესახებ თავსებადია როგორც რეალისტურ, ისე ანტი-რეალისტურ მეტაეთიკურ შეხედულებებთან.

მეორე საკითხი ფორმალურ აქსიოლოგიაში აღმოჩნდა მჭიდროდ დაკავშირებული ღირებულების ტიპოლოგიასთან. შესაძლოა თუ არა, რომ შინაგანი ან საბოლოო ღირებულება განსხვავდებოდეს კონტექსტის მიხედვით. მრავალი ფილოსოფოსის თანახმად, განსაკუთრებით მურის მიხედვით, შინაგანი ან საბოლოო ღირებულება დეფინიციით კონტექსტისგან დამოუკიდებელია. თუმცა ზოგიერთი ფილოსოფოსი, მათ შორის ჯონას ოლსონი, უარყოფს ამ მოსაზრებას.

ფორმალურ აქსიოლოგიაში იკვეთება კითხვა: როგორ უნდა გაანალიზდეს შინაგანი ან საბოლოო ღირებულება? ამ კითხვაზე პასუხი მურს ეკუთვნის. მაგრამ ღირებულებითი თეორიის სხვა ტრადიციების თანახმად, ღირებულებითი კონცეპტები უნდა გაანალიზდეს ისეთი ნორმატიული კონცეპტების თვალსაზრისით, როგორცაა „უნდა“, „მიზეზი“, „რაციონალურობა“.

აშკარაა, რომ თვალსაზრისები განსხვავდებიან შინაგანი და საბოლოო ღირებულების კონცეპტთა ანალიზით.

ახლა მივმართოთ ერთ კონტრასტს, უფრო ზუსტად კი, წარმოვადგინოთ განსხვავება იმ საგანთა შორის, რომელთაგან ერთი საბოლოოდ ღირებული ან ღირებულია თავისთავად, ხოლო მეორე კი ღირებულია როგორც საშუალება, სხვა სიტყვებით, ღირებულია სხვა რაიმეს უზრუნველსაყოფად. ღირებულებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ძირითადი განსხვავება - განსხვავება საბოლოო და ინსტრუმენტულ მნიშვნელობასა და შინაგან და გარეგან მნიშვნელობას შორის.

ინსტრუმენტული ღირებულება დერევატიული ღირებულების ერთ-ერთ ტიპს წარმოადგენს. რაიმეს გააჩნია დერევატიული ღირებულება, თუკი იგი „ვალდებულია“ თავისი ღირებულების გამო სხვა ღირებულების წინაშე. ინსტრუმენტულად ღირებული ობიექტი ვალდებულია საბოლოო ღირებულების წინაშე. არსებობს დერევატიული ღირებულების კიდევ ერთი ტიპი, რომელიც გულისხმობს დერევატიული ღირებულების ვალდებულებას მისი ერთ ან რამდენიმე სხვა ელემენტის წინაშე.

ნამდვილად საკამათოა, რეალურად არსებობს თუ არა განსხვავება საბოლოო და შინაგან ღირებულებას შორის. ბევრი ფილოსოფოსი ვარაუდობს, რომ არ არსებობს. მათი შეხედულებით, ყველა საბოლოო ღირებულება შინაგან ღირებულებას წარმოადგენს. თუმცა, ამჟამად რამდენიმე ფილოსოფოსი გვთავაზობს ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგო მაგალითებს. ამ ფილოსოფოსთა თანახმად, შეხედულება არის თუ არა ყველა საბოლოო ღირებულება შინაგანი ღირებულება, მჭიდროდაა დაკავშირებული ღირებულების მატარებელთა ონტოლოგიურ ბუნებასთან.

ჯონას ოლსონის თვალსაზრისით, საბოლოო ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ღირებული, თუკი ის ღირებულია თავისთავად ან კვანის თქმით, საბოლოოდ ღირებულია. იკვეთება შეხედულება, რომლის თანახმადაც, არსებობს ობიექტის თვითმყოფადი ღირებულება, ნებისმიერი სხვა გარეშე საგნისაგან დამოუკიდებლად. ეს უკანასკნელი იდეა შინაგანი ღირებულების ასახვას პოულობს მურის მოსაზრებებში. რაიმე შინაგანად ღირებულია, თუკი ის სრული იზოლაციის პირობებშიც შეძლებს ღირებულების შენარჩუნებას. ამრიგად, ობიექტის საბოლოო ღირებულება უნდა მივიჩნიოთ შინაგანად, თუკი ის მხოლოდ და მხოლოდ ობიექტის დამახასიათებელი შინაგანი თვისებებიდან გამომდინარეობს. ხოლო ობიექტის საბოლოო ღირებულება მაშინ უნდა მივიჩნიოთ გარეგანად, როდესაც ის ობიექტის დამახასიათებელი არაშინაგანი თვისებებიდან გამომდინარეობს.

ჯონას ოლსონის შეხედულება გულისხმობს საბოლოო ღირებულების გამომდინარეობას ექსკლუზიურად მისი მატარებლის შინაგანი თვისებებისგან. ამ შეხედულების კვალს მურამდე მივყავართ. ფილოსოფოსთა შორის, რომლებმაც ბოლო დროს მხარი დაუჭირეს აღნიშნულ შეხედულებას არის ჩისკოლმი: (ჩისკოლმი, 1986).

რაბინოვიჩისა და რონოუ-რასმუსენის (1999) აზრით, შინაგანი მნიშვნელობა საბოლოო მნიშვნელობის უფრო ფართო კატეგორიის ქვეკატეგორია. ობიექტის საბოლოო ღირებულება უნდა მივიჩნიოთ შინაგანად, თუკი ის მხოლოდ და მხოლოდ ობიექტის დამახასიათებელი შინაგანი თვისებებიდან გამომდინარეობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გარეგანი იქნება. აქედან გამომდინარე, რაბინოვიჩისა და რონოუ-რასმუსენის თანახმად, საბოლოო მნიშვნელობა შეიძლება იყოს შინაგანი ან გარეგანი. ამის საპირისპიროდ, კაგანი ტერმინოლოგიურ ცვლილებას გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც „შინაგანი ღირებულება“ განკუთვნილია ან „თავისთავად ღირებული“ ან „საბოლოოდ ღირებული“ მნიშვნელობებისთვის. აქედან გამომდინარე, კაგანის თანახმად, (1998) შინაგანი ღირებულება შეიძლება იყოს გარეგანი.

ლემოსი და ზიმერმანი იზიარებენ მოსაზრებას, რომ „თავისთავად ღირებული“ წარმოადგენს ინტერესის მნიშვნელოვან საგანს. ზიმერმანი აღიარებს საბოლოო ღირებულებასა და შინაგან ღირებულებას შორის არსებულ კონცეპტუალურ განსხვავებას. ლემოსი და ზიმერმანი ეთანხმებიან მურის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ „თავისთავადი“ ღირებულება ექსკლუზიურად გამომდინარეობს მისი მატარებლისთვის დამახასიათებელი შინაგანი თვისებებისგან, კონკრეტულად ის თვისებები, რომლებიც გააჩნია ობიექტს სხვა გარეგანი ობიექტებისგან დამოუკიდებლად.

მურმა „შინაგანი ღირებულების კონცეფციაში“ აღნიშნა, რომ გარკვეული ღირებულება არის თუ არა „შინაგანი“, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საგანი ფლობს მას და რა ხარისხითაა დამოკიდებულია მხოლოდ საგნის შინაგან ბუნებაზე“ (მური, 1922, გვ. 286). მურმა აღნიშნულ იდეას ყველაზე მნიშვნელოვანი უწოდა შინაგან ღირებულებასთან მიმართებით (მური, 1903, გვ. 22).

მაგრამ რატომ დაუშვა მურმა ვარაუდი, რომ ღირებულება, რომელიც ობიექტს გააჩნია „თავისთავად“, ანუ მისი საბოლოო ღირებულება უნდა გამომდინარეობდეს ექსკლუზიურად მის შინაგან თვისებებზე დაყრდნობით, ანუ იყოს შინაგანი? ერთ-ერთ მიზეზს იზოლაციის ტესტის მომხიზვლელობა წარმოადგენს. ტესტი გვთავაზობს მეთოდს იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე „თავისთავად“ ღირებული.

მურის თვალსაზრისით, „საშუალებასა და საბოლოო შედეგს შორის დაბნეულობის თავიდან ასარიდებლად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თითოეული გამორჩეული თვისება იზოლირებულად იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რა ღირებულებას ფლობს იგი“.

მეორე თვალსაზრისი კი დაკავშირებულია ღირებულების ორგანულობასთან. მურის თანახმად, თუკი ჩვენ მთელ სიმრავლეს ღირებულად მივიჩნევთ და დავინახავთ, რომ სიმრავლის ერთ-ერთ ელემენტს არ გააჩნია ღირებულება, მაშინ სხვა ელემენტს, თავის მხრივ, უნდა გააჩნდეს ყველა ის ღირებულება, რაც სიმრავლეს“ (მური 1903, გვ. 93). მურმა ეს მოსაზრება არასწორად მიიჩნია, რადგან იგი უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ „მთლიანობის ღირებულება არ უნდა იყოს იგივე, რაც მისი ნაწილების მნიშვნელობათა ჯამი“ (მური, 1903, გვ. 28).

მურის დოქტრინა ორგანულ ერთეულთა შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ შინაგანი ღირებულების სიდიდე, რომელიც მიეკუთვნება სიმრავლეს, განპირობებულია მისი ნაწილების ერთობლიობის ორგანული ეფექტურობით.

აქსიოლოგიური ანალიზი გულისხმობს ღირებულებათა გამოვლენას ენაში. თეზისი ადამიანის ცნობიერების აქსიოლოგიურობის შესახებ არ იწვევს არანაირ ეჭვს. შეფასება შემეცნებითი აქტების იმანენტურია, ხოლო ღირებულებათა სისტემა კი - კულტურის არსი. ღირებულება წარმოადგებს ადამიანის მიერ გარე სამყაროს ობიექტთა დადებითად ან ურაცოფითად შეფასებას.

ღირებულება ყოველთვის ანთროპოგენურია, სხვა სიტყვებით, იგი წარმოადგენს ადამიანური გააზრებისა და შეფასების შედეგს. ოქრო არ წარმოადგენს ღირებულებას, ვიდრე იგი არ იქცევა სასქონლო ეკვივალენტად ან სამკაულად. ექსტრემალურ პირობებში იგი კარგავს თავის ღირებულებას. ღირებულებითი სისტემა ასახავს კონკრეტული კულტურის წარმოდგენას ნორმაზე (ღირებულებაზე) და ნორმიდან გადახვევაზე (ანტიღირებულებაზე).

ლინგვისტური აქსიოლოგიის ობიექტს წარმოადგენს განუყოფელი კომპლექსი „ენა-ცნობიერება-კულტურა-ენის მატარებელი“. მისი საგანია ენა, როგორც ღირებულებათა ფორმირების, გამოხატვისა და ტრანსლაციის საშუალება. აქსიოლოგიური ანალიზი მიზნად ისახავს სამყაროს ხატის ღირებულებითი ფრაგმენტისა და სოციალურად განპირობებულ სეგმენტების - აქსიოლოგიური სფეროს - იდენტიფიცირებას.

აქსიოლოგიური ანალიზი ორიენტირებულია საზოგადოების სულიერ-მორალური მდგომარეობის დიაგნოსტიკაზე, საზოგადოების ღირებულებითი ორიენტირების გამოვლენაზე.

ენის კვლევისადმი აქსიოლოგიური მიდგომა გულისხმობს კონკრეტული კულტურის მატარებელთა ღირებულებებისა და ეთნოსის ეროვნული, უნიკალური ნიშნების განსაზღვრის შესაძლებლობას. ენისა და კულტურის მიმართების სისტემურობა იძლევა ენობრივი ფენომენის არტეფაქტის მეშვეობით ახსნის შესაძლებლობას.

აქსიოლოგიაში ღირებულება გააზრებულია როგორც ობიექტის მნიშვნელობა სუბიექტისათვის. ეს მნიშვნელობა შეიძლება იყოს დადებითი, ან უარყოფითი (ბუჩილო/Buchillo, 1997. გვ, 232-249). სწორედ ამიტომ, ღირებულებას გააჩნია ბიპოლარული სტრუქტურა: თითოეულ ღირებულებას შეესაბამება ანტიღირებულება.

ღირებულებები აყალიბებენ სამყაროს ღირებულებით ხატს, რომელიც განპირობებულია კულტურის თავისებურებებით. სამყაროს ღირებულებითი ხატი დაკავშირებულია ადამიანის ცოდნის ღირებულებით ქვესისტემასთან და მოიცავს როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ ღირებულებებს. ღირებულებითი ორიენტაციები არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ მოცემულობას, ისინი განიცდიან კულტურაში მიმდინარე ცვლილებების ზეგავლენას.

ლინგვისტიკაში ღირებულებები გააზრებულია როგორც სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური იდეები და შეხედულებები, რომლებსაც იზიარებს ხალხი და მემკვიდრეობით იღებს ყოველი მომდევნო თაობა. ღირებულებები წარმოადგენს იმ ფენომენს, რომელსაც ეთნოსი აფასებს როგორც „კარგს“ და „სწორს“, რაც მიჩნეულია მიბაძვის საგნად და აღზრდის ეტალონად.

ლინგვისტიკაში ღირებულებითი პრეფერენციების ანალიზი იძლევა ეროვნული ენობრივი ცნობიერებისა და ენობრივი სუბიექტის მოდელის კონსტრუირების შესაძლებლობას. ენა, როგორც კულტურის ფენომენი, აფიქსირებს და ასახავს როგორც კონკრეტულ სოციუმში მოცემული მომენტისათვის არსებული ღირებულებების, განწყობებისა და შეფასებების სისტემას, ისე იმ ღირებულებებს, რომლებიც მუდმივია კონკრეტული კულტურისათვის.

უფრო მეტიც, ენა, რომელიც მუდმივად ურთიერთქმედებს კულტურასა და აზროვნებასთან, აყალიბებს ენობრივ პიროვნებას, რომელიც განეკუთვნება კონკრეტულ სოციოკულტურულ თემს – ერთობას, რომელსაც გააჩნია ღირებულებათა სისტემა, მორალი, ქცევა და დამოკიდებულება სამყაროსადმი.

თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრისტული ვექტორი იძლევა შემდეგი მოსაზრების ჩამოყალიბების საფუძველს: შეფასების შეწავლა შეუძლებელია კონკრეტული კულტურის, ერის, ისტორიული ეპოქის, სხვა სიტყვებით, იმ კონტექსტის გარეშე, რომელიც აყალიბებს ადამიანს, როგორც შეფასების სუბიექტსა და ობიექტს.

უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების, როგორც მხოლოდ ღირებულებაზე თვალსაზრისის გააზრება, მნიშვნელოვნად ავიწროებს აღნიშნული კატეგორიის საზღვრებს. შეფასების ფუნქცია გულისხმობს საგნის ან მოვლენის შედარებას სამყაროს იდეალიზირებულ მოდელთან, რომელშიც აისახება არა მხოლოდ ღირებულებები, არამედ სუბიექტისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ფენომენები, როგორცაა: შესაძლებლობისა და გარდაუვალობის, სანდოობისა და ჭეშმარიტების მნიშვნელობები.

ამრიგად, შეფასების ადეკვატური ინტერპრეტაცია გულისხმობს კონცეპტუაციას არა ღირებულებაზე, არამედ მნიშვნელოვნებაზე: შეფასება წარმოადგენს ადამიანის თვალსაზრისს იმის ღირებულებასა და მნიშვნელოვნებაზე, სარგებლიანობასა და მიზანშეწონილობაზე, ესთეტიურობასა და ეთიკურობაზე, რაც აღნიშნება შეფასებითი პრედიკატებით.

შეფასებაში ძირითადი არის არა დამოკიდებულება ობიექტისადმი, როგორც ღირებულებისადმი, არამედ თვალსაზრისი იმის თაობაზე, თუ რამდენად თავსებადი ან არათავსებადია ობიექტის შეფასება ნორმატიულ იდეალთან. ამრიგად, ღირებულება ორიენტირებულია ეტალონზე, ხოლო შეფასება კი - ეტალონთან შედარებაზე.

ბოლო დროის ლინგვისტურ კვლევებში ნათლად იკვეთება ანთროპოცენტრიზმი, რაც გამოიხატება ენის შესწავლის პროცესში ადამიანის ფაქტორზე ორიენტაციაში. ეს ასევე გამოიხატება ისეთ პრობლემათა აქტუალობაში, როგორცაა: მიმართებები ენასა და

ადამიანის სულიერ აქტივობას, ენასა და კომუნიაციას, ენასა და კულტურას, ენასა და ღირებულებებს შორის. ადამიანი მოექცა თანამედროვე ლინგვისტიკის ცენტრში.

თუ ადრე მნიშვნელობის გააზრებაში ჭარბობდა ამ ცნების თეორიული პოსტულირება ლოგიკურ-რაციონალისტურ ან სისტემურ-სტრუქტურულ ასპექტებში (მნიშვნელობა გათანაბრებული იყო ცნებასთან, იდენტიფიცირდებოდა მისი აუცილებელი და საკმარისი ნიშნები, ჭეშმარიტება დგინდებოდა ლოგიკური გამოთვლებით ან მნიშვნელობა აღიწერებოდა როგორც სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა ტექსტების ანალიზის საფუძველზე), უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელობა აღიწერება კონკრეტული ენის მატარებლის გათვალისწინებით - მიმართავენ ენაზე მეტყველ ინდივიდებს, მათ ცნობიერებას. შედეგად კი, გამოვლინდა ინდივიდის განსაკუთრებული მონაპოვარი - მნიშვნელობის სპეციფიკური მახასიათებლები.

თანამედროვე ლინგვისტიკა სრულად ემიჯნება იზოლირებული სიტყვის მნიშვნელობის ინტერპრეტაციას ლოგიკური სემანტიკის პოზიციიდან. თანამედროვე ლინგვისტიკაში სიტყვა ფუნქციონირებს არა თავისთავად, იზოლირებულად, არამედ როგორც პიროვნულად განცდილ სამყაროს ინდივიდუალურ ხატამდე მისასვლელად საჭირო ერთეული, რომელსაც გააჩნია თვისებების, კავშირებისა და ემოციურ-შემფასებლური ნიუნსების მრავალფეროვანი რეპერტუარი.

ენაში ღირებულებათა გამოხატვის პრობლემა საკმაოდ აქტუალურია, ვინაიდან სწორედ ენობრივი მასალა იძლევა კონკრეტულ დროსა და სივრცეში ღირებულებათა იერარქიების ცვლილების ობზერვაციის შესაძლებლობას.

საკმაოდ საინტერესოა შვარცის თვალსაზრისი კულტურასა და ღირებულებებთან დაკავშირებით (<http://www.nplg.gov.ge/gsd1/cgi-bin/library>).

შვარცი აღნიშნავს, რომ არსებობს ასობით ღირებულება, რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოებისთვის ან ცალკეული კულტურული ჯგუფისთვის. მათ შორის ზოგიერთი ყველა საზოგადოებისთვის საერთოა, ზოგიერთი კი - მხოლოდ ცალკეული მათგანისათვის.

შვარცის აზრით, ღირებულებათა ტიპები ორ დონეზეა მოცემული - ინდივიდისა და კულტურის დონეზე.

ყველა კულტურაში არსებობს კონკრეტული ბაზისური ადამიანური ღირებულებები, რომლებიც ასახავს ადამიანის არსებობისათვის უნივერსალურ მოთხოვნილებებს (მაგალითად, ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს). უნდა აღინიშნოს, რომ ბაზისური ადამიანური ღირებულებები ადამიანს გაცნობიერებული მიზნის სახით ეძლევა.

სწორედ ეს, კონკრეტული ღირებულებით გამოხატული მოტივაციური მიზანი განასხვავებს ღირებულებებს ერთმანეთისგან.

ადამიანის არსებობისთვის საბაზისოდ მას მიაჩნია შემდეგი სამი უნივერსალური მოთხოვნილება: ბიოლოგიური, სოციალურ ურთიერთობებში ყოფნის და ჯგუფური ფუნქციონირების მოთხოვნილებები. ამ უნივერსალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, შვარცმა მიზნის მიხედვით გამოყო მოტივაციურად განსხვავებული ათი ღირებულებრივი ტიპი, რომლებიც მოაქცია ათ შესაბამის ჯგუფში. ეს ღირებულებებია:

1. ძალაუფლება - სოციალური სტატუსი, დომინირება ადამიანებსა და რესურსებზე;
2. მიღწევის - პიროვნული წარმატებისკენ სწრაფვა სოციალური სტანდარტების გათვალისწინებით;
3. ჰედონიზმი- ტკბობა (გრძნობითი დაკმაყოფილება);
4. სტიმულაცია - ამაღლვებლობა და სიახლე;
5. Self-ზე მიმართულობა - ფიქრისა და ქცევის დამოუკიდებლობა;
6. უნივერსალიზმი - მთელი ხალხისა და ბუნების საკეთილდღეო გამგებიანობა, ტოლერანტობა, დამცველობა;
7. კეთილგანწყობა (გულმოწყალება) - იმ ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, ვისაც ახლობლად მიიჩნევს;
8. ტრადიცია - კულტურული და რელიგიური ადათ-წესების, იდეების პატივისცემა და გადაცემა - შესრულება;
9. კონფორმულობა - სხვათათვის ზიანის მომტანი და მოლოდინების გამცრუებელი ქცევებისა და იმპულსების შეზღუდვა;
10. უსაფრთხოება - საზოგადოების, ურთიერთობებისა და Self-ის სტაბილურობის დაცვა.

ამ ღირებულებათა სისტემის კონცეპტუალური თვალსაზრისით დასაზუსტებლად შვარცმა ჩამოაყალიბა ღირებულებათა ურთიერთმიმართების დინამიკის თეორია. იგი მიუთითებს, რომ ღირებულებათა ფუნქციონირებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ღირებულებათა ტიპებს შორის თანხმობა/კონფლიქტის დინამიური ურთიერთმიმართება. ჩამოთვლილ ღირებულებათაგან, ქცევებს, ჩვეულებრივ, თან სდევს ფსიქოლოგიური, პრაქტიკული და სოციალური შედეგები; ეს შედეგები შეესაბამება ან ეწინააღმდეგება ღირებულებათა სხვა ტიპებს. მაგალითად, მიღწევაზე ორიენტირებული ქცევა შეიძლება კეთილგანწყობას უპირისპირდებოდეს.

შემდგომში შვარცმა სტრუქტურა წარმოადგინა შემდეგი ორი ბიპოლარული განზომილებით:

1. ცვლილებისადმი გახსნილობა, რომელიც მოიცავს სტიმულაციას და Self-ზე მიმართულობას, უპირისპირდება კონსერვაციას (ტრადიცია, კონფორმულობა, უსაფრთხოება) და Self-ის გაძლიერებას (ძალაუფლება და მიღწევის ორიენტაცია);
2. Self-ტრანსცენდენტულობა (უნივერსალურობა-კეთილგანწყობა) - უპირისპირდება ჰედონიზმს, რომელიც მოიცავს ცვლილებებისადმი ღიაობასაც და Self-ის გაძლიერების ელემენტებსაც.

ბოლო პერიოდის ნაშრომებში შვარცის თეორია ასეთი სახით ჩამოყალიბდა:

ღირებულებების შესასწავლად აუცილებელია შემდეგი სამი ბაზისური სოციეტალური პრობლემის განხილვა:

1. ურთიერთობა ინდივიდსა და ჯგუფს შორის: რამდენადაა პიროვნება ავტონომიური ან ჯგუფში ჩართული?
2. ადამიანის პასუხისმგებლობა: რა მოტივაციითაა შესაძლებელი, გაითვალისწინოს ადამიანმა სხვისი კეთილდღეობა და მასთან შეთანხმების აუცილებლობა?
3. კაცობრიობის როლი ბუნებრივ და სოციალურ სამყაროში: მორჩილება, შეგუება თუ ექსპლოატირება?

მისი აზრით, კულტურული ადაპტაცია მიმართულია ამ პრობლემათა გადაჭრაზე.

ყოველგვარი ადაპტაცია ასახულია ღირებულებათა ურთიერთმოქმედ ქსელში, რომელსაც

შვარცი ღირებულებათა ტიპს უწოდებს. ასეთია ბიპოლარულად აღწერილი სამი კულტურული განზომილება:

1. „კონსერვატიზმი-ავტონომიურობა“ - კონსერვატიზმის პოლუსიდან კულტურაში პიროვნება განიხილება კოლექტივში ჩართულ არსებად; ადამიანი საკუთარ თავს აიგივებს ჯგუფთან და მის პრინციპებს ცხოვრებაში ატარებს. მისთვის დამახასიათებელ ღირებულებათა ტიპებიდან განსაკუთრებული ღირებულებებია: სოციალური წესრიგი, ტრადიციის პატივისცემა, ოჯახის უსაფრთხოება და Self-დისციპლინა; ამ განზომილების ავტონომიური პოლუსიდან პიროვნება განიხილება სრულიად თავისუფალ, ავტონომიურ არსებად.

შვარცი განასხვავებს ავტონომიურობის ორ სახეს: ინტელექტუალურს და აფექტურს. ინტელექტუალური ავტონომიურობისათვის დამახასიათებელია ისეთი ღირებულებები, როგორცაა: ცნობისმოყვარეობა, ჰორიზონტის სიფართოვე, შემოქმედებითობა; აფექტური ავტონომიურობისათვის კი დამახასიათებელია ისეთი ღირებულებები, როგორცაა: დადებითი აფექტების მიდევნება; აღფრთოვანების მომგვრელი, გრძნობითად დატვირთული მჩქეფარე ცხოვრება.

1. „იერარქიულობა/ეგალიტარიზმი“ - ძლიერად იერარქიზებულ კულტურებში მიწერილი როლების იერარქიული სისტემა სამოქმედო მოტივაციას უქმნის სოციალურ სუბიექტს. სოციალიზაციის პროცესი მიმართულია იმაზე, რომ ადამიანმა ღირსეულად შეასრულოს თავის როლებთან დაკავშირებული მოვალეობები. ღირებულებათა ეს ტიპი ასახავს ძალაუფლების, როლებისა და რესურსების - სოციალური ძალაუფლების, ავტორიტარულობის, სიმდიდრის არათანაბარი განაწილების ლეგიტიმურობას; ამისგან განსხვავებით, მაღალი დონის ეგალიტარული კულტურა ინდივიდს განიხილავს მორალურად თანასწორ, ბაზისური ინტერესების სხვასთან გამზიარებელ არსებად - აქ ადამიანები საყოველთაო კეთილდღეობისთვის ერთიანდებიან. ამგვარი ღირებულებების ტიპი ასახავს პირადი ინტერესებიდან აბსტრაქტიზმს და ორიენტაციას თანასწორობაზე, სოციალურ სამართლიანობაზე, თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაზე. სოციალიზაცია იმ კულტურებშია მიმართული ეგალიტარისტულ ღირებულებებზე, სადაც პიროვნება განიხილება თავისუფალ არსებად და არა

ავტონომიურად, რამდენადაც სრულიად ავტონომიურ არსებას არ გააჩნია სხვებისადმი არავითარი მოვალეობები;

2. „ძალაუფლება/ჰარმონიულობა“ - იმ კულტურებში, სადაც ძალაუფლება ძალზე მნიშვნელოვანია, ადამიანი ორიენტირებულია ბუნებისა და სოციალური სამყაროს დამორჩილებასა და შეცვლაზე, კონტროლირებასა და მის გამოყენებაზე პიროვნული ან ჯგუფური ინტერესების სასარგებლოდ. ღირებულების ეს ტიპი ასახავს Self-ის განმტკიცებას ამბიციებით, წარმატებით, კომპეტენციით; ამისგან განსხვავებით, ჰარმონიულობაზე ძლიერად ორიენტირებული კულტურა სამყაროს იღებს ისეთს, როგორც არის და ცდილობს მის შენარჩუნებას ამგვარივე სახით. ღირებულებათა ეს ტიპი ასახავს გარემოში ჰარმონიისკენ სწრაფვას - ბუნებასთან ერთიანობას, გარემოს დაცვას, მშვენიერების სამყაროს.

შვარცი აღნიშნავს, რომ ბოლო პერიოდის თეორიული და ემპირიული კვლევები საკმაოდ ართულებს ვითარებას კულტურათა დასახასიათებლად გარკვეული მახასიათებლების ორაზროვნების გამო. იგი მიუთითებს დიქტომია „ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმის“, როგორც ურთირთსაპირისპირო ღირებულებების, უკმარობაზე. მას შემდეგი არგუმენტები მოაქვს:

1. არსებობს ღირებულებები, რომლებიც ერთნაირად ემსახურება როგორც ინდივიდის, ისე ჯგუფის ინტერესებს და ქცევას ნებისმიერ კულტურაში არეგულირებს, მაგალითად, სიბრძნე;
2. ნებისმიერ თანამედროვე კულტურაში არსებობს მნიშვნელოვანი უნივერსალური ღირებულებები, რომლებიც, თუმცა კი თავისი არსით კოლექტივისტურია, ჯგუფური მაინც არ არის, მაგალითად, სოციალური სამართლიანობა, გარემოს დაცვა, მშვიდობის დაცვა.

ემპირიული კვლევის შედეგები ნათლად უჩვენებს, რომ ზოგიერთი ღირებულება იმათგან, რომლებიც ამ ორი ტიპის კულტურიდან ერთ-ერთის ტიპურ მახასიათებლად მიიჩნევა, სინამდვილეში ორივე ტიპის კულტურისთვის ნიშნადია. მაგალითად, მიღწევის მოტივაციის ძლიერ ტენდენციას, ჩვეულებრივ, უკავშირებენ ინდივიდუალისტურ ორიენტაციებს, მაგრამ იაპონელები და ჩინელებიც ასევე ილტვიან მიღწევისკენ; სხვა საკითხია, რომ

კოლექტივისტებისთვის მიღწევის მოტივაცია უფრო მეტად სოციალურ ჯგუფთანაა დაკავშირებული, ხოლო მიზნის მისაღწევად სხვა საშუალებებია კულტივირებული, მაგალითად, კოოპერაცია და თვითდაკნინებაც კი.

შვარცმა აღნიშნა, რომ გამოკვლევები არ ადასტურებს ინდივიდუალიზმის ნავარაუდევ კავშირს ჰედონიზმთან, ხოლო კოლექტივიზმისა - უსაფრთხოებასთან.

გარდა ამისა, შვარცი გამოყოფს თვით კოლექტივისტური საზოგადოებების სხვადასხვა ტიპს. იგი აღნიშნავს, რომ კოლექტივისტური საზოგადოებები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ როგორ სოციალურ ჯგუფებზე არიან ისინი ორიენტირებული - მცირეზე თუ დიდზე. ამასთან, იგი სთავაზობს სხვა სახელწოდებას ინდივიდუალისტური და კოლექტივისტურის ნაცვლად: შესაბამისად, შემთანხმებლური საზოგადოება და კომუნალური საზოგადოება. ამ შემთხვევაში ანალიზის ერთეულია არა ღირებულებითი მახასიათებლები, არამედ სოციალური სტრუქტურა. იგი მიუთითებს, რომ ინდივიდის ორიენტაცია ინტერესებზე (ჯგუფი, ან Self) საკმარისი არ არის საზოგადოებათა კლასიფიკაციისთვის, რადგან ამ კლასიფიკატორს საერთოდაც აზრი ეკარგება ზოგიერთ კულტურაში; იდეალურ კომუნალურ საზოგადოებებში, მაგალითად, მცირერიცხოვან ტომებში, ინდივიდი ჯგუფთან იმდენად ძლიერად შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული, რომ თავისი ინტერესების მქონე ინდივიდის არსებობა თითქმის წარმოუდგენელია.

შვარცის გამოკვლევებით ვლინდება ღირებულებების სოციალური ფონით გაპირობებულობა. ამასთან, განსხვავებები ვლინდება გარკვეული სოციოლოგიური მახასიათებლების მიხედვით.

მაგალითად, ახალგაზრდები, უფროსებთან შედარებით, მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ღიაობით ღირებულებებს (სტიმულაცია-ჰედონიზმი) და ნაკლებს - კონსერვატიულს (ტრადიცია, კონფორმულობა და ჰედონიზმი); ეს ვითარება ერთა უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი. საერთოდ, ახალგაზრდები უფრო ინდივიდუალისტური ღირებულებების მიდევნების ორიენტაციას ავლენენ, ვიდრე კოლექტივისტურისას.

განათლებულები იმავე ღირებულებებს მისდევენ, რასაც ახალგაზრდები; გამოვლინდა, რომ განათლების ფაქტორი დადებითად ზემოქმედებს Self-ზე მიმართულ ღირებულებებზე და

უარყოფითად - კონფორმისტულ ღირებულებებზე იტალიაში, იაპონიაში, პოლონეთსა და აშშ-ში. მიღწეული სტატუსიც იგივეს მეტყველებს, რასაც განათლება.

და ბოლოს. ქალაქის მცხოვრებნი, სოფლის მცხოვრებლებთან შედარებით, უფრო ინდივიდუალისტურ ტენდენციას ავლენენ, ვიდრე კოლექტივისტურს და მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ცვლილებისადმი ღიაობასა და უნივერსალურ ღირებულებებს, ვიდრე კოლექტივისტურს.

ღირებულებათა სტრუქტურა საკმაოდ ხშირად იცვლება. სწორედ ამ ცვლილებაში აისახება კონკრეტული ეპოქის თავისებურებები და თავად ცვლილების არსიც. ადამიანი არა მხოლოდ ფიქრობს, არამედ მოქმედებს კიდევ. მოღვაწეობის პროცესში იგი ეყრდნობა კონკრეტულ მიზნებს, იდეალებსა და ნორმებს. სწორედ ეს მიზნები, იდეალები და ნორმები ფორმირდება ადამიანის ცნობიერებაში შეფასებებად. შეფასების მიზანია, რომ ობიექტები შეესაბამებოდეს ადამიანის ცნობიერებაში არსებულ სიტყვებს. ამდენად, ღირებულება წარმოადგენს არა საგნის თვისებას, არამედ პიროვნების (სუბიექტის) დამოკიდებულებას კონკრეტული ობიექტისადმი (საგნის ან მოვლენისადმი), სხვა სიტყვებით, ღირებულება არის აზრსა და რეალობას შორის არსებული დამოკიდებულება.

4.2. ენობრივ მონაცემთა კოგნიტურ მონაცემებად ტრანსფორმაცია

კონცეპტის კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ხდება ენობრივი მონაცემების კოგნიტურ მონაცემებად ტრანსფორმაცია. სწორედ აღნიშნულ ეტაპზე ხდება ენობრივ ერთეულთა სემანტიკის დეკსკრიფციის შედეგად მიღებულ მონაცემთა კოგნიტური ინტერპრეტაცია.

ნაშრომში განხორციელდა კონცეპტის „ბედი“ კოგნიტური ინტერპრეტაცია, რაც გულისხმობს ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობის აღწერას განზოგადების უფრო მაღალ დონეზე.

კოგნიტური ინტერპრეტაცია, როგორც კონცეპტის ადეკვატური მოდელირების აუცილებელ პირობა, გულისხმობს კოგნიტურ მაკლასიფიცირებელ ნიშანთა გამოვლენასა და ინტერპრეტაციას.

1. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - გარემოება: “You never know what worse luck your bad luck has saved you from.” - Cormac McCarthy, No Country for Old Men
2. “კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ადამიანის შრომით შექმნილი რამ: “I'm a greater believer in luck, and I find the harder I work the more I have of it” - Thomas Jefferson
3. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ადამიანის ქმედებით განპირობებული რამ: “Concentration attracts luck factor.” - Amit Ray, Yoga and Vipassana: An Integrated Life Style
4. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - შანსი, შესაძლებლობა: “Scientists have calculated that the chances of something so patently absurd actually existing are millions to one.
5. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - დამთხვევა: “He is where he is supposed to be. And yet the place he has found is also of his own choosing. That is a piece of luck not to be despised.” - Cormac McCarthy, The Crossing
6. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ადამიანის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი: “Here's the thing about luck...you don't know if it's good or bad until you have some perspective.” - Alice Hoffman, Local Girls
7. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ცრურწმენა: “Life is not easy. We all have problems—even tragedies—to deal with, and luck has nothing to do with it. Bad luck is only the superstitious excuse for those who don't have the wit to deal with the problems of life.” - Joan Lowery Nixon, In the Face of Danger
8. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ადამიანისაგან ნებისა და ქმედებისაგან დამოუკიდებლობა: “My mother believed in God's will for many years. It was as if she had turned on a celestial faucet and goodness kept pouring out. She said it was faith that

kept all these good things coming our way, only I thought she said "fate" because she couldn't pronounce the "th" sound in "faith".

9. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ადამიანის ნებასა და ქმედებაზე დამოკიდებულება: “Sitting there, it is impossible to change your luck. But, you can always change the machine you are at!” - James Hauenstein
10. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - უმნიშვნელო რამ: “Luck is for those with nothing else. I wish you strength and courage.” - Annette Marie, Unleash the Storm
11. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - რწმენის საწინააღმდეგო რამ: „And later I discovered that maybe it was fate all along, that faith was just an illusion that somehow you're in control. I found out the most I could have was hope, and with that I wasn't denying any possibility, good or bad. I was just saying, If there is a choice, dear God or whatever you are, here's where the odds should be placed.“
12. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - მფარველობა: “I've always believed in luck. I love the fact that people can change their lives instantly.” - Fiona Barton, The Widow
13. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - მოთმინება: “The panic disappeared under those soothing old fingers and the breathing slowed down and stopped hurting the chest as if a fox was caught in it, and then at last Mr. Kroger began to lecture the boy as he used to, Pablo, he murmured, don't ever be so afraid of being lonely that you forget to be careful. Don't forget that you will find it sometimes but other times you won't be lucky, and those are the times when you have got to be patient, since patience is what you must have when you don't have luck. ("The Mysteries of the Joy Rio)” - Tennessee Williams, American Fantastic Tales: Terror and the Uncanny from the 1940's Until Now
14. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - გაურკვეველობა: “Luck is a favorable thing out of an uncertainty.
15. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - შემთხვევითობა: “Fate would have it that the timing of your birth determines your measure of luck. You're either born lucky or you're not, though the only way to know for sure is to test it. The problem with that is

most people find out they're not lucky at the worst possible moment, usually in the throes of death or arrest.” - Tanya Thompson, Red Russia

16. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - არჩევანი: “We can't choose our fate, but we can choose others. Be careful in knowing that.” - J.K. Rowling, Harry Potter and the Order of the Phoenix
17. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - მომავალი: “Knowing too much of your future is never a good thing.” - Rick Riordan, The Lightning Thief
18. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - იმედი, ოცნება: “We dream to give ourselves hope. To stop dreaming - well, that's like saying you can never change your fate.” - Amy Tan, The Hundred Secret Senses
19. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ილუზია: “Happiness, you see, its just an illusion of Fate, a heavenly sleight of hand designed to make you believe in fairy tales. But there's no happily ever after. You'll only find happy endings in books. Some books.” - Ellen Hopkins
20. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - ძალისხმევა: “I'm not a believer in predetermined fates, being rewarded for one's efforts. I'm not a believer in karma. The reason why I try to be a good person is because I think it's the right thing to do. If I commit fewer bad acts there will be fewer bad acts, maybe other people will join in committing fewer bad acts, and in time there will be fewer and fewer of them.” - Daniel Handler
21. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - მოლოდინი, წარმოსახვა: “Fate is shaped half by expectation, half by inattention.” - Amy Tan, The Joy Luck Club
22. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - იდუმალეობა: “Fate is by far the greatest mystery of all.” - Deanna Raybourn, Silent in the Grave
23. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - წინასწარგანსაზღვრულობა: “The ancients believed in Fate because they recognized how hard it is for anyone to change anything. The pull of past and future is so strong that the present is crushed by it. We lie helpless in the force of patterns inherited and patterns re-enacted by our own behavior. The burden is intolerable.” - Jeanette Winterson, Weight: The Myth of Atlas and Heracles

24. კონცეპტის „ბედი“ მაკლასიფიცირებელი კოგნიტური ნიშანი - რეალობა: “Destiny is real. And she's not mild-mannered. She will come around and hit you in the face and knock you over and before you know what hit you, you're naked- stripped of everything you thought you knew and everything you thought you didn't know- and there you are! A bloody nose, bruises all over you, and naked. And it's the most beautiful thing.” - C. JoyBell C.

ნაშრომში განხორციელებულმა ანალიზმა, კერძოდ კი, ტექსტუალურმა მიდგომამ უზრუნველყო ბაზისური კონცეპტის („ბედი“) კოგნიტური მაკლასიფიცირებელი ნიშნების იდენტიფიცირება, საკვანძო სიტყვების გამოყენების კონტექსტთა ანალიზი და საკვლევი კონცეპტის ავტორისეულ ინტერპრეტაციათა თავისებურების გამოვლენა.

კონცეპტი „ბედი“ აკონსტრუირებს სხვადასხვა თემატური განსაზღვრულობის მქონე სივრცეებს - სხვადასხვა ტიპის კოგნიტურ სტრუქტურებსა და მენტალურ რეპრეზენტაციებს.

საკვანძო სიტყვების გამოყენების კონტექსტთა და საკვლევი კონცეპტის ავტორისეულ ინტერპრეტაციათა თავისებურების ანალიზმა მოგვცა საკვლევი კონცეპტის შინაარსობრივი დიაპაზონის განსაზღვრის შესაძლებლობა.

4.3. კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა სპეციფიკა

სიტყვის მნიშვნელობასა და ცნებას შორის არსებული მიმართების განსაზღვრის სირთულე აიხსნება იმით, რომ სიტყვის მნიშვნელობისა და ცნების ანალიზისას საქმე გვაქვს შინაარსობრივი თვალსაზრისის არსთან (ბელკი, ბისბერტი, მაიერი & ჩისელინკი/Belke, Btysbaert, Meyer & Ghyselinck, 2005, გვ. 45-54) (ბოულზი & პუნი/Bowles & Poon, 1985, გვ. 71-77) (კარნეპი/Carnap, 1956, გვ. 258).

მნიშვნელობას გააჩნია განმარტებათა მეტისმეტად ფართე დიაპაზონი, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მიმართებათა სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრას. „მნიშვნელობა“ საკმაოდ რთული ფენომენია ანალიზისათვის, შესაბამისად, საკმაოდ რთულია მისი კონცეპტთან

მიმართების განსაზღვრაც (კროფტი/Croft, 1990) (კოულსონი & ოკლი/Coulson, & Oakley, 2000) (კოულსონი/Coulson, 2001) (კროფტი & კრუზი/Croft & Cruse, 2004).

მნიშვნელობის ანალიზის სირთულის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ანალიზის კონცეპტუალურ და სემანტიკურ სახეობათა სინთეზირების გზით (ჩერტკოვი & ბუბი/Chertkow & Bub, 1990, გვ. 397-417) (კოლემანი/Coleman, 1981, გვ. 26-44) (კოლინზი & ლოფტუსი/Collins & Loftus, 1975, გვ. 407-428).

კონცეპტუალური ანალიზი გულისხმობს კონცეპტის მოდელირებასა და მის სხვა კონცეპტებთან არსებული მიმართების განსაზღვრას, რაც ნიშნავს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვის არსის დესკრიფციას, არამედ მთელი კონცეპტუალური სივრცისა და მასში შემავალ ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა სპეციფიკის გამოლენას (ბარსელოუ/ Barsalou, 1992).

სემანტიკური ანალიზი მიმართულია სიტყვის დენოტატური, სიგნიფიკატური და კონოტაციური მნიშვნელობების დაზუსტებაზე, სხვა სიტყვებით კი, სიტყვის ახსნაზე (თალმი/Talmy, 2000) (დაუმი, რიში, სარტორი & ბირბამერი/Daum, Riesch, Sartori, & Birbaumer, 1996, გვ. 648-665) (იუ & ოსტენდორფი/Uyl & Oostendorp, 1980, გვ. 275-294) (ელისი/Ellis, 2000, გვ. 27-59).

ცოდნის რეპრეზენტაციისა და ენის სტრუქტურებს შორის არსებულ მიმართებათა სრული სპექტრის სიღრმისეული და ადეკვატური კვლევა გულისხმობს კონცეპტსა და მის ენობრივ ობიექტივაციორებს შორის არსებული მიმართების თავისებურებათა კვლევას. ამ ტიპის კვლევის შედეგები იკვეთება სწორედ ენობრივ და კონცეპტუალურ სისტემათა სინთეზში.

კონცეპტის არსის წვდომა შესაძლებელია ენაში მისი ობიექტივიზაციის საშუალებათა ანალიზის გზით. კონცეპტის ნომინაციური ველი წარმოადგენს იმ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის ვერბალიზაცია, რეპრეზენტაცია. (ვილენსკი/Wilensky, 1990).

კონცეპტუალური სფერო შედგება კონცეპტებისაგან, რომელიც არსებობს ცნებების, ფრეიმებისა და სცენარების სახით (ჯაკენდოფი/Jackendoff, 1991). ენის სემანტიკური სივრცე

კონცეპტუალური სფეროს ნაწილია, რომელმაც მიიღო გამოხატულება ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით (ჯაკენდოფი/Jackendoff, 1983).

ენის სემანტიკური სივრცის ელემენტთა შორის არსებული კავშირები ასახავს კონცეპტუალურ სფეროში შემავალ კონცეპტთა შორის არსებული მიმართებების სპეციფიკას. ენის სემანტიკური სივრცე კონცეპტუალური სფეროს ის ნაწილია, რომელიც გამოიხატება კონკრეტული ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით. (ჯაკენდოფი/Jackendoff, 1990) (ბედელი/Bedell, 1974, გვ. 430-432).

კონცეპტუალური სფერო გაცილებით უფრო მოცულობითია, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოიხატულია კონკრეტული ენობრივი საშუალებებით. თუმცა სწორედ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზით არის შესაძლებელი კონცეპტუალური სფეროს სიღრმისეული და ადეკვატური კვლევა. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში, კონცეპტი გააზრებულია ენობრივი მნიშვნელობის პრიზმაში (ლანგაკერი/Langacker, 1998).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კონცეპტის სიტყვიერი ნომინაცია სრულებითაც არ განიხილება კონცეპტის არსებობის აუცილებელ პირობად. (ო'გრეიდი/O' Grady, 1987) (ო'გრეიდი & დობროვოლსკი/O'Grady & Dobrovolsky, 1987, გვ. 190-191). და მაინც, ისიც უნდა ითვას, რომ კონცეპტი მთელი თავისი შინაარსის სისრულით შესაძლოა, გამოიხატოს მხოლოდ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობით (ო'გრეიდი/O' Grady, 1987) (ო'გრეიდი & დობროვოლსკი/O'Grady & Dobrovolsky, 1987, გვ. 171-182). სწორედ კონცეპტის ენობრივი გამოხატულების შესაძლებლობა, მისი ვერბალიზაციის რეგულარულობა უზრუნველყოფს კონცეპტის კომუნიკაციურ რელევანტურობას.

ფრაზათა გაერთიანებას უზრუნველყოფს ელემენტების სემანტიკურ სტრუქტურაში საერთო სემანტიკური მნიშვნელის არსებობა, რაც შემდეგს გულისხმობს:

1. ელემენტებს აერთიანებს მნიშვნელობათა სემანტიკური მსგავსება, ან სიახლოვე;
2. ელემენტებს აერთიანებს მათ შორის სხვადასხვა ტიპის სემანტიკური კორელაციების არსებობა.

ეს კი ნიშნავს, რომ ამ ტიპის მიმართებათა ხარჯზე გაერთიანებულ ელემენტთა მთლიანობაში პრიორიტეტულ მიმართებას წარმოადგენს თემატური ანალოგია.

კონკრეტული შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეულები ერთიანდებიან იმ ტიპის სისტემაში, რომელსაც ძალუმს კავშირების ასახვა. აღნიშნული ტიპის ერთეული წარმოადგენს ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურას - ფენომენტა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის ერთეულს.

სისტემაში კონკრეტული ელემენტების შერჩევა ხდება განსაზღვრული წესების გათვალისწინებით, რაც შემდეგს გულისხმობს: ყველა ელემენტი უნდა შეესაბამებოდეს რომელიმე ერთ კონკრეტულ სფეროს, ყველა ელემენტი კი ერთად აზრობრივად (შინაარსობრივად) უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული.

სისტემაში ფიქსირდება ცნებათა რეპრეზენტაციის შემდეგი ფორმები:

1. რეპრეზენტაციის ფორმა ახასიათებს არა ერთ ინდივიდუალურ ფენომენს, არამედ მასთან ასოცირებულ მრავალ ფენომენს, რაც გულისხმობს ცნებების მრავლობითი რეპრეზენტაციის მოდელის არარსებობას;
2. ფენომენებს შორის არსებული კავშირები უზრუნველყოფს სისტემის მთლიანობას.

თანამედროვე ინგლისურ ენაში საკვლევი კონცეპტისათვის რელევანტური ცოდნის ვექტორების ენობრივი რეპრეზენტაცია ხორციელდება ეროვნული კულტურული კოდით აღბეჭდილი ფრაზეოლოგიური ერთეულების მეშვეობით.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კვლევა ასოცირდება ენის მატარებელი ერის ღირებულებითი ორიენტირების სისტემის კვლევასთან. ერის ცნობიერებაში არსებული ღირებულებითი ორიენტირები წარმოადგენს კულტურული კოდების ერთგვარი ქსელის უმნიშვნელოვანეს კონფიგურანტებს.

კულტურული კოდი წარმოადგენს გარკვეულ მენტალურ-კულტურულ ორიენტირს, რომელიც განსაკუთრებით ნათლად იკვეთება ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ფრაზეოლოგიურ რეპრეზენტატთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტიპის კულტურული კოდების არსებობა:

1. ეთნიკური კოდი წარმოდგენილია შემდეგი ელემენტებით: Not a Chinaman's chance; The best of British luck; Luck of the Irish.
2. ანტროპომორფული კულტურული კოდი ობიექტივირდება შემდეგი ელემენტების მეშვეობით: Fickle finger of fate;
3. კვანტიტატური კულტურული კოდი რეპრეზენტირებულია შემდეგი ელემენტებით: Seven years' bad luck;
4. რელიგიური კულტურული კოდი წარმოდგენილია შემდეგი ელემენტებით: Luck of the Devil; In the lap of the gods;
5. ტემპორალური კულტურული კოდი ობიექტივირებულია შემდეგი ელემენტების მეშვეობით: Good Night and Good Luck.

საკვლევი კონცეპტის შესწავლის შედეგად მიღებულ მონაცემთა სემანტიკურმა ანალიზმა გამოავლინა, რომ საკვლევ ენაში ფრაზეოლოგიურ რეპრეზენტატთა უმრავლესობა ხასიათდება ფრაზეოლოგიური აბსტრაქციის მაღალი ხარისხით, რაც გულისხმობს შემდეგ ფაქტს: ენობრივი რეპრეზენტები ხასიათდება მთლიანობრივი მნიშვნელობითა და ლექსიკურ კომპონენტთა მნიშვნელობის არაავტონომიურობით.

საკვლევი კონცეპტის ენობრივი რეპრეზენტაციის ხარისხი საკმაოდ მაღალია, რასაც ადასტურებს კონცეპტის დიფერენციალური კოგნიტური ნიშნების ფრაზეოლოგიზაციის ფაქტი.

ფრაზეოლოგიური ველი „Luck“ მოიცავს შემდეგ ფრაზეოლოგიურ ელემენტებს: As good luck would have it; As luck would have it; Beginner's luck; Better luck next time; Don't press your luck; Don't push your luck; Down on his luck; Good Night And Good Luck; Hard luck; Have all the luck; Lady luck; Luck of the Devil; Luck of the Irish; Luck of the draw; No such luck; Pot luck; Ride your luck; Seven years' bad luck; Stroke of luck; The best of British luck; Tough luck; Try your luck; Wish me luck as you wave me goodbye; With any luck; You made your own luck; Your luck is in; The luck of the draw.

ფრაზეოლოგიური ველი „Fate“ შედგება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულებისაგან, როგორცაა: Bow to fate; Fate worse than death; Fickle finger of fate; I am the master of my fate; Tempting fate; Twist of fate; Wheel of fate.

ფრაზეოლოგიური ველის „Destiny“ შემადგენლობა აერთიანებს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: Date with destiny.

ფრაზეოლოგიური ველის „Fortune“ რეპერტუარი მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: Fortune favors the brave; Hostage to fortune; I am the master of my fate; Make your fortune; Reversal of fortune; Small fortune; Soldier of fortune; Tell your fortune; The slings and arrows of outrageous fortune; Wheel of fortune.

თანამედროვე ინგლისურ ენაში დასტურდება საკვლევი კონცეპტის ენობრივ რეპრეზენტატორთა მიერ ბედის ფენომენის აღნიშვნის დეტალურობის მაღალი ხარისხი, რაც მიუთითებს ინგლისური ენის მატარებელთა ცნობიერებაში საკვლევი ფენომენის აქტუალურობაზე.

საკვლევ ენაში კონცეპტის „ბედი“ ღირებულებით მნიშვნელოვნებაზე მეტყველებს კონცეპტის ნიშნობრივი აღნიშვნის მაღალი პოტენციალი, რაც გამოიხატება ენობრივ რეპრეზენტატორთა მრავალფეროვნებაში.

კონცეპტუალური სივრცის ფორმირება გულისხმობს:

1. სინამდვილის შემეცნების შედეგად მიღებულ მონაცემთა განზოგადების პროცესს;
2. იმ ენობრივ საშუალებათა შერჩევასა და გამოყენებას, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის აქტივიზაცია ენის მატარებელთა შემეცნებაში.

ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც შედის კონცეპტის ნომინაციურ ველში, უზრუნველყოფს კონცეპტის მთელი სისრულით აღწერის შესაძლებლობას ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის განხორციელებისას:

1. კონცეპტის პირდაპირი ნომინაციები (კონცეპტის ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატი, რომელის სახელსაც არქმევს მკვლევარი კონცეპტსა და ნომინაციურ ველს);

2. კონცეპტის წარმოებული ნომინაციები (გადატანითი მნიშვნელობები);
3. ერთფუძიანი სიტყვები, რომლებიც განეკუთვნებიან მეტყველების სხვადასხვა ნაწილს და სიტყვათწარმოებითი თვალსაზრისით დაკავშირებული არიან კონცეპტის ვერბალიზაციის ძირითად ლექსიკურ საშუალებებთან;
4. კონტექსტუალური სინონიმები;
5. ოკაზიონალური ინდივიდუალურ-ავტორისეული ნომინაციები;
6. ბირთვული სიტყვის სინონიმური მყარი სიტყვათშეთანხმებები;
7. ფრაზეოლოგიზმები, რომელნიც მოიცავენ კონცეპტის სახელწოდებას;
8. ანდაზები, ხატოვანი თქმები და აფორიზმები (უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ერთეულები ყოველთვის ვერ ასახავს ენის მატარებლის ცნობიერების თანამედროვე მდგომარეობას, ამდენად მათი გადამოწმება აუცილებელია);
9. მეტაფორული ნომინაციები;
10. შედარება, რომელიც მდგრადია კონკრეტულ დროსა და სივრცეში - მყარად ასოცირდება ბირთვულ სიტყვასთან;
11. თავისუფალი სიტყვათშეთანხმებები, რომელიც ასახელებს კონცეპტისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ თვისებას.

4.4. კონცეპტი „ბედი“ როგორც ლინგვოკულტუროლოგიური უნივერსალია და „ბედის“ სემანტიკური ფრეიმი თანამედროვე ინგლისურ ენაში

ბედი წარმოადგენს კულტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. მიუხედავად სამყაროზე ადამიანის წარმოდგებათა მუდმივი ცვლილებისა, ბედის ფენომენი არ ქრება ადამიანთა მენტალური სივრციდან.

ბედის ფენომენი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბედის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენის, შემდეგი სამი ინტერპრეტაცია:

1. მითოლოგიური ფატალიზმი, რომელიც გულისხმობს წინასწარგანსაზღვრულობას როგორც ირაციონალურ, გაუნცნობიერებლ ქმედებას, ბოროტების საწყისის ხატს;

2. რაციონალისტური პოზიცია, რომელიც განიხილავს წინასწარგანსაზღვრულობას მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კონტექსტში. აქ „არათავისუფლება“ წარმოდგენილია არა მითის, არამედ ადამიანის ქმედებათა სისტემის შედეგის სახით;
3. თეოლოგიური პოზიცია, რომელიც გულისხმობს ყოვლისშემძლე ღმერთის ნებასთან გაიგივებულ, აბსოლუტურ წინასწარგანსაზღვრულობას.

ეპოქისა და კაცობრიობის განვითარების ეტაპის გათვალისწინებით, ბედის ფენომენი ინტერპრეტირდებოდა აღნიშნულ პოზიციათა პრიზმაში. რაციონალისტური პოზიცია აღორძინების ეპოქის ფილოსოფოსთა მიერ. ო. შპენგლერის თანახმად, ბედი წარმოადგენს „თავად ცხოვრების შინაგან ლოგიკას, მის სიღრმისეულ კანონზომიერებას, რომელიც გამომდინარეობს თავად ცხოვრებიდან“ (შპენგლერი/Шпенглер, 1993, გვ. 156).

თეოლოგიური სწავლება უკავშირდება სხვადასხვა რელიგიას. აღნიშნული პოზიციის თანახმად, ადამიანის ცხოვრებას აკონტროლებს ღვთიური ძალა. აქ ბედი გააზრებულია არა წინასწარგანსაზღვრულობად, არამედ - ღვთიურ ძალად, რომელიც განსაზღვრავს ცხოვრებას. რელიგიურ ტექსტებში „ბედი“ წარმოადგენს „ცხოვრების“ სინონიმს.

სამყაროს ენობრივი ხატისა და მისი ძირითადი კონსტრუქტის - კონცეპტის - კვლევის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე ლინგვისტიკაში ენის როლის გადააზრებით კულტურის შექმნის პროცესში. სამყაროს ხატი (ენობრივი ხატის ჩათვლით) კონსტრუირდება სამყაროზე ადამიანის წარმოდგენათა კვლევის საფუძველზე. სამყარო არის ადამიანი და მისი ყოფიერების სივრცის ურთიერთქმედება. ლინგვოკულტუროლოგიურ პრობლემათა კვლევამ საფუძველი ჩაუყარა ენისა და კულტურის მიმართებათა წვდომის სრულიად ახალ პერსპექტივებს.

ენის მეშვეობით შესაძლებელია ამა თუ იმ ერის მენტალიტეტის, მსოფლხედვისა და ცხოვრების სტილის ამოცნობა. სამყაროს ენობრივ ხატში სრულად აირეკლება კონკრეტული ეთნოსის კულტურულ და მორალურ ღირებულებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია: ენაში აირეკლება ექსტრალინგვისტური სინამდვილის ის ნიშნები, რომელებიც რელევანტურია ამა თუ იმ კულტურის მატარებელთათვის.

კოგნიტურ ლინგვისტიკაში ერის აზროვნების მანერა, მენტალიტეტი აღინიშნება ტერმინით „კონცეპტუალური სფერო“. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს იმ კონცეპტთა ერთობლიობას, რომელიც სრულად ასახავს ამა თუ იმ ერის უნივერსალურ თუ უნიკალურ მახასიათებლებს.

კონცეპტი წარმოადგენს თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთ ბაზისურ ცნებას. კონცეპტი არსებობს ადამიანის მენტალურ სამყაროში კონკრეტული ცნებების, ცოდნის, ასოციაციები სახით. ცნებებისაგან განსახვავებით, კონცეპტი არ გაიაზრება, იგი განიცდება.

კონცეპტი „ბედი“ წარმოადგენს ეროვნული და ინდივიდუალური ცნობიერების ბირთვის, კულტურის საკვანძო სიტყვას, რომელშიც ვლინდება:

1. თავისუფლებისა და აუცილებლობის კატეგორიები;
2. ადამიანის გონების მცდელობა, გაიაზროს ძალის არსი, რომელიც განაგებს არა მხოლოდ ადამიანის ცხოვრებას, არამედ წესრიგს მთელ სამყაროში.

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ:

1. კონცეპტი „ბედი“ განეკუთვნება ბაზისურ კონცეპტთა რიცხვს - იგი მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებასა და ცნობიერებაში. მისი მნიშვნელობა იკვეთება ისეთ ბინარულ ოპოზიათა ფონზე, როგორცაა: აუცილებლობა და შეთხვევითობა; წინასწარგანსაზღვრულობა და თავისუფლება; გაცნობიერებულობა და არაპროგნიზირებადობა; თანდაყოლილი და შეძენილი; აქტიურობა და პასიურობა; ცვალებადობა და უცვლელობა; რაციონალურობა და ირაციონალურობა; საყოველთაობა და ინდივიდუალურობა; სამართლიანობა და უსამართლობა; მთლიანობრიობა და ფრაგმენტულობა;
2. კონცეპტი „ბედი“ წარმოადგენს მრავალგანზომილებიან მენტალურ კონსტრუქტს, რომელსაც გააჩნია რთული სტრუქტურა;
3. კონცეპტის „ბედი“ ცნებობრივ შემადგენელს წარმოადგენს სამყაროში დეტერმინატორ ძალთა არსებობის იდეა. აღნიშნული ტიპის ძალები განსაზღვრავენ ადამიანის ცხოვრების გზას;

4. კონცეპტის „ბედი“ ხატობრივ შემადგენელს წარმოადგენს გემტალტი „ძალა“, რომელიც ამომრავებს ადამიანს ცხოვრების გზაზე, აძლევს და ართმევს მას „რადაცას“. ეს არის ძალა რომელსაც ძალუმს განსჯა და ფლობს სასჯელის აღსრულების საშუალებებს. ბედი არის „ძაფი“, „გზა“, „მდინარე“, „სასწორი“;
5. კონცეპტის „ბედი“ მნიშვნელოვნება ვლინდება მისი სინონიმური და სიტყვათწარმოებითი ქსელის შთამბეჭდავ მოცულობაში;
6. კონცეპტის „ბედი“ სინონიმური რიგი მოიცავს შემდეგ ელემენტებს: destiny, fate, chance, fortune, lot, predestination, doom, foredoom, star, weird, kismet;
7. წინასწარგანსაზღვრულობის იდეა წარმოდგენილია შემდეგი სინონიმებით: foredoom, foreordination, predestination, preordination, predetermination;
8. შემთხვევითობისა და თამაშის იდეა იბიექტივირებულია შემდეგი სინონიმებით: lot, allotment (ხვედრი).
9. ინგლისურ ენაში მკვეთრად დიფერენცირებულია ბედის „დადებითი“ და „უარყოფითი“ მნიშვნელობები. სასურველი მოვლენები აღინიშნება სიტყვებით „fortune“ და „chance“, ხოლო არასასურველი მოვლენები კი - სიტყვებით „fate“ და „doom“;
10. ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტის „ბედი“ ძირითადი ეროვნული მარკერი დაკავშირებულია ბედის გააზრების ორ „პოლუსთან“. სწორედ მათკენ მიისწრაფვის საკვლევის კონცეპტის ვერბალიზაციის ყველა ერთეული: fate (destiny, doom) და fortune (chance, luck);
11. პირველი „პოლუსის“ მარკერს წარმოადგენს „დასასრულის“ იდეა, მეორე „პოლუსი“ კი მარკირებულია „შემთხვევითობისა“ და „გამართლება-არგამართლების“ იდეებით;
12. ინგლისური მენტალიტეტს ახასიათებს მისტიციზმის დაბალი დონე, ადამიანის ძალისხმევის პრიორიტეტულობა და პრაგმატიზმი.

ბუნებრივია, ჩნდება გარკვეული შეკითხვები: რა ტიპის ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურას წარმოადგენს სემანტიკური ფრეიმი? რა ტიპის ცოდნა იგულისხმება ფრეიმისათვის რელევანტური ცოდნაში? - პასუხები ამ შეკითხვებზე შემდეგნაირად ჟღერს: სემანტიკური ფრეიმისათვის რელევანტური ცოდნა გულისხმობს ადამიანის პრაქტიკული საქმიანობისა და გამოცდილების საფუძველზე მიღებულ საგნობრივი სფეროს

კანონზომიერებებს. აღნიშნული კანონზომიერები კი მოიცავს პრინციპებს, კავშირებსა და კანონებს.

სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს ღრმა ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურას. აღნიშნული ტიპის ცოდნა გულისხმობს მოცემულ საგნობრივ სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველ აბსტრაქციებსა და სქემებს (გაინსი/Gaines, 1997, გვ. 627-649). სწორედ ღრმა ცოდნა ხსნის ამა თუ იმ მოვლენის არსს და უზრუნველყოფს მოვლენათა და ობიექტების ქცევის პროგნოზირების ადეკვატურობას (გაინსი/Gaines, 1993, გვ. 48-58), (კაროლი/Carroll, 1999, გვ. 41-64).

ეფუძნება რა აღქმის მთლიანობის პრინციპს, სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს გარემომცველი სამყაროს პროცესებისა და მოვლენების გაგების საფუძველს. ცოდნის სხვადასხვა ტიპის ფრაგმენტის გამოვლენისას გათვალისწინებულია ფრაგმენტის გეშტალტი, რომელიც განსაზღვრავს დანარჩენ კომპონენტებს და აერთიანებს მათ სტრუქტურულ ერთეულში. ფრაგმენტები არ არიან ერთმანეთისაგან იზოლირებული - ისინი ურთიერთქმედებენ, ამასთან მათი ურთიერთქმედება ატარებს ერთიან სისტემურ ხასიათს.

განვიხილოთ კონცეპტის „ბედი“ ვერბალური რეპრეზენტაციები ლექსიკონებში: fate – the things that happen to someone or something, especially unpleasant things that end their existence or end a particular period; a power that is believed to control what happens in people’s lives; death, destruction, or ruin; a calamitous or unfavorable outcome or result; death, destruction, or downfall (“Longman Dictionary of Contemporary English”, “Macmillan English Dictionary for Advanced Learners”, “Oxford English Dictionary”).

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ „ბედის“ ლექსიკურ-სემანტიკური ველის საფუძველს წარმოადგენს ბაზისური ლექსემა, რომელიც წარმოდგენილია არსებითი სახელით „fate“.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი მხატვრული ტექსტებიდან:

“Well, I’m not yours and I thank God for it”, she hissed. “I wouldn’t wish a more loathsome fate on my worst enemy, and I would be obliged if you would not hold me so tightly” (A. Howard, “Rivers of the Heart”);

Did not the Moorpalanis have a compelling motive? And not by chance did they have the opportunity, and the means. But mostly they agreed that it was a tragic fate (J. Essberger, “The Chapel”);

... he did not believe men were under any blind impulse or direction of fate, but that every man acted merely from the force of that passion which was uppermost in his mind, and could do no otherwise (H. Fielding, “Amelia”).

ახლო პერიფერია წარმოდგენილია შემდეგი ელემენტების რეპერტუარით: destiny (“The destiny of this poor man is, indeed, unhappy enough,” said Robinson. “He hath served his country, lost his limb, and received several wounds at the siege of Gibraltar...” (H. Fielding, “Amelia”)); doom (e.g. She was right. He did see nothing at all. Misery! He’d missed it. It was too late to do anything now. Was it too late? Yes, it was. A cold snatch of hateful wind blew into the garden. Curse doom! He heard her cry “au revoir” and the door slammed (A. Howard, “Rivers of the Heart”)); share (e.g. While the water was heating, Ma Parker began sweeping the floor. “Yes,” she thought, as the broom knocked, “what with one thing and another I’ve had my share. I’ve had a hard life” (K. Mansfield, “Life of Ma Parker”)); fortune (e.g. Some years ago George set off for New York to make his fortune. He didn’t come back (O. Henry, “The Last Leaf”).

შორეული პერიფერია წარმოდგენილია შემდეგი ელემენტების რეპერტუარით: chance (“Only I think of our happening o meet him! How very odd! It was a life, it was a chance!” (J. Austen, “Emma”)); circumstance (e.g. It was a happy circumstance, and animated Mr. Woodhouse for some time (J. Austen, “Emma”)); luck (e.g. A surprising run of luck in a gamester is often mistaken for somewhat else by persons who are not over-zealous believers in the divinity of fortune (H. Fielding, “Amelia”).

ფრეიმში გამოვლენილია მოდელირებადი ფენომენის შესახებ არსებულ მონაცემთა ერთობა. ფრეიმი შედგება კვანძებისა და მათ შორის არსებული კავშირებისაგან. ყოველი კვანძი წარმოადგენს გარკვეულ ცნებას.

ნათლად წარმოდგენილ კვანძთა ერთობლიობა ქმნის ფრეიმით წარმოდგენილი ფენომენის „გაგების“ საფუძველს. „გაგება“ ხორციელდება ტერმინალების კონკრეტიზაციის, ასევე ტერმინალთა რეალურ სამყაროში არსებულ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით.

ფრეიმი შეიძლება წარმოვიდგინოთ ქსელის სახით, რომელიც შედგება კვანძებისა და მათ შორის არსებული კავშირებისაგან. თითოეული კვანძი შევსებულია თავისი „მისიით“ - დავალებით, სხვა სიტყვებით, კონკრეტული ფენომენის მახასიათებლებით.

ფრეიმში გამოიყოფა ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში მყოფი დონე. ცნებათა უმრავლესობა ქმნის იერარქიულ ქსელს. აღნიშნული ქსელის სტრუქტურული თავისებურება - გრადუალურობა - განპირობებულია ადამიანის მეხსიერებაში აკუმულირებულ ცნებათა შორის არსებული ურთიერთკავშირით.

მხატვრულ ტექსტებში კონცეპტის „fate“ ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე კონცეპტუალური ხაზი:

1. ბედი გააზრებულია როგორც უზენაესი ძალა, რომელიც განაგებს ადამიანის ცხოვრებას: „God knows what is to happen to her, for if ever a girl needs a strong – and – dare I say it – lusty husband, it is Kitty (A. Howard, “Rivers of the Heart”);
2. ბედი მიჩნეულია როგორც მოთამაშე: She knew it had not been her fault. The devil, for that was what Ben Maddox was, had taken her by surprise, taken a liberty and she had been livid about it (A. Howard, “Rivers of the Heart”).

ადამიანებს ყოველთვის სჯეროდათ, რომ ხელსაყრელი მოვლენები ღმერთის წყალობა იყო, ხოლო განსაცდელსა და მარცხს კი ადამიანს უგზავნიდა ეშმაკი, რომელიც განაგებდა კიდევ მის ცხოვრებას.

1. ბედი, რომელიც ღმერთმა აჩუქა ადამიანს: “We were speaking of it only yesterday, and agreeing how fortunate it was for Emma, that there should be such a girl in Highbury for her to associate with (J. Austen, “Emma”).

ინგლისელებს, როგორც მორწმუნეთ, სჯერათ, რომ ღმერთი გულუხვი და მოწყალეა; იგი პატიობს ადამიანებს ცოდვებს და უჩვენებს მათ ცხოვრების სწორ გზას.

1. ტრაგიკული ბედი: „Rosabel shivered, drew a little gasping breath, sat up. And because her fate was that tragic optimism, which is all too often the only inheritance of youth, still half asleep, she smiled, with a little nervous tremor round her mouth (K. Mansfield, “The Tiredness of Rosabel”);
2. ბედი, რომელსაც განსაზღვრავს სხვა ადამიანები: „My dear brother Freddy told me years ago where we had all come from, me and him and Ciara, I mean, though the others had more luck being born in wedlock (A. Howard, “Rivers of the Heart”).

ბაზისური კონცეპტი “fate” და მისი პერიფერია იძენს დამატებით მარკერებს, დადებით და უარყოფით თვისებებს ასოციაციური კავშირების, ანდაზების, სენტენციების, სტილისტური მექანიზმებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების წყალობით:

1. პერსონიფიკაცია (To speak a bold truth, I am, after much mature deliberation, inclined to suspect that the public voice hath, in all ages, done much injustice to Fortune, and hath convicted her of many facts in which she had not the least concern (H. Fielding, “Amelia”);
2. მეტაფორა (I hope, sir, no very dreadful accident is the cause of your coming hither; but, whatever it was, you may be assured it could not be otherwise; for all things happen by an inevitable fatality; and a man can no more resist the impulse of fate than a wheelbarrow can the force of its driver (H. Fielding, “Amelia”);
3. ფრაზეოლოგიზმები (Dumbledore: “We both know there are other ways of destroying a man, Tom. Merely taking your life would not satisfy me, I admit”. Voldemort: “There is nothing worse than death, Dumbledore!” (J.K. Rowling, “Harry Potter”);
4. ანადაზები და სენტენციები (There is no flying from fate. (Proverb); We create our fate every day we live. (Henry Miller); Men are not prisoners of fate, but only prisoners of their own minds. (Franklin D. Roosevelt); As we move through life, the force of fate creates events that we only appreciate when we reflect on our existence. (Ronald Harmon).

მალასის ანალიზმა მოგვცა შემდეგი დასკვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობა:

1. კონცეპტის „ბედი“ ცნებობრივი ელემენტის შინაარსს ქმნის მნიშვნელობა „გარეგანი ძალის არსებობა, რომელიც წარმოადგენს მოვლენათა მიზეზს; წინასწარგანსაზღვრულობა არის ის, რაც არ ექვემდებარება ადამიანის კონტროლს“. საკვლევი კონცეპტის ცნებობრივი ელემენტის შინაარსს ასევე ქმნის: დასასრულის,

- სიკვდილის, ნგრევის (fate, doom), მომავლის (fate, destiny), ლოგიკურობის, თანმიმდევრულობის (fate), კანონიერების (doom) და შემთხვევითობის (fortune, luck, chance), სიმდიდრის, კეთილდღეობის, წარმატების (fortune) ნიშნები;
2. განიხილება რა ძალად, რომელიც განსაზღვრავს მოვლენათა მიმდინარეობას, ბედი ხშირად გააზრებულია სულიერ არსებად (fate, destiny, fortune, providence). ეს ძალა შედის გარკვეულ ურთიერთობებში ადამიანთან, ეხმარება და ეწინააღმდეგება ადამიანს, აძლევს და ართმევს მას რაღაცას. ადამიანი კი აფასებს ამ ძალას დადებითად და უარყოფითად;
 3. არსებობს შემთხვევები, როდესაც ბედი დაკავშირებულია სასამართლოსთან, გადაწყვეტილების მიღებასთან, სასჯელის გამოტანასა და აღსრულებასთან (fate, doom);
 4. ინგლისურ ლინგვოკულტურაში დადებითად ფასდება ამ ძალის მიმართ პროტესი;
 5. ბედი განიხილება საგნად, ობიექტად, ნივთიერებად, სუბსტანციად (fate, destiny, lot, luck, fortune, chance). ამ შემთხვევაში ბედი ან ეცემა, ეძლევა ადამიანს ზემოდან, ან არის წინ და ხვდება ადამიანს გარკვეულ მომენტში, ადამიანი ბედს ან ეძებს და გაურბის, ან უკვე აქვს ბედი. ბედზე ზემოქმედება ადამიანსაც ძალუძს;
 6. ბედი გააზრებულია როგორც კავშირი, ტექსტი, სასწორი, მდინარე, დრო, მიზანი;
 7. ხშირად ფიქსირდება ისეთი გემტალტის არსებობა, როგორცაა: „სიკვდილი“, „დასასრული“, „უარყოფითი შედეგი“;
 8. განსაკუთრებულ ჯგუფს, გამოყენების მაღალი სიხშირის თვალსაზრისით, ქმნის შემდეგი სინონიმურ ჯგუფი: fortune, luck და chance. მათ მიღმა არსებული ცნება გააზრებულია როგორც ძალა, რომელიც ხასიათდება არაპროგნოზირებადობით: ადამიანი ვერ გეგმავს მასთან შეხვედრას - ეს შეხვედრა ყოველვის შემთხვევითი და უცაბედია. მაგარამ იმავდროულად, ის რაც იკვეთება ამ ერთულთა მიღმა, გულისხმობს ადამიანის შემდგომ ქმედებათა აქტიურობას - ადამიანს შეუძლია გამოიყენოს ან ხელიდან გაუშვას შესაძლებლობა, შანსი. კონცეპტის „ბედი“ აღნიშნული იპოსტასის მაჩვენებელს წარმოადგენს ზმნის “try” (ცდა) ხშირი გამოყენება სიტყვასთან “luck”;
 9. ბედი დაკავშირებულია ადამიანის მიერ სამყაროს მთლიანობის, მასში გარკვეული წესრიგისა და თანმიმდევრობის, მუდმივი ცვლილებისა და გარდაქმნის აღქმასთან;
 10. წარმოდგენები ბედზე მომდინარეობს ადამიანის არაცნობიერის სიღრმისეული არქეტიპული სტრუქტურებიდან, რომლებიც ქმნიან აზროვნებისა და კულტურის ფუნდამენტურ დონეს. ერთ-ერთ ასეთ არქეტიპულ ხატს წარმოადგენს ცხოვრების ხე,

მსოფლიო ხე - მსოფლიო წესრიგის სიმბოლური სახე ძველი ქვეყნების ხალხთა მითოლოგიაში. იგი განასახიერებდა სამყაროს მთლიანობას, ქვეყნიერების ნაწილთა ურთიერთკავშირს, რომელიც ორგანიზებული, სივრცობრივი სტრუქტურის სახით იყო წარმოდგენილი. სამყაროს მთლიანობა განხილული იყო როგორც ერთმანეთის საპირისპირო ნიშანთა მქონე ელემენტების ერთობლიობა (მაგ: ზესკნელი - ქვესკნელი), რითაც განსხვავდებოდა პირველადი სუბსტანციისაგან, უფორმო ქაოსისაგან. უძველესი შეხედულებების თანახმად, ცხოვრების ხე დგას სამყაროს ცენტრში და გაივლის კოსმოსის სამ სარტყელს: ფესვები მოქცეულია ქვესკნელში, ტანი სკნელზე (მიწის პირზე) დგას, ხოლო წვერი ზეცაშია. ამ ელემენტების უძველესი სიმბოლიკა ცხოველური სახისა იყო. თუ ცხოვრების ხის წვერსა და ტანს გამოხატავდნენ ფრინველისა და ცხოველის სახით (ხშირად ადამიანის სახითაც), ფესვებს ანუ ქვესკნელს განასახიერებდა თევზი, ქვეწარმავალი და ა.შ. მოგვიანებით წარმოიქმნა უფრო განზოგადებული სიმბოლური მწკრივი, რომელიც ცხოვრების ხეს წარმოადგენდა დროში განფენილად (წარსული, აწმყო, მომავალი) ან სამყაროს ელემენტთა კავშირის სახით (წყალი, მიწა, ცეცხლი).

მითოლოგიურ ცნობიერებაში მსოფლიო ხე მიჯნავს ერთმანეთისაგან კოსმიურ და ქაოსურ სამყაროებს. კოსმიური სამყარო ასოცირდება მატერიის ორგანიზებულობასთან, დროსა და სივრცესთან, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ განზომილებებთან;

11. კონცეპტი „ბედი“ დაკავშირებულია ვერტიკალთან (უზენაეს „ზემო“ ძალასთან, რომელიც უგზავნის ადამიანს რაღაცას), ჰორიზონტალთან (ცხოვრების გზა, ყველაფერი ის, რაც ადამიანს ხდება ცხოვრების გზაზე) და მატერიასთან. ბედი ასოცირდება მოძრაობასთან, ადამიანის ცვლილებასთან, ასევე დროის მონაკვეთებთან, რომლებშიც შესამჩნევი ხდება ეს ცვლილება. ამრიგად, ბედი გააზრებულია დროისა და სივრცის კატეგორიათა მეშვეობით;
12. კონცეპტი „ბედი“ ეფუძნება გარკვეულ წარმოდგენებს სამყაროში საყოველთაო კავშირების შესახებ. სწორედ ამ კავშირებს ექვემდებარება ყველაფერი, მათი წყალობით ცხოვრება განიხილება მოვლენათა ჯაჭვად. აღნიშნული კავშირები ასევე გულისხმობენ სასამართლოს იდეას. სასამართლო მიიჩნევა ადამიანის მიერ დარღვეული ჰარმონიის აღდგენის საშუალებად;

13. ბედი წარმოადგენს ცხოვრების ძაფებს, რომლებიც ჩართულია ტექსტის ერთიან ქსოვილში. აქ სრულიად კანონზომიერი ჩანს ბედის ასოცირება სიტყვასთან, ტექსტთან და მეტყველებასთან;
14. ინგლისური ენის თანამედროვე მატარებელთა თვალსაზრისით, ბედს ნაკლებად უნდა მიენდო - საჭიროა მოქმედება.

კონცეპტთა კვლევა იძლევა კოგნიტური პროცესების, ადამიანის მენტალური სამყაროს გააზრების შესაძლებლობას. ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან სწორედ კონცეპტი წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს კონცეპტუალიზაციის საფუძველს. კონცეპტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მარკერს კი მისი ეთნოკულტურული დეტერმინირებულობა წარმოადგენს.

ბედი და ბედისწერა ადამიანური გამოცდილების უნივერსალიებია. ადამიანებს ყოველთვის არ შეუძლიათ აკეთონ ის, რაც უნდათ და მათ იციან ამის შესახებ. გარკვეულწოდ, მათ ცხოვრებას აყალიბებს ძალები, რომლებიც არ ექვემდებარება მათ კონტროლს. ეს ისეთივე ნათელი და უნივერსალური ფაქტია, როგორც ის, რომ ადამიანი მოკვდავია. სწორედ ამიტომ, კონცეპტის „სიკვდილი“ მსგავსად, კონცეპტის „ბედი“ არსებობა ფიქსირდება ყველა კულტურაში და პოულობს თავის გამოხატულებას ყველა ენაში.

ჰილასის აზრით, „ჭეშმარიტად იდეალისტურმა ფსიქოლოგიამ უნდა აღიაროს მორჩილების ფენომენი, ადამიანზე იმქვეყნიურ ძალთა ზეგავლენა და ის, რომ ადამიანი იძულებულია, აკეთოს რაღაცეები, რისი გაკეთებაც არ სურს. აქედან მომდინარეობს ისეთ ცნებათა უნივერსალურობა, როგორიცაა: ბედი, წინასწარგანსაზღვრულობა, კარმა და უნებლიობა“ (ჰილასი, Heelas, 1981, გვ. 190-191).

მკვლევარები ადასტურებენ, რომ ყველა ენასა და კულტურაში არსებობს ინგლისური სიტყვების „fate“ (ბედი) და „destiny“ (ბედისწერა) მეტ-ნაკლებად მსგავსი სიტყვები (ჰასტინგსი/Hastings, 1908-1926, გვ. 279), (ფორტესი/Fortes, 1959, გვ. 157), (კოვანი/Cowan, 1910, გვ. 238), (დიქსონი/Dixon, 1980, გვ. 237), (დონერი/Dorner, 1908-1926, გვ. 169).

დიდ ინტერესს იწვევს სიტყვების ბედი (fate) და ბედისწერა (destiny) სემანტიკური დატვირთვის თავისებურება.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ინგლისური ენის ლექსიკონებში შეიმჩნევა საკმაოდ დიდი დაბნეულობა, როცა საქმე ეხება ბედის (fate) და ბედისწერის (destiny) დიფერენცირების საკითხს.

მაგალითად, SOED - ი განმარტავს სიტყვას „destiny“, როგორც „იმას, რასაც უწერია მოხდენა. იგივე განმარტება აქვს სიტყვას „fate“ (Shorter Oxford English Dictionary. Oxford University Press.1964).

ა. ვეუბიცკას თვალსაზრისით, ჩ. სმიტის სინონიმების ლექსიკონში ბევრი ძალიან ღირებული მიგნებაა დაფიქსირებული: „ბედისწერის (destiny) (დანიშნულების-წინასწარგანსაზღვრულობის) იდეა გულისხმობს სიდიადისა და უცვლელობის იდეას. “Destiny” გამოიყენება არა ცხოვრების დეტალებთან, არამედ მთელი ცხოვრების მიზანთან მიმართებაში. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ილაპარაკოს თავის ბედზე (fate ან lot), მაგრამ ლაპარაკი ბედისწერაზე (destiny -დანიშნულებაზე-წინასწარგანსაზღვრულობაზე) შეუძლია მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც გავლილი აქვს ცხოვრების მნიშვნელოვანი გზა (ვეუბიცკა/Wierzbicka, 1992).

ვიდრე სიტუაცია, რომელშიც იმყოფება ადამიანი, წარმოადგენს გაუცნობიერებელ მიზეზთა - მატერიალური სამყაროს კანონების მოქმედების შედეგს, ჩვენ ვლაპარაკობთ მის ბედზე (fate), ხოლო როდესაც ადამიანის მდგომარეობას განვიხილავთ როგორც უფრო ძლევამოსილ ძალთა (არსებათა) ქმედების შედეგს, ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანის ბედისწერაზე (destiny) (სმიტი/Smith, 1970).

“Fate” - დეტერმინისტული კონცეპტია. იგი გამოიყენება იმასთან მიმართებაში, რაც „ხდება“, რაც გარდაუვალი, შეუქცევადი, არაკონტროლირებადი და განსაზღვრულია წინა მოვლენებით.

თანამედროვე ინგლისურ ენაში სიტყვა „fate“ არ გულისხმობს მოვლენათა მიღმა მიწვდომელი საიდომლოს არსებობას. თუ ამ სიტყვას კიდევ შერჩა იმქვეყნიური სამყაროს არსებობის შესახებ წარმოდგენებთან დაკავშირებული კონოტაცია, ეს უკანასკნელი საკმაოდ სუსტია.

როგორც ა. ვეუბიცკა აღნიშნავს, „ამ სიტყვაში იგრძნობა ინგლისური ემპირიზმი და სკეპტიციზმი, ჰობსის, იუმისა და ლოკის იდეები და ეს სიტყვა სრულიად ორგანულად ეწერება მეცნიერული დისკურსის კონტექსტში. ბიბლიოთეკის კატალოგში გვხვდება წიგნები შემდეგი სახელწოდებებით: The fate of drugs in the organism (ნარკოტიკები ადამიანის ორგანიზმში), Fate of pesticides in the environment (პესტიციდები გარემოში), The fate of fossil fuel CO2 in the ocean (რა ემართება წიაღისეულ CO2 საწვავს ოკეანეში), Fate of pollutants in air and water environments (რა ემართება დამაბინძურებელ ნივთიერებებს ჰაერში და წყალში).

დაბნეულობა გამოიწვია ჯონათან შელის წიგნის სათაურმა „The fate of the Earth“ არაინგლისურენოვან ინფორმანტებში, რომელთაც თხოვეს სათურის თარგმნა. ყველა ინფორმანტი ასახელებდა ვარიანტს, რომელიც წარმოადგენდა ინგლისური სიტყვის „future“ (მომავალი) ეკვივალენტს.

მსგავსი ტიპის დაბნეულობა გამოიწვია შემდეგმა წინადადებამაც: The fate (destiny) of our children is at stake. (We must stop pollution.)

ამ შემთხვევაშიც ყველა ინფორმანტმა დაასახელა ვარიანტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური სიტყვის „future“ (მომავალი) ეკვივალენტს.

5. ვეუბიცკას აზრით, ეს ხდება იმიტომ, რომ თუ ჩვენი ბავშვების ცხოვრება დეტერმინირებულია მატერიალური, სრულიად გასაგები მიზეზებით, როგორცაა გარემოს დაბინძურება, ეს პერსპექტივა შეუთავსებელი მოჩანს იდუმალ, მეტაფიზიკურ იმპლიკაციებთან.

მკვლევარის აზრით, არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ევროპული ენების (ინგლისური ენის გარდა) მატარებლები აწყდებიან გარკვეულ სირთულეს ფრაზასთან „The fate of the Earth“ მიმართებაში (შელი/Shell, 1982). საქმე ისაა, რომ ინგლისურ სიტყვას „fate“ არ გააჩნია ეგისტენციალური ან ანთროპოცენტრისტული განზომილება. აღნიშნული განზომილებები გააჩნდა ძველი ინგლისურ კონცეპტს „weird“, მაგრამ თანამედროვე ინგლისურ ენაში ეს იდუმალი და ანთროპოცენტრისტული კონცეპტი ჩაანაცვლა უფრო პროზაულმა და „ობიექტურმა“ კონცეპტმა „fate“. მითოლოგიური „Fate“, რომელიც

იწერებოდა დიდი ასოთი, შენარჩუნდა ლიტერატურულ ენაში, თუმცა გააჩნია რიტორიკული ფიგურის ფუნქცია და იწვევს მითოლოგიურ ალუზიებს.

იდუმალმა და ანთროპოცენტრისტულმა „weird“ შეიძინა უარყოფითი კონოტაცია (თანამედროვე ინგლისურ ენაში „weird“ ნიშნავს ზებუნებრივს, „უცნაურს“) და აღარ იხმარება როგორც არსებითი სახელი.

კონცეპტების „destiny“ და „fate“ პარალელური ცვლილება აღბეჭდილია კულტურული იმპლიკაციებით. ინგლისური ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე „destiny“ განიხილებოდა რაღაც შეუქცევადად, არაკონტროლირებადად და „ცუდად“: The common people lamented their miserable destiny (1548); The force of ruthless destiny (1781) (Oxford English Dictionary. Oxford University Press. 1933).

XIX საუკუნეში ჩნდება სხვა ტიპის მაგალითები: “Our manifest destiny is to overspread the continent allotted by Providence for the free development of our yearly multiplying millions”.

„Destiny“ (დანაშნულებს; რაღაც კარგის წინასწარგანსაზღვრულობის) და „fate“ (რაღაც ცუდისა) პოლარიზაციას შედეგად მოყვა ერთეულის „destiny“ მნიშვნელობის დაყვანა „დანაშნულებამდე“, ხოლო „fate“ კი აღნიშნავდა როგორც ზოგადად ბედს, ისე საკუთარ ბედსაც. თუმცა, „fate“ სულ უფრო ხშირად გამოიყენებოდა „რაღაცის ბედის“ მნიშვნელობითაც.

როგორც სმიტი აღნიშნავს, თანამედროვე ინგლისურ ენაში „fate“ ბრმაა, ხოლო „destiny“ აღბეჭდილია „წინასწარგანსჭვრეტის“ მნიშვნელობით. თუმცა წინასწარგანსჭვრეტის უნარი არ უკავშირდება „რაღაც განსაკუთრებით ძლევამოსილ ძალას“.

ვეჭბიცა გვათავაზობს ერთეულის „destiny“ შემდეგ ექსპლიკაციებს:

1. სხვადასხვა ადამიანს ემართება სხვადასხვა რამ;
2. სხვადასხვა ადამიანს შეუძლია სხვადასხვა რამის კეთება;
3. ზოგ ადამიანს შეუძლია იმის კეთება, რისი კეთებაც არ შეუძლია სხვა ადამიანებს;
4. ვიცი, რომ ვილაცას უნდა ეს;
5. ეს ვილაც არ წარმოადგენს ამ სამყაროს ნაწილს.

ერთეულის „fate“ ექსპლიკაციები:

1. სამყაროში ხდება ადამიანებისათვის ცუდი მოვლენები;
2. ეს მოვლენები ხდება იმიტომ, რომ ხდება სხვა მოვლენები;
3. თუ ხდება ის სხვა მოვლენები, ეს მოვლენები არ შეიძლება, რომ არ მოხდეს
(ვეებიცკა/Wierzbicka, 1992, გვ. 75-93).

კონცეპტის ნომინაციური ველის აგებისას მკვლევარმა შეიძლება:

1. ააგოს კონცეპტის ნომინაციური ველის ბირთვი კონცეპტის მხოლოდ პირდაპირი ნომინაციების გამოვლენის გზით, რაც გულისხმობს ბირთვული სიტყვისა და მისი სინონიმების (სისტემური, ოკაზიონალური და ინდივიდუალურ-ავტორისეული) რეპერტუარის შემადგენლობის დადგენას. მაგალითად, კონცეპტის „ქალი“ ნომინაციური ველში შედის ისეთი ერთეულები, როგორცაა: ქალი, მდედრობითი სქესის არსება, ქალბატონი, დედაკაცი, სუსტი სქესი და ა.შ.
2. გარდა პირდაპირი ნომინაციების გამოვლენისა, განსაზღვროს კონცეპტის მთელი ნომინაციური ველი, დენოტატი კონცეპტის სხვადასხვა ნომინაციათა (ჰიპონიმები) ჩათვლით. მაგ.; დედა, ცოლი, დიასახლისი, ნაზი, ალერსიანი, მოსიყვარულე, მზრუნველი, ექვიანი, ფულის მფლანგველი და ა.შ.
3. ყველაზე ხშირად ნომინირებული ჰიპონიმები, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც კონცეპტის ტიპური რეპრეზენტატივი კომუნიკაციის პროცესში, ყველაზე ხშირად ნომინირებული ნიშნები კი მიჩნეულია კონცეპტის ყველაზე ცხად ნიშნებად. ორივე მათგანი ავსებს ჩვენს წარმოდგენას საკვლევ კონცეპტის სტრუქტურის შესახებ. აღწერას, შესაძლოა, დაემატოს ანდაზები, ხატოვანი თქმები, აფორიზმები და ფრაზეოლოგიზმები. ეს უკვე იქნება ნომინაციური ველის ფართო აღწერა, კონცეპტის მთლიანი ნომინაციური ველის აგება.

კონცეპტის სახეობათა გათვალისწინებით, გამოიყოფა სამი ტიპის ნომინაციური ველი:

1. კომუნიკაციური თვალსაზრისით მაქსიმალურად რელევანტურ კონცეპტს გააჩნია ფართო ნომინაციური ველი;

2. კომუნიკაციური თვალსაზრისით ნაკლებრელევანტური კონცეპტი კი ხასიათდება ვიწრო სპეციალიზაციისათვის ტიპური ერთეულებით წარმოდგენილი ნომინაციური ველით;
3. კომუნიკაციური თვალსაზრისით ნაწილობრივ რელევანტური კონცეპტის აღწერისათვის გამოიყენება ოკაზიონალური ერთეულები და სიტუაციური ნომინაციები (ახალდაქორწინებულები-სტაჟიანი ცოლ-ქმარი). აღნიშნული ტიპის კონცეპტი მოკლებულია მდგრად ნომინაციურ ველს. არამდგრადი ნომინაციური ველი კი შედგება სუბიექტური, ოკაზიონალური ნომინაციებისაგან, კონცეპტის კონკრეტულ ნიშანთა აღწერილობისაგან, ინდივიდუალურ-ავტორისეული ნომინაციებისაგან, მაგრამ არა მთლიანი კონცეპტის სახელწოდებისაგან (კარასიკი/Карасик, 1996).

ნაშრომში გამოყენებულია ყველა აღნიშნული შესაძლებლობა, რამაც მოგვცა საკვლევი კონცეპტის ნომინაციური „სიმკვრივის“ განსაზღვრის საშუალება, კერძოდ:

1. განისაზღვრა კონცეპტუალური სივრცის ენობრივი დეტალიზაციის ხარისხი;
2. გამოვლინდა საკვლევი კონცეპტის ენობრივი ობიექტივაციის ვარიანტთა მრავალფეროვნება და კონცეპტის ენობრივი ობიექტივატორების აზრობრივ ნიუანსთა კომპლექსურობა.

ნაშრომში განხორციელებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ:

1. კოგნიტური ნომინაციების რაოდენობის გათვალისწინებით, საკვლევი კონცეპტის ნომინაციურ ველს ახასიათებს ნომინაციური სიმკვრივის საკმაოდ მაღალი ხარისხი;
2. საკვლევი კონცეპტის საკმაოდ მაღალი ნომინაციური სიმკვრივე კი მეტყველებს კონკრეტული საზოგადოებისათვის სინამდვილის საკვლევი ფრაგმენტის გააზრების აქტუალურობის მაღალ ხარისხზე, კონცეპტის სიმველესა და გამორჩეულ ღირებულებით მნიშვნელოვნებაზე, კონცეპტის კომუნიკაციურ რელევანტურობაზე;
3. კომუნიკაციური თვალსაზრისით საკვლევი კონცეპტი მაქსიმალურად რელევანტურია და გააჩნია ფართო ნომინაციური ველი.

დასკვნა

თანამედროვე ინგლისურ ენაში ბედის როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენის კვლევა განხორციელდა ისეთ ინტერპრეტაციათა გათვალისწინებით, როგორიცაა:

მითოლოგიური ფატალიზმი, რომელიც გულისხმობს წინასწარგანსაზღვრულობას როგორც ირაციონალურ, გაუცნობიერებლ ქმედებას, ბოროტების საწყისის ხატს;

რაციონალისტური პოზიცია, რომელიც განიხილავს წინასწარგანსაზღვრულობას მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კონტექსტში. აქ „არათავისუფლება“ წარმოდგენილია არა მითის, არამედ ადამიანის ქმედებათა სისტემის შედეგის სახით;

თეოლოგიური პოზიცია, რომელიც გულისხმობს ყოვლისშემძლე ღმერთის ნებასთან გაიგივებულ, აბსოლუტურ წინასწარგანსაზღვრულობას.

ეპოქისა და კაცობრიობის განვითარების ეტაპის გათვალისწინებით, ბედის ფენომენი სწორედ აღნიშნულ პოზიციათა პრიზმაში ინტერპრეტირდება.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ კვლევის შედეგების წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ დასკვნათა ფორმულირების გზით:

კონცეპტი „ბედი“ განეკუთვნება ბაზისურ კონცეპტთა რიცხვს - იგი მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებასა და ცნობიერებაში. მისი მნიშვნელობა იკვეთება ისეთ ბინარულ ოპოზიითა ფონზე, როგორიცაა: აუცილებლობა და შეთხვევითობა;

წინასწარგანსაზღვრულობა და თავისუფლება; გაცნობიერებულობა და

არაპროგნოზირებადობა; თანდაყოლილი და შეძენილი; აქტიურობა და პასიურობა;

ცვალებადობა და უცვლელობა; რაციონალურობა და ირაციონალურობა; საყოველთაობა და

ინდივიდუალურობა; სამართლიანობა და უსამართლობა; მთლიანობრიობა და

ფრაგმენტულობა.

კონცეპტი „ბედი“ დაკავშირებულია ვერტიკალთან (უზენაეს „ზემო“ ძალასთან, რომელიც უგზავნის ადამიანს რაღაცას), ჰორიზონტალთან (ცხოვრების გზა, ყველაფერი ის, რაც ადამიანს ხვდება ცხოვრების გზაზე) და მატერიასთან. ბედი ასოცირდება მოძრაობასთან,

ადამიანის ცვლილებასთან, ასევე დროის მონაკვეთებთან, რომლებშიც შესამჩნევი ხდება ეს ცვლილება. ამრიგად, ბედი გააზრებულია დროისა და სივრცის კატეგორიათა მეშვეობით.

კონცეპტი „ბედი“ ეფუძნება წარმოდგენებს სამყაროში საყოველთაო კავშირების შესახებ. სწორედ ამ კავშირებს ექვემდებარება ყველაფერი, მათი წყალობით ცხოვრება განიხილება მოვლენათა ჯაჭვად.

კონცეპტის „ბედი“ ცნებობრივ შემადგენელს წარმოადგენს სამყაროში დეტერმინატორ ძალთა არსებობის იდეა, ხატობრივ შემადგენელს კი - გემტალტი „ძალა“, რომელიც ამომრავებს ადამიანს ცხოვრების გზაზე.

ინგლისურ ენაში მკვეთრად დიფერენცირებულია ბედის „დადებითი“ და „უარყოფითი“ მნიშვნელობები.

ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტის „ბედი“ ძირითადი ეროვნული მარკერი დაკავშირებულია ბედის გააზრების ორ „პოლუსთან“. სწორედ მათკენ მიისწრაფვის საკვლევის კონცეპტის ვერბალიზაციის ყველა ერთეული. პირველი „პოლუსის“ მარკერს წარმოადგენს „დასასრულის“ იდეა, მეორე „პოლუსი“ კი მარკირებულია „შემთხვევითობისა“ და „გამართლება-არგამართლების“ იდეებით.

ინგლისური მენტალიტეტს ახასიათებს მისტიციზმის დაბალი დონე, ადამიანის ძალისხმევის პრიორიტეტულობა და პრაგმატიზმი.

კონცეპტი „ბედი“ ხასიათდება ნომინაციური ველის სიმკვეთრით, რაც გულისხმობს სინონიმური რიგების მრავალფეროვნებას.

კოგნიტური ნომინაციების რაოდენობის გათვალისწინებით, საკვლევი კონცეპტის ნომინაციურ ველს ახასიათებს ნომინაციური სიმკვეთრის მაღალი ხარისხი. კონცეპტის მაღალი ნომინაციური სიმკვეთრე მეტყველებს კონკრეტული საზოგადოებისათვის სინამდვილის საკვლევი ფრაგმენტის გააზრების აქტუალურობის მაღალ ხარისხზე, კონცეპტის სიმკვეთრესა და გამორჩეულ ღირებულებით მნიშვნელოვნებაზე, კონცეპტის კომუნიკაციურ რელევანტურობაზე.

ეფუძნება რა ალქმის მთლიანობის პრინციპს, „ბედის“ სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს საკვლევი ფენომენის გაგების საფუძველს. ცოდნის ფრაგმენტები არ არიან იზოლირებულნი - ისინი ურთიერთქმედებენ, ამასთან მათი ურთიერთქმედება ატარებს ერთიან სისტემურ ხასიათს.

„ბედის“ სემანტიკურ ფრეიმში გამოიყოფა ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში მყოფი, ერთმანეთის მიმართ დომიმანტური სემენტები (ბირთვი, ახლო და შორეული პერიფერიები). ცნებათა უმრავლესობა ქმნის იერარქიულ ქსელს. აღნიშნული ქსელის სტრუქტურული თავისებურება - გრადუალურობა - განპირობებულია ადამიანის მეხსიერებაში აკუმულირებულ ცნებათა შორის არსებული ურთიერთკავშირით.

ინტეგრაციულმა მეთოდოლოგიამ უზრუნველყო „ბედის“ სემანტიკური ფრეიმის ადეკვატურობა, რაშიც იგულისხმება კონსტრუქტის უნარი, ასახოს:

სამყაროს შესახებ კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ცოდნისა და წარმოდგენების კომპლექსი;

მოვლენათა ალქმისა და ინტერპრეტაციის მანერა;

სოციუმის შემეცნებითი და ტექსტობრივი მოღვაწეობის სპეციფიკა;

ლინგვისტური და ექსტრალინგვიტური ცოდნის სპეციფიკა;

ცოდნის აღნიშნულ სახეობათა ერთიანობა;

ცნებათა იერარქიულობა, რაშიც ვლინდება გაგების გაღრმავება და ცნებათა აბსტრაქტულობის დონის ამაღლება (ცნებათა იერარქია არის გლობალური სქემა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ნებისმიერი საგნობრივი სფეროს ცოდნის სტრუქტურის კონცეპტუალურ ანალიზს);

რეალობის განუწყვეტელი „ფრეიმირების“ პროცესის თავისებურება (სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს. იგი გააზრებულია სტერეოტიპული ალქმის წარმოდგენისათვის საჭირო აბსტრაქტულ სახედ).

კონცეპტი „ბედი“ წარმოადგენს ეროვნული და ინდივიდუალური ცნობიერების ბირთვს, კულტურის საკვანძო სიტყვას, რომელშიც ვლინდება:

თავისუფლებისა და აუცილებლობის კატეგორიები;

ადამიანის გონების მცდელობა, გაიაზროს ძალის არსი, რომელიც განაგებს არა მხოლოდ ადამიანის ცხოვრებას, არამედ წესრიგს მთელ სამყაროში.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კვლევა ასოცირდება ენის მატარებელი ერის ღირებულებითი ორიენტირების სისტემის კვლევასთან. ერის ცნობიერებაში არსებული ღირებულებითი ორიენტირები წარმოადგენს კულტურული კოდების ერთგვარი ქსელის უმნიშვნელოვანეს კონფიგურანტებს.

კულტურული კოდი წარმოადგენს მენტალურ-კულტურულ ორიენტირს, რომელიც განსაკუთრებით ნათლად იკვეთება ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „ბედი“ ფრაზეოლოგიურ რეპრეზენტორთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა ისეთი ტიპის კულტურული კოდების არსებობა, როგორცაა: ეთნიკური კოდი; ანტროპომორფული კულტურული კოდი; კვანტიტატური კულტურული კოდი; რელიგიური კულტურული კოდი; ტემპორალური კულტურული კოდი.

მონაცემთა სემანტიკური ანალიზმა გამოავლინა, რომ საკვლევ ენაში ფრაზეოლოგიურ რეპრეზენტატორთა უმრავლესობა ხასიათდება მთლიანობრივი მნიშვნელობითა და ლექსიკურ კომპონენტთა მნიშვნელობის არაავტონომიურობით.

საკვლევ კონცეპტის ენობრივი რეპრეზენტაციის ხარისხი საკმაოდ მაღალია, რასაც ადასტურებს კონცეპტის დიფერენციალური კოგნიტური ნიშნების ფრაზეოლოგიზაციის ფაქტი.

კონცეპტის „ბედის“ ხანიერებასა და კონცეპტის ღირებულებით მნიშვნელოვნებაზე მეტყველებს კონცეპტის ნიშნობრივი აღნიშვნის პოტენციალის მრავალფეროვნება.

კონცეპტის მენტალურ და ლინგვისტურ მახასიათებელთა დესკრიფციის ობიექტურობა, კოგნიტური დიფერენციალური ნიშნებისა და კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა რეპერტუარის სისრულე მიღწევადია მხოლოდ სააზროვნო სივრცეთა და პარადიგმათა სინთეზირების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

- Adeli, H. (1994). Knowledge Engineering. McGraw-Hill Publishing Company, N.Y.
- Arutyunova, N. D. (1996). Language and the world of the person. M.: Languages of Russian culture, 1999. გვ. 146-173), (Sternin I.A. Communicative behavior as a part of national culture// Ethnocultural specificity of language consciousness
- Bahm, A. (1993). Axiology: The Science of Values. Amsterdam: Rodopi
- Barsalou, L. W. (1992). Frames, concepts, and conceptual fields in Lehrer A. & Kittay E. F. (eds.) “Frames, fields, and contrasts”. Hillsdale, NJ: Erlbaum
- Bell, R. (1988). Theory-appropriate analysis of repertory grid data. International Journal of Personal Construct Psychology. JAI Press
- Bell, R. C. (1990). “Analytic issues in the use of repertory grid technique“in Neimeyer G. J., Neimeyer R. A. (Eds.), “Advances in Personal Construct Psychology“, Vol. 1.
- Blosser, P. (1996). Scheler’s Theory of Values Reconsidered.” Phenomonology of Values and Valuing. Dordrecht: Kluwer
- Brentano, F. C. (1993). The Foundation and Construction of Ethics. Elizabeth Hughes Schneewind, trans. and ed. London: Routledge
- Buchillo, N. F. (1997). Value. Philosophy. A part 2.
- Carroll, S. (1999). Situational Awareness - Turning Data into Knowledge. Journal of Electronic Defense
- Chapman, R. (1993). Values Beyond Culture: A Study in Environmental Axiology. (Ph.D. Thesis Ann Arbor, MI: University Microfilms
- Chen, I., Shadbolt, N. R., Goble, C. A. (2007). A Semantic Approach to Knowledge Management. JAI Press
- Coulson, S. (2001). Semantic Leaps; Frame –shifting and Conceptual Blending. Cambridge University Press.
- Coulson, S., Oakley, T. (2000). Blending basics Cognitive Linguistics
- Cowan, J. (1910). The Maories of New Zealand. Christchurch, N.Z.: Whitcombe and Tombs

- Croft, W. (1990). Some contributions of typology to cognitive linguistics and vice versa. In: Cognitive Linguistics
- Croft, W., Cruse, D. A. (2009). Cognitive Linguistics. Cambridge University Press, UK
- Dixon, R. M. W. (1980). The languages of Australia. Cambridge: Cambridge University Press
- Dorner, A. (1908). Fate//Encyclopedia of religion and ethics. Ed. by J. Hastings. Edinburgh: T.Clark
- Dunn, W. N., Cahill, A. G., Dukes, M. J., Ginsberg, A. (1986). Cognitive Methodology: Perspectives, Concepts, and Methods, JAI Press.
- Erl, A., Nünning, A., Young S. B. (2008). Cultural Memory Studies. An International and Interdisciplinary Handbook. Berlin, New York.: Walter de Gruyter
- Evans, V. (2009). Review: Oxford handbook of Cognitive Linguistics. Cambridge University Press
- Fahlman, S. E. (2009). A system for representing and using real-world knowledge. Cambridge
- Fauconnier, G. (1980). Mental spaces: Aspects of meaning construction in natural languages. Cambridge (MA): MIT
- Fauconnier, J. (1998). Methods and generalizations. In: Cognitive Linguistics
- Fay, F., Bell, R., Bannister, D. (2003). A Manual for Repertory Grid Technique, 2nd Edition, Wiley
- Fodor, J. A. (1963). The structure of semantic theory - Language
- Fortes, M. (1959). Oedipus and Job in West African religion. Cambridge: Cambridge University Press
- Fung, T. D., Chertkow, H., Murtha, S., Whatmough, C., L., Whitehead, V., Templeman, F.D. (2001). The Category, object and action knowledge. Journal of Memory and language
- Gaines, B. R., Shaw, M. L. G. (1997). Knowledge modeling. Knowledge Science Institute, University of Calgary
- Gardiner, A. (1985). The mind's new science: the history of cognitive revolution. N-Y
- Hall, E. (1969). The Hidden Dimension . Anchor Books> New York
- Hall, E. W. (1952). What is Value? London: Routledge & Kegan Paul

- Hall, E. W. (1961). *Our Knowledge of Fact and Value*. (Chapel Hill: University of North Carolina Press)
- Harman, G. (1988). *Cognitive science. Essays in Honor of George. A. Miller*. Cambridge (Mass.)
- Hastings, J. (1908). ed. *Encyclopedia of religion and ethics*. 13 vols. Edinburgh: T.Clark
- Hawkins, J. (2005). *On Intelligence*. – New York, Henry Holt and Company
- Heelas, P. (1981). *The model applied: anthropology and indigenous psychologies - Indigenous psychologies*. Ed. by P.Heelas and A. Lock. London: Academic Press
- Hiebert, G. (1997). *Conversion and Worldview Transformation*. *International Journal of Frontier Missions*
- Holmes, A. (1967). *Phenomenology and the Relativity of World-Views*
- Karl, R. (1971). *The Concepts of Value: Foundations of Value Theory*. Dordrecht: Reidel
- Kendal, S., Creen, M. (2007). *An Introduction to Knowledge Engineering*. Springer
- Kramersch C. (1998). *Language and Culture*. Oxford University Press.
- Lakoff, G. (1977). *Linguistic gestalts*. CLS
- Lakoff, G. (1981). *Лингвистические гештальты//Новое в зарубежной лингвистике*
- Lakoff, G. (1987). *Women, fire and dangerous things: What categories reveal about the mind*. Chicago; London
- Lakoff, G. (1988). *Cognitive topology and lexical networks*. San Mateo (CA): Morgan Kaufman
- Lakoff, G. (1990). *The invariance hypothesis: Is abstract reason based on image- schemas? // Cognitive linguistics*
- Langacker, R. (1988). *A view of linguistics semantics* B. Rudzka-Ostyn (ed). *Topics in cognitive linguistics*. Amsterdam; Philadelphia
- Langacker, R. (1984). *Active zones- Proceedings of the 10-th annual meeting of the BLS*
- Langacker, R. (1988). *A view of linguistic semantics // Rudzka-Ostyn (ed.)*
- Langacker, R. (1991). *Concept, image and symbol: The cognitive basis of grammar*. B.: Mouton de Gruyter

- Langacker, R. (1993). Reference-point constructions. *Cognitive Linguistic*
- Langacker, R. (1994). The limits of continuity: discreteness in cognitive semantics- Fuchs C. Victorri B. (eds), *Continuity in linguistic semantics*. Amsterdam: Benjamins
- Le Goff, J. (1992). *History and Memory*. New York: Columbia University Press
- Lederman, L. M., Scheppler J. A. (2001). *Marvin Minsky: Mind Maker. Portraits of Great American Scientists*. Prometheus Books
- Lehrer, A., Kittay E. F. (1992). *Frames, fields, and contrasts*. Hillsdale, NJ: Erlbaum
- Liming, C., Shadbolt, N. R., Carole, A. (2007). Goble: A Semantic Web-Based Approach to Knowledge Management for Grid Applications. *IEEE Transactions*, Vol.19
- Long, J. L.(1989). *World View and Meaning in Life*. M. A. Thesis, University of Houston
- McCarthy, J., Mitchell, T.M., Mueller, E. T., Riecken, D., Sloman, A., Winston, P. H. (2007). "In Honor of Marvin Minsky's Contributions on his 80th Birthday". *AI Magazine* (Association for the Advancement of Artificial Intelligence)
- Mervis, C., Rosch E. (1981). *Categorisation of natural objects // Annual Review of Psychology*
- Minsky, M. (1972) *Form and Content in Computer Science*, J. A. C. M.
- Minsky, M. L. (1986). *The society of mind*. New York: Simon and Schuster
- Minsky, M. L. (1993). "The Mastermind of Artificial Intelligence". *Scientific American*
- Minsky, M., Papert S. (1969). *Perceptrons*, MIT Press.
- Mohanty, J. (1989). Transcendental philosophy, time, history and interpretation theory: some thoughts on an anti-foundationalistic argument. G. Müller, T.M. Seebohm eds. *Perspektiven transzendentaler Reflexion: Festschrift Gerhard Funke zum 75. Geburtstag*. – Bonn: Bouvier
- Moore, G. E., (1903). *Principia Ethica*, Cambridge: Cambridge University Press, ch. 1. P.22-93
- Moore, G. E., (1912). *Ethics*, Oxford: Oxford University Press. P.102
- Moore, G. E., (1922). *Philosophical Studies*, New York: Harcourt, Brace.p. 286
- Pinker, S. (1997). *How the Mind Works*. W.W.Norton&Comp.

- Putnam, H. (1975). *Mind, Language and Reality*. Cambridge etc.
- Radden, G. (1992). *The cognitive approach to natural language*. Amsterdam: Benjamins.
- Reed, St. R. (1996). *Cognition. Theory and Application*. 4th ed. San Diego: Brooks
- Rosch E. Human categorization // N. Warren (ed.). *Studies in cross- cultural psychology*. N. Y.: Academic press, vol. 1, 1977, 1-49).
- Rosch, E. (1975). Cognitive representations of semantic categories. *Journal of Experimental Psychology*
- Rosch, E. (1977). Human categorization // N. Warren (ed.). *Studies in cross- cultural psychology*. N. Y.: Academic press, vol. 1
- Rosch, E. (1978). *Principles of categorizations - Cognition and categorization*. Hillsdale, NJ
- Rossi, F., Biehl, M., Angulo, C. (2008). Progress in modeling, theory, and application of computational intelligence. *International Journal of Neurocomputing*
- Schiffer, S., Steel, S. (1988). (EdS) *Cognition and representation*. Boulder (Colorado)
- Schreiber, G. (1998). Akkermans H. Anjewierden A. Hoog R. Shadbolt N. Velde W.V.
- Simmons, R. (1973). *Semantic networks: Their Computation and Use for Understanding English Sentences*, in "Computer Models of Thought and Language", Schank R., Colby C. (eds.), San Francisco).
- Sowa, J.F. (1984). *Conceptual Structures*. Addison-Wesley Publ.Comp.
- Talmy, L. (2000). *Toward a Cognitive Semantics*. Cambridge, Mass.: MIT Press
- Wielinga, B. (2000). *Knowledge Engineering and Management: The Common KADS Methodology*, MIT Press
- Wierzbicka, A. (1972). *Semantic primitives*. Frankfurt: Athenaöum.. Wierzbicka A. The case for surface case. Ann Arbor: Karoma
- Wierzbicka, A. (1984). Apples are not a 'kind of fruit': the semantics of human categorization“. *American Ethnologist* , Vol. 11
- Wierzbicka, A. (1992). *Semantics, Culture, and Cognition. Universal Human Concepts in Culture Specific Configurations*. - New York, Oxford: Oxford University Press

- Wille, R., Ganter, D. (1999). *Formal Concept Analysis*. Berlin: Springer-Verlag
- Woods, W.A. (1975). *Foundations for semantic networks*. Chicago linguistic society. Chicago
- Влахов С., Флорин С. (1980). *Непереводимое в переводе* / под ред. Вл. Россельса. М.: Международные отношения, с.16
- Воробьев В.В. (2014). *Лингвокультурология: монография*. М.: РУДН, 336 с.
- Горан, В. П. (1990). *Древнегреческая мифология судьбы Новосибирск*
- Демьянков, В. З. (2001). Понятие и концепт в художественной литературе и в научном языке - Вопросы филологии. № 1
- Зиновьева Е.И., Юрков Е.Е. (2006). *Лингвокультурология: учебник*. СПб.: Изд-во «Осипов», 260с.
- Карасик, В. И. (1996). *Культурные доминанты в языке//Языковая личность: культурные концепты*“. Волгоград-Архангельск
- Карасик, В. И. (2004). *Языковой круг: личность, концепты. Дискурс*. Москва: Гнозис
- Кереньи К., Юнг К.Г. (1997). *Введение в сущность мифологии* // Юнг К.Г. Душа и миф: шесть архетипов. М., С. 11—210.
- Корнилов, О. А. (2003). *Языковые картины мира как производные национальных менталитетов* [Текст]: учеб. пособие / О. А. Корнилов. – М.: ЧеРо, – 349 с.
- Кубрякова, Е. С. (1991). *Роль человеческого фактора в языке*. М. : Наука
- Кубрякова, Е. С. (1995). *Эволюция лингвистических идей во второй половине XX в-Язык и наука конца 20 в*. Москва
- Кубрякова, Е. С. (1996). *Краткий словарь когнитивных терминов*. М.: Московский гос.
- Маслова В.А. (2001). *Лингвокультурология: учеб. пособие для студентов высших учебных заведений*. М.: Издательский центр «Академия», 208с.
- Мелетинский, Е. М. (1976). *Поэтика мифа* М
- Планк М. (1966). *Единство физической картины мира*. М.: Наука, с.49

Сепир Э. (2001). Статус лингвистики как науки // Сепир Э. *Избранные труды по языкознанию и культурологии* / пер. с англ. под ред. и с предисл. д-ра филол. наук, проф. А.Е. Кибрика, 2-е изд. М.: Издательская группа «Про гресс», С.193-469

Степанов, Ю. А. (1997). *Константы: Словарь русской культуры*. Москва

Триандис Г.К. (2007). *Культура и социальное поведение: учеб. пособие* / пер. В.А. Соснин. М.

Фролова, И.Т. (1987), *Философский словарь* / под ред. 5-е изд. М.: Изд-во политич. лит., с.229

Хроленко А.Т. (2008). *Основы лингвокультурологии: учеб. пособие*. 4-е изд. М.: Флинта: Наука, 184 с.

Чейф, У. Л. (1975). *Значение и структура языка* (перев. с англ. яз. Г. С. Шура). М., прогресс

Шпенглер, О. (1993). *Закат Европы. Очерки морфологии и мировой истории*. — Т. 1. Гештальт и действительность. — М.: Мысль

Эйнштейн А. (1967). *Влияние Максвелла на развитие представлений о физической реальности* // Собр. научн. тр. Т. 4. М., С. 136—140.

გამოყენებული ლექსიკონები

The Concise Oxford Dictionary of Current English. BCA, Oxford University Press, 1996. - 1674 p. – CODCE

The British National Corpus (100 mln words). <http://sara.natcorp.ox.ac.uk/> Webster's College Dictionary. Random House, New York, 1991. -1568 p.1. WCD

Simpson J., Weiner E. (2006). *The Oxford English Dictionary*. 20 Volume Set. A Clarendon Press Publication. London

<https://www.macmillandictionary.com/>

<https://dictionary.cambridge.org/>

<https://www.dictionary.com/browse/online-dictionary>

<https://www.merriam-webster.com/>

<https://www.collinsdictionary.com/>

<https://www.thesaurus.com/browse/online>

<https://www.collinsdictionary.com/dictionary/english-thesaurus>

გამოყენებული ინტერნეტ-რესურსები

<https://www.goodreads.com/quotes?page=2>

<http://www.quoteland.com/>

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e>

<http://astronet.ge/>

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1-----0-10-0---0--->

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1-----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8->

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1-----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.11&d=HASH41a6751649704cfe6eff32.5.6>=1>